პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 12 აპრილი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 82 (2428)

დ ღ ი უ რ ი

- კომპარტიის გამარჯვება ცვენკაუს (საქსონია) ქალაქის საბჭოს არჩევნებში.
- საბერძნეთში გაფიცვა გამოაცხადეს ფ.-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა.
- მასიური დაპატიმრებანი კოლონეთში.
- ამერიკის ელჩად ლონდონში დაინიშნა გენერალი დოუესი.
- რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ თურქეთში.
- ავსტრიის ფაშისტები გადატრიალებას ამზადებენ.
- რიგაში ჩაფრინდა მფრინავი ჩუხნოვსკი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა

ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მოხსენების დროს მე ვცდილობდი დაუზოგველად მემხილებია ის ნაკლი, და შეცდომები, რომელიც ჩვენს აღმშენებლობაში არსებობს. ამხანაგებმაც გამოიყენეს თავიანთი უფლება, რომ ეჩვენებიათ ის დეფექტები, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ გამოსწორებას. მე საბოლოო სიტყვაშიც ვერ შევსძლებ ყველა იმ შეკითხვების, შენიშვნების ამოწურვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქ. მე მხოლოდ შევეხები უმთავრეს წერილობითი შეკითხვებს.

უმუშევართა კოლექტივები

ერთი ამხანაგი მეკითხება, ღებულობს თუ არა ხელისუფლება ზომებს უმუშევრობის შესამცირებლად და თუ ეს ასეა, რატომ იბეგრება შრომის კოლექტივები?

რა თქმა უნდა, შრომის კოლექტივების საშუალებით უმუშევრობის მოსპობა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მისი შემცირება. რაც შეეხება დაბეგვრას — კოლექტივებს, მათ დიდი შეღავათები აქვთ. მე მგონია, საჭირო არ არის ვრცლად შევეხო ამ საკითხს, ვინაიდან ფაქტია, რომ ისინი სარგებლობენ დიდი შეღავათებით.

სტიპენდიები ებრაელი ახალგაზრდობისათვის

მეორე საკითხი — ებრაელების სასწავლებლებში გაგზავნა სტიპენდიანტებათ. მიმდინარე წელში უმაღლეს სასწავლებელში განსახკომის მიერ გაიგზავნა 15 ახალგაზრდა ებრაელი. ეს ფაქტია (ხმა: ცოტაა), რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ შემდეგისათვის უეჭველია, ეს რიცხვი გაიზრდება.

აჭარისტანის ჰიდრო-ელექტრო-სადგური

რა მდგომარეობაშია აჭარისტანის ჰიდროელსადგურის საქმე, რატომ არის შეჩერებული მუშაობა? — ამის შესახებ კამათის დროსაც იყო ლაპარაკი. ეს სადგური შეჩერებულია იმისათვის, რომ ის დაწყებული იყო არასაფუძვლიანად. არ იყო გამოკვლეული ნიადაგი, სადაც უნდა გაკეთებულიყო ამ სადგურის საგუბარი. რამდენიმე წლებში ვერ იქნა ეს საკითხი შესწავლილი და ბოლოს დავრწმუნდით, რომ ამ სადგურის კეთება უნდა შეჩერებულიყო, რადგანაც ასეთი დასკვნა მოგვცა ჩვენ მეტად კომპეტენტურმა კომისიამ, რომელიც გამოგზავნილი იყო მოსკოვიდან. რაც შეეხება იმას, თუ რა დაჯდება მისი აშენება, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია, სანამ ეს გამოკვლევა არ დამთავრდება, სადგურზე დახარჯულია დღემდე 6 მილიონ 600.000 მანეთი.

გავადიდოთ მოსავლიანობა

„შედარებით 1913 წელთან ჩვენ ვთესავთ 60 პროც.-ზე მეტს, რა არის მიზეზი, რომ ბაზარზე პურის ნაკლებობა არის?“.

ასეთ შეკითხვას იძლევა ერთი ამხანაგი. ამაზე ჩვენ უნდა ვუპასუხოთ: 1913 წელს პურის დათესილი ფართობი უდრიდა 116.700.000 ჰექტარს. 1927 — 28 წელს ეს ფართობი უდრიდა 115.100.000 ჰექტარს. მაშასადამე დაახლოებით ჩვენ გვაქვს არა ზრდა 60 პროც.-ით, არამედ ჩვენ ნაკლებს ვთესავთ 1,4 პროც. ეხლა მოსავალი, ამხანაგებო. პროდუქცია პურეულის 1913 წელს უდრიდა, ტონობით რომ ავიღოთ, 81,600.000, ხოლო გასულ წელს, ე. ი. 1927 — 28 წელს 73.600.000 ტონას. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ნაკლები პროდუქცია, დაახლოვებით 8 პროც.-ით. აი, ამხანაგებო, ერთი მხრივ ამით აიხსნება პურის ნაკლებობა. მეორე მიზეზი, თუ რისთვის არ გვყოფნის პური, არის ის, რომ მოსახლეობა 1913 წლის შემდეგ გაიზარდა რამოდენიმე მილიონით, მაშასადამე აქედან აშკარაა, ამხანაგებო, რომ პურის ნაკლებობა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, ერთი მხრივ, პურის რაოდენობა ნაკლები მზადდება, და, მეორე მხრივ, მოსახლეობა მატულობს — ამავე დროს ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, რომ მეფის დროს მემამულეების მეურნეობის საქონლიანობა (ხორბლის) უდრიდა, 47 პრ.-ს, კულაკების 34 პროც.ს, საშუალო გლეხობის 14,7 პროც. როგორც იცით, მემამულეები ჩვენ გავაძევეთ, კულაკები შევამცირეთ, და ეხლა გასაყიდი პური გამოაქვთ მხოლოდ საშუალო და ღარიბ გლეხკაცობას. ჩვენ ვამბობთ, რომ ახლო მომავალში მემამულეების ადგილი უნდა დაიჭიროს საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, და საშუალო და ღარიბ გლეხკაცობამ. რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღის ჩვენ პურის ნაკლებობა გვაქვს. ამის მიზეზი არის პირველ ყოვლისა, ის, რომ შემცირდა საერთოდ საქონლიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, ასეთი 1913 წელში უდრიდა, 26 პროც, 26—27 წელში კი უდრიდა 13.3 პროც. მეორე მიზეზია მოსავლიანობის შემცირება, როგორც იცით, ჩვენი უპირველესი ამოცანაა მოსავლიანობის გადიდება.

ტყის დაცვა

შემდეგ მეკითხებიან:

„იმ შეხედულებით, რომ ტყე ნადგურდება, შეიძლება თუ არა მოვსპოთ ტყის დამმუშავებელი კერძო ქარხნები?“.

შეიძლება, ამხანაგებო, და საამისო ზომები მე მგონია ახლო მომავალში უნდა იქნეს მიღებული.

რკ.-გზა მამისონის უღელტეხილზე

ერთი ამხანაგი მეკითხება:

„არის თუ არა გათვალისწინებული სადმე მამისონის უღელტეხილზე რკინის გზის გაყვანა და როგორი მოსაზრებებია ამის შესახებ?“.

არის, ამხანაგებო, პროექტი კიდევაც შედგენილია, ცნობილი ინჟინერი ფელდტი თავგამოდებით იცავს ამ პროექტს. პროექტი მოწონებულია, მაგრამ მის შესრულების შესახებ მე ჯერ - ჯერობით ვერაფერს ვიტყვი.

საგზაო მშენებლობა რაჭა-ლეჩხუმში

„რაჭა-ლეჩხუმის მშრომელი გლეხობა სთხოვს საბჭოთა ხელისუფლებას მიაქციოს ამ რაიონს მეტი ყურადღება, როგორც ჩამორჩენილ კუთხეს გზების და სწავლა - განათლების მხრივ“.

ამხანაგებო, მე არ ჩამოვთვლი თუ რა ღონისძიება არის მიღებული ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმის მაზრისათვის. რაც შეეხება გზებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მომავალ წლების განმავლობაში იქ განზრახულია გზატკეცილების მოსაგვარებლად დაიხარჯოს 2.190.000 მანეთი.

თბილის - მანგლისის გზა

„თბილის - მანგლისის გზატკეცილი საძაგელ მდგომარეობაში იმყოფება. მისი შეკეთება ყოველგვარი გეგმის გარეშე სწარმოებს“.

სრულიად ვეთანხმები ამ ბარათის ავტორს, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ მთავრობა საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს მის შეკეთებაზე. 1926 — 27 წელს დაიხარჯა 49 ათასი მანეთი, 1927 — 28 წელს — 48 ათასი მანეთი, წელს დაახლოებით ასეთივე თანხის დახარჯვაა განზრახული. ცხადზე უცხადესია, ეს თანხა სრულიად საკმაო იქნებოდა, რომ საქმე რიგიანად კეთდებოდეს.

თანხები საბინაო მშენებლობისათვის

„გაქვთ თუ არა მომავალში განზრახული საცხოვრებელი ბინების კრიზისის ნაწილობრივად მაინც შემცირება?“.

საბინაო მშენებლობაზე — 5 წლიანი მინიმალური გეგმით გათვალისწინებულია 516.525 მ., რომელიც დააკმაყოფილებს დაახლოებით 86.000 მშრომელ მოსახლეობას, პირველ რიგში, რასაკვირველია, მუშებს. ამ აღმშენებლობისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 53.000.000 მანეთი.

შავი ზღვის რკ.-გზა

„როდის აპირებს მთავრობა შავი ზღვის სანაპირო რკ. გზის დამთავრებას?“.

ამის შესახებ გაკვრით მოგახსენებთ, რომ მომავალში 5 წლიანი გეგმა ითვალისწინებს რკ. გზის დამთავრებას, რისთვისაც გეგმაში შეტანილია 48.000.000 მანეთი.

ამხანაგებო, იმ საკითხთა შორის, რომელიც წამოჭრილ იქნა აქ გამოსულ ამხანაგების მიერ, მე შევეხები მხოლოდ რამდენიმეს, რადგან ბევრ მათგანზე უკვე გავეცი პასუხი ჩემს მოხსენებაში, დანარჩენებზე კი იქნება ლაპარაკი სხვა მოხსენებაშიაც.

ექიმების შესახებ

აქ იყო დასმული საკითხი ექიმების შესახებ. ამხანაგები გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას, იმის გამო, რომ თუმცა ექიმები სოფლად სათანადოთ ემსახურებიან ადგილობრივ გლეხობას, განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხობას, მაგრამ ავადმყოფთან მისასვლელად ისინი თხოულობენ ეტლს, ცხენებს და ფულსაცო. რა თქმა უნდა, იმ ექიმებს, რომლებიც მუშაობენ სოფლად, ჩვენ ვერ დავავალებთ დასტოვონ თავიანთი პუნქტი და, ფეხით იარონ სოფელში, ეს სრული უგუნურობა იქნება. ექიმი აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ რაიმე გადასაყვანი საშუალებით, უამისოთ ექიმი ვერ შესძლებს იაროს ავადმყოფთან, რაც შეეხება ფულის აღებას, ეს არ არის აკრძალული ამხანაგებო, მაგრამ თუ ექიმმა ბოროტად გამოიყენა ეს, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობის მიმართ, მაშინ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები. საჭიროა მტკიცედ ტარდებოდეს ექიმების გასამრჯელოდ არსებული ნორმა.

სახელმწიფო დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევაზე მე უკვე მოგახსენეთ, რომ ეს საქმე ჩვენში არ არის მოწესრიგებული ისე, როგორც საჭიროა. აქ გამოსულმა ამხანაგებმა ეს ჩემი დებულება დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ ამ დარგში, დიდ არევ-დარევას და გაუგებრობას აქვს ადგილი. ადგილობრივი ხელისუფლება არც კი ღებულობს მონაწილეობას ამ საქმეში. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ამ საქმეში ჩვენ დაგვჭირდება რაიმე ზომების მიღება, რომ გლეხობა უმთავრესად ღარიბი და საშუალო, არ იქნეს ამითი უკმაყოფილო. თუმცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ ღარიბი გლეხობა განთავისუფლებულია ამ მხრით გადასახადისაგანო, მაგრამ სინამდვილეში ბევრგან ეს ასე არ ხდება.

კოოპერაცია

შემდეგ კოოპერაციის შესახებ. ამხანაგები აცხადებენ, აქ, რომ კოოპერაციას საქონელი არა აქვს, მანუფაქტურა არა აქვს და მან ვერ შესძლო კერძო ვაჭრობასთან ბრძოლა, იმიტომ რომ, სახელმწიფოებრივი თუ სხვადასხვა კოოპერატიული ორგანიზაციები ქიშპობას აწარმოებენ ერთი მეორეში და ამ ნიადაგზე ხელს უწყობენ კერძო ვაჭრებსო. უნდა ვსთქვათ, რომ ეს განცხადება სიმართლეს არაა მოკლებული. მე პირადათ სრულებით არა ვარ კმაყოფილი დღევანდელი კოოპერაციის მუშაობისა, მაგრამ სავსებით მათაც ვერ ვამტყუნებ, ვინაიდან არის ამის სხვადასხვა საპატიო მიზეზები. გარდა იმისა, რომ საქონლის ნაკლებობაა, არის კიდევ ყურადღების ნაკლოვანებაც მუშტრებისადმი იმიტომ, რომ ბევრი იქ მოსამსახურე პირი, ვინ იცის, საიდან არის მოსული. ისინი სრულებით არ არიან დაინტერესებულნი კოოპერაციის საქმიანობით.

საბინაო მშენებლობა

ეხლა რაც შეეხება ბინების საკითხს. ჩემს მოხსენებაში გამომრჩა ერთი რამ. როდესაც მე აღვნიშნე ბინებზე დახარჯული თანხა, ეს შეეხებოდა იმ თანხას, რომელიც დახარჯული იყო საბინაო მშენებლობაზე თვით წარმოების მიერ და მე არ აღმინიშნავს მუშათა ბინების მშენებლობაზე დახარჯული თანხები. ამ დარგში 1926 — 27 წელს დახარჯული იყო 4.718.506 მანეთი. 27 — 28 წელს კი 4.201.921 მან., როგორც ხედავთ, ამ ორი წლის განმავლობაში დახარჯულა სულ 8.920.427 მ. საქართველოს მასშტაბით ეს პატარა თანხა არ არის. მაგრამ ისმება საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილად არის გამოყენებული ეს თანხები. ამ მხრივ ყოველივე კარგად არ არის. მეტადრე თბილისში, აქ აგეს ისეთი შენობები, რომელიც უნდა ითქვას, ყოვლად მიუღებელია თანამედროვე ტეხნიკისა და საჭიროების თვალსაზრისით. მომავალში ამას უნდა მიექცეს ყურადღება. შემდეგ აქ ერთი ამხანაგი ლაპარაკობდა მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებზე, რომლებიც გადაცემული აქვს სხვადასხვა ამხანაგობას. მართლაც ამ სახლების საკითხი მეტად გამოურკვეველ პირობებშია. დრო კი არის გამოვარკვიოთ საბოლოოდ ამ სახლების მდგომარეობა, რემონტი უნდა კეთდებოდეს დროზე, თორემ ეს სახლები ინგრევა და ფუჭდება უდროვოდ, ახალი ამხანაგობები უმეტეს შემთხვევაში თავის სიმაღლეზე ვერ სდგანან და ამიტომ საქმეც მოიკოჭლებს, რისთვისაც საჭიროა მიიღონ შესაფერი ზომები.

სასამართლოს მუშაობა

აქ რამდენიმე ამხანაგმა მაზრებიდან წამოაყენეს საკითხი:რომ მცხოვრებლებს არ სჭირდეთ გზედეთ შორს წასვლა-მოსვლა, ამიტომ უბრალო საქმეები, რომელთა ღირებულებაც არ აღემატება 10—15 და 20 მანეთს, სწყდებოდეს ადგილობრივად. ამხ. მათიკაშვილმა აქ განაცხადა, რომ ამის შესახებ, პროექტი უკვე არსებობს, და მე მგონია, ეს ჩქარა იქნება განხორციელებული. სასამართლოს სფეროში, საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ვერ არის რიგზე, რაც თვით იუსტიციის სახ. კომისარმაც აღნიშნა. თუ კი სადმე არის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი, ეს არის სასამართლოებში, რამდენიმე მაგალითი გვაქვს ჩვენ ისეთი, რის შესახებაც შეიძლება პირდაპირ ვსთქვათ, რომ ამას სჩადის საბჭოთა ხელისუფლების მტერი, რასაკვირველია ამას განზრახ არ სჩადიან ყოველთვის და ყველგან, მაგრამ ეს ისეთი საქციელია, რომ მართლაც შეიძლება კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებათ მოინათლოს. მთელი წლობით ჭიანურდება უბრალო საქმეები, რომელიც აქ ამხანაგებმა დაასახელეს და გააშუქეს. რაც შეეხება რევოლუციონურ კანონების გატარებას, სამწუხაროდ ამას ამხანაგები არ შეეხნენ, ან თუ შეეხნენ, ნაკლებად. ეს, რასაკვირველია, ჩვენი მსჯელობის სისუსტეს უნდა მიეწეროს, რომ ყველაფერი კარგად არ არის, ეს ჩვენთვის აშკარაა, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამხანაგები ხშირად არ ლაპარაკობენ აშკარად. თუ ლაპარაკობენ ძალიან სუსტად. ვერ შევუთვისდები და ვერ გავიზიარებ ამხ. მათიკაშვილის აზრს—იმის შესახებ, რომ საქართველოში ჩვენ არ გვყავს პროკურორები და მაზრებში ვერ გავგზავნით მათ, სანამ არ გვეყოლება საამისოდ კარგად მომზადებული კადრით, მანამ კი მაზრები უპროკურორორდ უნდა დავტოვოთ, ეს, ამხანაგებო, მე მიმაჩნია სრულიად შეუფერებლად. თუ კი ჩვენ სხვა სფეროში ვშოულობთ ათეულ და ასეულ მომუშავეებს, ნუ თუ ორი-სამი პროკურორის შოვნა შეუძლებელი გახდა? ჩვენ უნდა ვთქვათ აშკარად, რომ, სადაც პროკურორი არ არის, დროზედ უნდა იქნეს იქ გაგზავნილი ასეთი.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა

უნდა მოგახსენოთ, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ ლაპარაკის დრო არ მქონდა. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენ, როგორც იტყვიან კბილი მოგვცვეთა ბიუროკრატიზმთან ბრძოლამ, მაგრამ ეს ბრძოლა ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის საკმაოდ ძლიერი, ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბიუროკრატიზმი მართლაც დაძლეულია. მართალია, ჩვენ ყოველმხრივ მივაქვს იერიში მის წინააღმდეგ, ყველა ზომებს ვღებულობთ მასთან საბრძოლველად. პარტორგანოები, პრესა, პროფესიონალური კავშირები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია; საკონტროლო კომისია თვით მუშათა მასების მიერ გამოყოფილი ცალკე ჯგუფები. ყველანი იბრძვიან მის წინააღმდეგ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ისეთი ქმნილება არის, რომელიც პოულობს საშუალებას, რომ განაგრძოს თავისი არსებობა. რა თქმა უნდა, ეს მტერი საერთოდ იმდენად დაიძლევა, რამდენადაც ჩვენი კულტურული განვითარება წინ წავა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობა და მისი ყველა ორგანოები არ ღებულობდნენ ყოველგვარ ზომებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. მე მგონია, ყრილობა ვერ უსაყვედურებს მთავრობას, რომ ის სუსტად ებრძვის ამ ბოროტებას, უნდა იცოდეთ, რომ ეს მარტო ჩვენში არ არის, სამწუხაროდ ეს საერთო სენია და მარტო მთავრობის ორგანოებს არ ძალუძს ამ ბრძოლის წარმოება, თვით მასების, მუშების და გლეხების მონაწილეობის მიუღებლად ამის გატარება ცხოვრებაში შეუძლებელია. ამისათვის, ამხანაგებო, მე მოგიწოდებთ; რომ თქვენ შესძლოთ რომ მშრომელ მასებს მიაღებინოთ მონაწილეობა და გაუადვილოდ მთავრობას ბრძოლა ამ ყველაზე მავნებელ მტერთან.

მილიცია

აქ იყო, ამხანაგებო, ნათქვამი მილიციის მდგომარეობის შესახებ. მართალია, ჩვენს ორგანოებში მილიციას დიდი საპასუხისმგებლო ადგილი და მოვალეობა აწევს თავს. იმავე დროს მისი ნივთიერი მდგომარეობა ვერ არის უზრუნველყოფილი. მე ხშირად დამითვალიერებია მილიციის შენობა, მათი საცხოვრებელი ბინებიც, მილიციის პოსტებიც. და უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი ნაკლი შემინიშნავს აქ. ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მათ მუშაობა. რასაკვირველია, ჩვენ უნდა მოუწოდოთ აღმასკომებს, მიაქციონ ყურადღება მილიციის არა მარტო ნივთიერ გაუმჯობესებაზე, არამედ ბინების გაუმჯობესებაზედაც.

მიწის ჩამორთმევის შესახებ

აქ იყო კიდევ განცხადება იმის შესახებ, რომ საჭიროა ჩამორთვას მიწა არა მშრომელ ელემენტებსო, ან სოფლიდან მოშორებულებსო. ამხანაგებო, ამის შესახებ არის კანონი, მიწა ასეთ ელემენტს უნდა ჩამოერთვას და, თუ არ არის ჩამორთმეული, ეს უკვე დარღვევაა ჩვენი კანონის. როცა მე შევეკითხე ორატორს ვის უნდა ჩამოერთვას მიწაო, გამომრკვა, რომ ასეთი ყოფილა რკინისგზის ოსტატი. იმას უნდა ჩამოერთვას მიწაო. შემდეგ მოვიდა მოწერილობა, ისევ დაუბრუნეთო. ამხანაგებო, რა თქმა უნდა, შეიძლება ასეთი შეცდომა მაგრამ ჩვენი კანონი მიწის შესახებ, რომელიც დღემდე ძალაში არის, ამბობს, რომ ფიზიკურ მუშებს აქვთ უფლება ნაზეგარი ნორმა დაიტოვონ. ასეთი არის კანონი. სანამ ეს კანონი არ არის გაუქმებული, რა თქმა უნდა, ის შესრულებული უნდა იქნას. რასაკვირველია, როგორც მე განვაცხადე ჩემს მოხსენებაში, დღეს სწარმოებს მუშაობა ჩვენი კოდექსის შეცვლის შესახებ. მუშავდება ახალი კოდექსი და არის წინადადება ეს მუხლი გაუქმებულ იქნას. არის მეორე წინადადება, რომ ის საჭიროა ჯერ - ჯერობით დარჩესო, მაგრამ მაინც აქამდე დამუშავებული არ არის ეს კოდექსი. როცა იქნება დამუშავებული, ის წარედგინება ან ყრილობას, ან ცენტრალურ აღმასკომის სესიას. მაგრამ სანამ არსებული კანონი ძალაშია, რა თქმა უნდა, ის შესრულებულ უნდა იქნას. თუ რაიმე დარღვევას აქვს ადგილი, ამის შესახებ განცხადება უნდა შემოვიტანოთ ცენტრალურ აღმასკომში, რომელიც გამოიძიებდა საქმეს. ეხლა მე არ შემიძლია ამაზე პასუხი მოგცეთ, მართალი იყო თუ არა. ისი პირი, ვისაც მიწა ჩამოერთვა. თუ ეს ჩამორთმევა კანონის მიხედვით მოხდა, მაშინ, რასაკვირველია, აღარაფერი ითქმის, ამხანაგებო, კანონი იმიტომ არის, რომ შესრულებული იქნას. ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ აღმასკომს შეუძლია მიზანშეწონილობის მოსაზრებით მიიღოს ესა თუ ის შესწორება.

გზების მდგომარეობა

აქ ბევრი იყო ლაპარაკი, მაგალითად სამხრეთ - ოსეთის გზების შესახებ. მართლაც ეს გზა დღეს კატასტროფიულ მდგომარეობაშია. უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, ჩვენი საშუალებები შეზღუდულია, ჩვენ ვერ გავწვდებით ყველა გზებს ერთ ან ორ წელიწადში. ამ ხნის განმავლობაში კიდევ ბევრი ნაკლი გვექნება. მაგრამ ზოგიერთ გზების საკითხი უნდა იქნეს წამოყენებული პირველ რიგში. როგორც არის ამ შემთხვევაში სამხრეთ - ოსეთის გზა, ცხინვალ - გორის შორის. ეს გზა მართლაც უნდა იქნას მოყვანილი ისეთ მდგომარეობაში, რომ მასზედ შეიძლებოდეს მუდმივი მოგზაურობა. ჩვენ ვფიქრობთ 5 წლიანი გეგმით გორიდან ცხინვალამდე იქნას გაყვანილი რკ. გზის შტო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ გზატკეცილის გაკეთება საჭირო არ არის. მუშაობა ამ გზაზე არ შეწყვეტილა, შარშან სწარმოებდა და წელსაც სწარმოებს.

მოჯამაგირეთა მდგომარეობა

აქ იყო, ამხანაგებო, მოსმენილი მეტად საყურადღებო განცხადებები მოჯამაგირეების მდგომარეობის შესახებ. მე უნდა გამოვსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ არც ერთი პროფესიონალური კავშირის მუშაკი აქ არ გამოვიდა, რას მიეწერება ეს არ ვიცი. იმდენი ღალადი იყო აქ, რომ ქვასაც აალაპარაკებდა. მე მოველოდი, რომ პროფესიონალური კავშირის მუშაკები გამოვიდოდნენ და ილაპარაკებდნენ ამის შესახებ. მართლაც ამ მხრივ რომ ყველაფერი კარგად არ არის — ეს აშკარაა. ამას აცხადებს კახეთის წარმომადგენელი, სამეგრელოს, ახალქალაქის, თბილისის მაზრის. თითქმის ყველა ერთხმად ამბობს რომ ისინი მზად არიან საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, სცნობენ ამ ხელისუფლების სიკეთეს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვერ შევძლით მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით იყო ხაზგასმული კულტურული მუშაობა. ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ უნარი. ეს სავსებით შეადგენს პროფესიონალური ორგანიზაციების მოვალეობას და მე მგონია იმ დადგენილებაში, რომელსაც ჩვენ მივიღებთ მთავრობის ანგარიშის შესახებ, ეს პუნქტი უნდა იქნას შეტანილი.

ამხანაგები შეეხნენ აქ მიწადმოწყობის და მიწადმომწყობთა ნაკლებობას. ამის შესახებაც უნდა მოგახსენოთ: ყველა მაზრებიდან ერთხმად იყო განცხადებული. მიწის მოწყობას, რომელიც ჩვენ აქამდის ჩავატარეთ, მოთხოვნას ვერ აწვდის. ის სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის შესახებ მე მგონია ამხ. ჯუღელი იტყვის უფრო დაწვრილებით.

ახალქალაქის მაზრა

ეხლა მე შევეხები ამხ. კოიანის (ახალქალაქის მაზრა) გამოსვლას. ახალქალაქის მაზრას ძალიან მცირე ყურადღებას აქცევს მიწადმოქმედების კომისარიატი, მაზრას ვერ აწოდებს ტრაქტორებს და სხვ. ამაზე, ამხანაგებო, უნდა ვსთქვა, რომ ეს შენიშვნა სამართლიანია, თუმცა, როგორც გამოირკვა, ახალქალაქის მაზრას რამდენიმე წლის წინათ გადაეცა რამდენიმე ტრაქტორი, რომლებიც იქ არ გამოდგნენ და უკანვე დააბრუნეს. ახლა იქ მხოლოდ ერთი ტრაქტორია. შემდეგ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ საერთოდ ტრაქტორების გამოყენების სისტემა ახლაც დამაკმაყოფილებელი არაა. ამ საქმეში დაგვჭირდება იმ სისტემის შეცვლა, რომელიც დღევანდლამდე არსებობდა.

ახალქალაქელი დელეგატი ლაპარაკობდა, რომ საკმაო კრედიტს არ იძლევიან მეფუტკრეობისათვის, სუბტროპიკული კულტურებისათვის კი ძალიან დიდი კრედიტებია გადადებულიო. მეფუტკრეობისათვის საჭირო კრედიტის შესახებ მისი აზრი სამართლიანად მიმაჩნია. რაც შეეხება მის განცხადებას, რომ დასავლეთ საქართველოს დიდი კრედიტები ეძლევა ჩაის კულტურისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის, უნდა ვუპასუხო, რომ ამ მიზნობრივ კრედიტებს სპეციალური დანიშნულება აქვთ იმ კულტურებისათვის, რომლებსაც საერთო - საკავშირო მნიშვნელობა ახასიათებთ.

ახალციხის მაზრაში ხე-ტყე ძნელი საშოვარიაო. ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ მრავალი მოსაზრებით ვერ დაკმაყოფილდება მათი პრეტენზიები, რომ ეს მასალა მიიღონ იმ სატყეო უბნიდან, რომელზედაც ისინი ხელს იშვერენ ახალციხის მაზრაში; ჩვენ დაგვჭირდება მათი დაკმაყოფილება ბაკურიანის სატყეოდან.

პროფტეხნიკური მომზადების საქმე აჭარისტანში

აქ მეტად საყურადღებო იყო ამხ. დავითაძის გამოსვლა ხულოს მაზრიდან. მან სხვათაშორის განაცხადა, რომ ბათუმის მაზრის დაწესებულებებში აჭარლები ცოტანი არიანო, მათი რიცხვი მხოლოდ 5 პროც-მდე აღწევს და ეს პროცენტი უნდა იქნეს გადიდებული. ამხანაგებო, მთავრობა ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომ გაადიდოს აჭარლების რიცხვი ბათუმის ქარხნებში. რასაკვირველია, ეს პროცენტი არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ ვცდილობთ ამ საკითხის გამოსწორებას, მაგრამ ყოფა - ცხოვრება აჭარისტანისა ისეთია, რომ არ უწყობს ხელს ამ საკითხის მოგვარებას. იმ დროს, როდესაც სხვა კუთხიდან მოდიან აქ ფაბრიკა ქარხნებში, აჭარისტანელების მიერ ეს 5 პროც-იც არაა შესრულებული. ეს 5 პროცენტი გეგმით არის მიღებული. შემდეგ საყურადღებოა მისი განცხადება სწავლა-განათლების შესახებ და, საერთოდ, საგულისხმოა, მისი სიტყვები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამხ. დავითაძე მართლაც გულწრფელი აჭარელი გლეხია, რომელიც ზრუნავს აჭარისტანის კეთილდღეობისათვის.

ზემო-სვანეთის გზა

ეხლა შევეხები ამხ. მჟავიას, რომელიც გამოვიდა ზემო - სვანეთის სახელით. მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს. მაგ. მან სთქვა, რომ გადაწყვეტილია ზემო-სვანეთში გაყვანილ იქნეს გზატკეცილიო. ამისათვის საკავშირო მთავრობამ გადადვა განსაზღვრული თანხაო. მაგრამ მჟავია გამოვიდა აქ და ამბობს, რომ რაღაც ხმები დადის ამის ირგვლივო. მეფის დროსაც იყო ფული გადადებული გზისათვის. მაგრამ ვიღაცამ გაფლანგა და აი, ეხლაც ხმები დადისო. მე მგონია ასეთ გამოსვლას არ უნდა ჰქონოდა ადგილი აქ. ჩვენ ამ დიდი მუშაობის დაწყებას ვაპირებთ და წინდაწინ აქ გამოსვლას და ყორანივით ჩხავილს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. თუ სადმე ამის შესახებ პროვოკაციას აქვს ადგილი, უნდა გაეცხადებია მას, სადაც ჯერ არს და იქვე უნდა აღმოეფხვრათ ეს პროვოკაცია. გარდა ამისა მჟავია აცხადებს, რომ 60.000 მან. იყო გადებული სვანეთში გზის გასაკეთებლადო, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკავშირო ცაკმა გადასდო დიდი თანხა ამ გზატკეცილის გასაყვანათ, ეს სამოცი ათასი მანეთი 28.000-სად შემცირესო. ეხლა კი ხმები დადის, რომ ა.-კ. სახკომსაბჭოში შეუტანიათ საკითხი, რომ ეს თანხაც არ იქნეს გადადებულიო. ეს არის ჭორი, არაფერი ამის მსგავსი არ არის. ისე გამოდის, რომ მჟავია იცავს ზემო-სვანეთს საქართველოს მთავრობისაგან. მე მგონია, საქართველოს მთავრობა თავიდან შეუდგა ყოველგვარ ღონისძიებას, რომ ზემო-სვანეთის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. აქ სრულებითაც არ ითქვა, იმის შესახებ, რომ ზემო-სვანეთში გაკეთდა ბილიკი, რომლითაც ზამთარ - ზაფხულ შეიძლება მიმოსვლა. რასაკვირველია აქ დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს წითელ ჯარს, საქართველოს მთავრობამ, კომუნისტური პარტიის მეოხებით შესძლო ეს საქმე, რომელიც დაჯდა არანაკლებ ასი ათასი მანეთისა. აქ ამხ. მჟავიამ მოიყვანა მაგალითი, რომ ერთი ფუთის გადატანა ჯდება 8 მანეთიო, მაგრამ მე ვიცი, რომ ერთი ფუთის გადატანა ჯდება არა 8 მან., არამედ 4 მანეთით. ასეთი უპასუხისმგებლო სიტყვების თქმა ამ ყრილობაზე, ჩემის აზრით, ყოვლად დაუშვებელია. ამით თქვენ გლეხობას სარგებლობას ვერ მოუტანთ. თქვენ ამბობთ, რომ იქ 8 პუნქტი არის კოოპერაციისა, ეს, ამხანაგებო, დიდი მიღწევაა. როცა მე ვიყავი ზემო-სვანეთში, მაშინ იქ ერთი კოოპერაციის პუნქტი იყო. სახელდობრ მესტიაში. ეხლა ჩვენ გვაქვს 8 პუნქტი, ეს დიდი მიღწევაა და თუ ვინმე ამას არ აფასებს, ეს კარგი არ არის, ამით ჩვენ ვერაფერს ვერ მოვიპოვებთ.

სწავლა - განათლებას შესაფერისი ყურადღება არ ექცევა, მაგრამ ეხლა ეს თანდათან უმჯობესდება, საავადმყოფოებიც არის გახსნილი. ეს ძალიან კარგად იციან ამხანაგებმა. ახალი გზატკეცილის სახით ზემო-სვანეთში დიდი საქმე იწყება და წინდაწინ უნდა მოვამზადოთ თანხა, რომ ეს გზა, რაც შეიძლება მალე იქნეს დამთავრებული. ამ საქმეს უნდა დაეხმაროს ყველა ხელმძღვანელი ამხანაგები.

ზუგდიდის მაზრა

ამხ. ჟაიანმა ზუგდიდის მაზრიდან განაცხადა, რომ ზუგდიდის მაზრაში არაფერი არ არის გაკეთებული ამ ხნის განმავლობაშიო. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ეს სიმართლეს არის მოკლებული. ის ლაპარაკობს, რომ არ არის გაკეთებული აბრეშუმის სახვევი ქარხანაო. მართალია, არ არის გაკეთებული, მაგრამ ჩვენ ეს ქარხანა გავაკეთეთ ჯერ იქ, სადაც აბრეშუმის წარმოება იყო განვითარებული. ეხლა, როცა მეაბრეშუმეობას ვანვითარებთ ზუგდიდის მაზრაში, გადაწყვეტილი არის, რომ იქაც გაკეთდეს ეს ქარხანა.

ახალციხის მაზრა

ამხ. მალკონი მართალი იყო ბევრ იმ საკითხებში, რომლებიც მან აქ წამოაყენა. მე ვფიქრობ, რომ ყველა მის მიერ აღნიშნულ დეფექტებს ჰქონდა ადგილი და სავსებით მართებულად იყო მითითებული. სავსებით დაუშვებელია, მაგალითად, ის, რომ იქ არ არის პროკურორი. სამართლიანი იყო აგრეთვე შენიშვნა სასამართლოს წარმოების, სანიტარული მდგომარეობის და იმის შესახებ, რომ ბეგები კიდევ მოქმედებენ საზღვარზე. მაგრამ რატომ არ განაცხადა ამის შესახებ ამხ. შაბანოვმა? ჩვენ ალბად შევკრებთ ცნობებს ამ საკითხზე.

წითელი ჯარის შესახებ

რამდენიმე სიტყვა ამხ. ავქსენტიევსკის გამოსვლის გამო. ამხ. აქსენტიევსკიმ აღნიშნა, რომ ქართულ დივიზიას არ აქვს ნამდვილი, საბანაკო პირობებიო. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს განცხადება და უნდა გავატაროთ სათანადო ზომები. შემდეგ ის ლაპარაკობდა, რომ ამხანაგი წითელ არმიელები, მეთაურები და სხვ. არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით, ეს საკითხი პირველად არ დგება, ამ საკითხს ჩვენ ვიხილავთ უკვე ორი წელიწადია; ამ ხნის განმავლობაში მივიღეთ რეალური ზომები იმ საბინაო კრიზისის შესანელებლად, რომელზედაც აქ ილაპარაკეს. ვფიქრობ, რომ მომავალშიაც მივიღებთ ასეთივე ზომებს.

რაც შეეხება მესამე განცხადებას იმ სათადარიგო მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სამოქალაქო ომში, მე ვფიქრობ, რომ ეს ნაკლი უნდა ავიცილოთ; რადგან სამოქალაქო ომის, რევოლუციონური ომების ინვალიდები მართლაც კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მე არა ერთხელ ვიყავი მართლაც საშინელი სურათის მოწმე. არ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომელსაც ეკისროს ზრუნვა ამ ინვალიდებზე, რომლებსაც დამსახურება აქვთ ყოველმხრივ და რომლებსაც წითელი ორდენიც კი აქვთ მიღებული. ასეთი დაწესებულება არ არსებობს და ინვალიდები მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან; ისინი გადაჰყავთ ერთი ქალაქიდან მეორეში და არსად არ აკმაყოფილებენ. ეს საკითხი არის არა მარტო საქართველოს, არამედ საერთო-საკავშირო მასშტაბის საკითხი, რადგან მხოლოდ საქართველოს არ შეუძლია იკისროს სამოქალაქო ომის ყველა ინვალიდის უზრუნველყოფა. ეს არის საერთო საკავშირო საკითხი, რომელიც უკვე მომწიფდა.

დასკვნა

აი, ამხანაგებო, ჩემი პასუხი თქვენს შენიშვნებზე და წინადადებებზე, რომლებიც აქ წამოაყენეთ. ყველა ეს კრიტიკული შენიშვნები, მითითებანი ჩვენს დეფექტებზე და ნაკლოვანებებზე, გათვალისწინებულ იქნება ჩვენს მუშაობაში. მაგრამ მეორეს მხრით უნდა ვსთქვათ, რომ სამაზრო აღმასკომებმა და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა თავიანთ მომავალ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ყოველივე ეს, რადგან საქართველოს მთავრობის დეფექტები, ზოგიერთ ნაწილში, ან შეიძლება საგრძნობ ნაწილში, აიხსნება ყველა ჩვენი ორგანოს, როგორც ცენტრის, ისე პროვინციის ორგანოს დეფექტებით, ასე რომ ყველა ეს შენიშვნა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო საქართველოს მთავრობამ, არამედ სათანადო სამაზრო ორგანოებმა და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა. ჩვენ თქვენთან ერთად უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ორგანოების ყველა ფუნქციების კონტროლი, უნდა გავაძლიეროთ მეთვალყურეობა, რადგან ადგილი აქვს ძალიან ბევრ დეფექტებს იმის გამო, რომ დროზე არ ვიცილებთ იმ შეცდომებს, რომლებიც გვაქვს ჩვენს მუშაობაში. ჩვენ რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ საქმეს, მეტი კონტროლი გავწიოთ, განა ადგილი ექნებოდა იმდენ სისაძაგლეს, რამდენსაც ეხლა ვხედავთ? შეცდომების ჩადენის შემდეგ, ცხადია, ძალიან ადვილია მითითება ამ შეცდომებზე; საჭიროა თავის დროზე ავიცილოთ შეცდომა, ეს კი შესაძლო იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ყურადღებით მოვეკიდებით ჩვენს მოვალეობებს, ჩვენს საზრუნავს არ დავაკისრებთ სხვებს და შემდეგ მათ არ მოვახვევთ თავზე დანაშაულს. ჩვენ ყველანი ერთისა და იმავე საქმეს ვემსახურებით. მე ვფიქრობ, რომ როცა შეიკრიბება შემდეგი ყრილობა, შეიძლება აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ამ მხრივ და საგრძნობი მიღწევები ჩვენს მუშაობაში სოციალიზმის განხორციელების გზით.

(ადს).

სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

და

კოოპერატიული მშენებლობა სოფლად

ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება

ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი

მეხუთე დღის (11 აპრილის) დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება სოფლის მეურნეობის ხუთწლიან გეგმის და სოფლად კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ.

საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის მიზანს,— ამბობს მომხსენებელი,—წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარება. ხელმძღვანელი როლი სახალხო მეურნეობაში უჭირავს მრეწველობას. ის ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ წაყენებული აქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და განვითარების გეგმას, უფარდდებიან მრეწველობის განვითარებას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესებს. ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობაში ხელმძღვანელ როლს ვანიჭებთ მრეწველობას, არ ნიშნავს იმას, რომ სოფლის მეურნეობას და მრეწველობას ერთიმეორეს ვუპირდაპირებთ, რომ ისინი ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. პირიქით, მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო სოფლის მეურნეობა ხდება მრეწველობისათვის ნედლეული მასალის ბაზათ. მრეწველობის განვითარების ინტერესი მოითხოვს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებას. ეს არის ის მტკიცე ქვაკუთხედი, რომელსაც ემყარება მუშების და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირი. სოფლის მეურნეობის განვითარების დაკავშირება მრეწველობის განვითარებასთან არის ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გადაუხვევლად უნდა გატარდეს როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში, სოციალისტურ მშენებლობის მძიმე ტვირთი თანაბრათ უნდა დააწვეს სახალხო მეურნეობის ამ ორ მთავარ დარგს, მაგრამ ეს ტვირთი სოფლის მეურნეობისათვის იმდენად მძიმე არ უნდა გამოდგეს, რომ ხელი შეუშალოს ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობის წინსვლას. ეს არის ძირითადი ლენინური დებულება, რომელიც მტკიცედ უნდა დავიცვათ ამ გარდამავალ ხანაში. ამ დებულების არასწორათ გაგება იქნება გადახრა ან მარჯვნივ, ან მარცხნივ; გადახრა, რომელიც შეაფერხებს ჩვენ სოციალისტურ მეურნეობას.

თუ ჩვენ ერთიმეორეს შევადარებთ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებას, დავინახავთ დისპროპორციას ამ დარგების განვითარების შორის. მაგ., ბამბის დამამუშავებელი მრეწველობა ომის წინა დროსთან შედარებით მთელ კავშირში აღდგენილია 99 პროცენტით ნედლეულის ბამბის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი კი მხოლოდ 68,5 პროცენტით, სელის დამუშავებით მრეწველობა აღდგენილია 108 პროცენტით, ხოლო სელის მეურნეობის საქონლის ნაწილი მხოლოდ 22,8 პროცენტით. მატყლის დამუშავების მრეწველობა 49,1 პროცენტით, ხოლო მისი პროდუქციის სასაქონლო ნაწილი 48,9 პროცენტით. ეს ციფრები ცხადყოფენ, თუ როგორ ჩამორჩა სოფლის მეურნეობა მრეწველობას. პირველ რიგში სოფლის მეურნეობა უნდა აღვადგინოთ იმდენად, რომ დავაკმაყოფილოთ მრეწველობა ნედლეულით და მერე მივიღოთ ზომები სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. სოფლის მეურნეობას ეკისრება მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაც. მისი პროდუქციის გადიდებით ჩვენ უნდა გავადიდოთ ჩვენი ექსპორტი, რომლის აღდგენა ომის წინა დროსთან შედარებით მხოლოდ 23 პროც. შეაძლოთ. რაც შეიძლება, სწრაფი ნაბიჯით უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას იძლევიან. მესამე აქტუალური საკითხი, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე სდგას არის ჩვენი ქალაქების სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. სურსათის მოთხოვნილება ქალაქებში გაიზარდა 27 პროცენტით, თითქმის ამავე პროცენტით გაიზარდა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებაც. ეს გარემოება ჩვენ გვავალებს ყურადღება მივაქციოთ იმ კულტურების განვითარებას, რომლებიც ბაზარს სასურსათო პროდუქტებს აწვდიან. სწორედ ამ ამოცანებს ითვალისწინებს მე-15 პარტყრილობის დადგენილება, რომელიც იძლევა დირექტივებს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენის შესახებ.

ჩვენც ეს დირექტივები დაუდევით საფუძვლად სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას. სოფლის მეურნეობის გეგმის შედგენა უფრო ძნელია, ვიდრე მრეწველობის, რადგან მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები განზოგადოებულია, თითქმის მთლიანად სახელმწიფოს ხელშია. ამის გამო ადვილია მასალების დგროვება და ამ მასალების მიხედვით გეგმის დამუშავებაც. სოფლის მეურნეობა კი დაქუცმაცებული მეურნეობაა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ინდივიდუალურ სამეურნეო ერთეულებთან, რომლებიც ჯერჯერობით არ ექვემდებარებიან საერთო ხელმძღვანელობას და საერთო გეგმიანობას. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენა უფრო რთული ამოცანაა. ამ სირთულის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ იმ დირექტივის გატარებით, რომელიც მე-15 პარტყრილობის მიერ არის მოცემული. ეს დირექტივა გულისხმობს სოფლის მეურნეობის სოციალისტურათ გარდაქმნას, სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერებას, სექტორის, რომელიც ექვემდებარება გეგმიან ხელმძღვანელობას, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოწყობით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერებით ჩვენ უნდა განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორი და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის გეგმიანი განვითარება.

ჩვენი სოფლის მეურნეობის შემაფერხებელი ფაქტორები

როგორია ამჟამად ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა? საქართველოს, როგორც მთაგორიან მხარეს, ახასიათებს ნიადაგის და კლიმატიური პირობების სხვადასხვაობა, რომლის მიხედვით საქართველო იყოფა ცალკე პატარ-პატარა რაიონებათ, თვითეულ რაიონს განსაკუთრებული ხასიათი აქვს და აშკარავებს განვითარების განსაკუთრებულ ტენდენციებს. ყველა რაიონი ჯერ არ არის შესწავლილი და გამორკვეული, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ მსხვილ რაიონებს და მათ რამდენიმე დიდ ქვე-რაიონს, რომელთა ნიადაგის და ბუნებრივი კლიმატიური პირობების შესწავლა დაუდევით საფუძვლად ხუთწლიან გეგმას. რაიონების შესწავლა შემდეგშიაც გაგრძელდება და ახალი ცნობების მიხედვით სათანადო ცვლილებები შეტანილი იქნება ჩვენ მიერ დამუშავებულ გეგმაში.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს არ უწყობს თვით ჩვენი მიწის ფართობის შემადგენლობა. საქართველოს მიწის ფართობი უდრის სულ 7 მილიონამდე ჰექტარს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ფართობიდან უვარგისი მიწა 18,72 პროცენტს შეადგენს, საძოვრებს უჭირავს 13,93 პროც., სოფლის საბალახოებს 11,24 პროც.; ხოლო კულტურულ მიწებს მხოლოდ 21,5 პროც. კულტურულ მიწების ასეთი სიმცირე არის მიზეზი სწორედ აგრარულ მოსახლეობის სიჭარბისა საქართველოში, კულტურულ მიწის ყოველ კვადრატიულ კილომეტრზე მოდის 145 მცხოვრები, აზერბეიჯანში 80 მცხოვრები, ხოლო სომხეთში 88 მცხოვრები.

ცალკე რაიონებში კი ეს სიჭარბე სარეკორდო ციფრს აღწევს. მაგ., აჭარისტანში ერთ კვადრატიულ კილომეტრზე მოდის 353 მცხოვრები, ლეჩხუმის მაზრაში 320 მცხოვრები.

შემდეგი გარემოება, რომელიც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, არის ჩვენი სოფლის სამეურნეო ტეხნიკის ჩამორჩენილობა. დღემდე მიწების დამუშავება მამაპაპური წესით—გუთნებით, კავებით და სახნისებით სწარმოებს. მიწის დამუშავების უცოდინრობით აიხსნება სარეველა მცენარეების დიდი პროცენტი ნათესებში, ჩვენი გლეხი ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია თესლის შერჩევას, მის დახარისხებას. ჩვენში არ არის გავრცელებული თესლბრუნვა, რომელსაც ხელს უშლის არა მარტო გამოცდილების უქონლობა ამ საქმეში, არამედ მიწების სხვადასხვაობა, სათიბ-მოედნის ხარვეზიანობა, მრავალნაკვეთიანობა; შორმიწიანობა. ცუდათ დგას აგრეთვე მიწის განოყიერების საქმე ჩვენში, ნაკელი კარგი განოყიერებელი მასალაა, მაგრამ იგიც არ არის სრული ასი პროცენტით გამოყენებული, იმის გამო, რომ დასახლებულ რაიონებიდან სახნავ-სათესი სიშორის გამო გლეხისათვის რენტაბელური არ არის მისი შორს გადატანა. მინერალური სასუქების გამოყენება დღემდე ჩვენი სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ არ იცის. მინერალურ სასუქის გამოყენებისათვის აუცილებელია ნიადაგის კლიმატიურ პირობების ცოდნა,რადგან ყოველ რაიონს მისი ნიადაგის მიხედვით თავისებური სასუქი ესაჭიროება. ამ თვალსაზრისით ჩვენ არვაწარმოებთ ჩვენი რაიონების გამოკვლევებს; ვიდრე ჩვენ ამას არ მოვახდენთ მიწის მინერალური სასუქით განოყიერებას მასიურ ხასიათს ვერ მივსცემთ. მხოლოდ მიმდინარე წელს გადავდგით ამ მხრივ დიდი ნაბიჯი: დავაარსეთ რამდენიმე ათეული პუნქტი სხვადასხვა რაიონში, გამოცდილი ხელმძღვანელებით, რომლებიც ამ საქმეს მეთაურობენ. მოკლე ხანში ჩვენ შესწავლილი გვექნება ყველა რაიონები იმის მიხედვით, თუ როგორ სასუქს საჭიროებს ამა თუ იმ რაიონის ნიადაგი.

შემდეგი გარემოება, რომელიც აბრკოლებს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას, არის მუშა-საქონლის ნაკლებობა.ჩვენი გამოანგარიშებით, საქართველოს სოფლის მეურნეობა 37,7 პროცენტს არ ყავს მუშა-საქონელი. ეს პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობას ქმნის და გვავალებს განსაკუთრებული ღონისძიების მიღებას. ამის შემდეგ გასაგებია ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის სიმცირე. აღმოსავლეთ საქართველოში ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოდის 46 ფუთი ხორბალი ხოლო დასავლეთ საქართველოში 49 ფუთი მაშინ, როცა გერმანიაში ერთ ჰექტარზე მოდის 98,8 ფუთი, იაპონიაში—99,4 ფუთი, ხოლო ირლანდიაში—161 ფუთი. შეიძლება ზოგიერთმა ამხანაგმა იფიქროს,რომ ბუნებრივი პირობები და ნიადაგი ჩვენში ისეთია, რომ შეუძლებელია საერთოდ მოსავლიანობის გადიდება იმ დონემდე, როგორც ზემოთდასახელებულ ქვეყნებშიო. ეს შემცდარი შეხედულებაა, რომელსაც აბათილებს ჩვენი საკუთარი გამოცდილება, ჩვენ გვაქვს საბჭოთა მეურნეობები, სადაც მიწის დამუშავება სწარმოებს კულტურულად, სადაც შემოღებული გვაქვს გაუმჯობესებული თესლი. ამ მეურნეობებში ხორბლეულობის მოსავალი უკვე აღწევს 90 ფუთს, ხოლო სიმინდის მოსავალი 200 ფუთს თითო ჰექტარზე. ეს აშკარათ მოწმობს, რომ მიწის კულტურული დამუშავებით, ნიადაგის განოყიერებით და ჯიშიანი თესლის შერჩევით ჩვენ შეგვიძლია ხორბლეულის მოსავალი 46 ფუთიდან ავწიოთ 80—90 ფუთამდე მაინც, ხოლო სიმინდის—75 ფუთიდან 200 ფუთამდე.

ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში

რა ღონისძიებანი უნდა მივიღოთ ჩვენ ამ ხუთი წლის განმავლობაში? რომ შევსძლოთ არა მარტო ხორბლეული კულტურის, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მოსავლიანობის გადიდება, პირველ ყოვლისა ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მხარეებს, რომლებიც წინასწარ პირობებს ქმნიან ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიწის მიწადმოწყობას, მელიორაციას და ჭარბათ დასახლებულ რაიონებიდან მოსახლეობის გადასახლებას. მიწის სიმცირის გამო გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს საშუალება არა აქვს მთელი ასი პროცენტით გამოიყენოს თავისი შრომა, რაც სცემს მის შრომის ნაყოფიერებას. ჩვენ მათ უნდა მივსცეთ ობიექტი, რომლითაც იგი მოიხმარს თავის შრომას, ხელს შეუწყობს მის შრომის ნაყოფიერების ზრდას.

როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული საქართველოს მიწის ფართობში ბევრია ისეთი მიწა, რომელიც გამოუყენებელია, მაგრამ რომლის გამოყენება ამა თუ იმ ზომების მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნება, ასეთი ზომებია მიწადმოწყობა და სამელიორაციო მშენებლობა. დღეს მიწა იმდენად დაქსაქსულია, რომ შეუძლებელია მეურნეობის რაციონალურად წარმოება. მიწადმოწყობა აუცილებელი პირობაა მეურნეობის რაციონალური წარმოებისათვის.

მელიორაცია

რაც შეეხება მელიორაციას, ამ მხრივ ჩვენს წინანდელ მუშაობას დიდი დეფექტები ქონდა. დიდი თანხები დაიხარჯა და ბევრი არაფერი გაკეთებულა. ამჟამად ამ მუშაობას სწორი მიმართულება მიეცა, რის გამოც თანდათან თავს ვაღწევთ წინანდელ დეფექტებსა და შეცდომებს. უვარგისი მიწა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მელიორატიულ ღონისძიების გატარების შემდეგ 738 ათას ჰექტარს აღწევს. ამ მიწებში 522 ათასი ჰექტარი ისეთი მიწაა, რომელიც მორწყვას საჭიროებს (აღმოსავლეთ საქართველოში), ხოლო 216 ათასი ჰექტარი ისეთი, რომელიც დაშრობას საჭიროებს. ჩვენი რესურსები და ტეხნიკური შესაძლებლობა ნებას არ გვაძლევს, რომ მთელი ეს ფართობი სავარგისი გავხადოთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ 128.500 ჰექტარი მიწის მორწყვა და ამოშრობა, რასაც დასჭირდება 33.410 ათასი მანეთი. ამ ახალი მიწების საერთო პროდუქცია 1933 წელს მოგვცემს 17 მილიონ მანეთს.

მიწადმოწყობა

შემდეგი ღონისძიება არის მიწადმოწყობა. მიწადმოწყობა ჩვენში დღემდე არ ტარდებოდა იმ წესით, რომელსაც მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება. ჩვენში გავრცელებული მიწის ხარვეზიანობა, მიწის სხვადასხვაობა, შორმიწიანობა აბრკოლებს ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციას, მის მანქანიზაციას, არ გვაძლევს საშუალებას წინ წავსწიოთ სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა კულტურები. 490 ათასი ჰექტარი მიწა, რომლის მოწყობა წინათ ჩატარდა, დღეს ჩვენთვის შეიძლება მოუწყობლად ჩაითვალოს, რადგან იგი უკვე არ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც ჩვენ სოფლის მეურნეობისათვის ვქმნით. ჩვენ მიზნათ გვაქვს, რომ მიწადმოწყობა 5—7 წლის განმავლობაში დავამთავროთ. ამ ხანში მოწყობილი იქნება სულ 1.700 ათასი ჰექტარი მიწა, რაზედაც ხუთწლიანი გეგმით განზრახულია დაიხარჯოს 12.508 ათასი მანეთი.

გადასახლება

ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი იქნება გადასახლება. ჩვენში არის ისეთი მიწანაკლები რაიონები, სადაც გლეხის შრომა მიწის სიმცირის გამო გამოუყენებელია 50 პროცენტით. ასეთ რაიონებში ჩვენ უნდა შევამციროთ გამოუყენებელი მუშა-ხელის რაოდენობა. ჩვენი გეგმით გათვალისწინებულია 18.400 მეურნის რესპუბლიკის ფარგლებში გადასახლება და 9.600 მეურნის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ჯერჯერობით უფრო უზრუნველყოფილია რესპუბლიკის გარეთ გადასახლების საქმე. სოჭის რაიონში ჩვენ უკვე მოგვეცა მიწის სათანადო ფართობი, სადაც წელსვე გადასახლებული იქნება 5 ათასამდე მეურნე. საამისო მუშაობა უკვე სწარმოებს.

რესპუბლიკის ფარგლებში გადასახლების საკითხი უფრო რთულ საკითხია. 18.400 მეურნის გადასასახლებლად სჭირდება 129.500 ჰექტარი მიწა. ამდენ მიწას ჩვენ არ მოგვეპოვება. ჭაობების ამოშრობით და მორწყვით ხუთი წლის დამლევს, ჩვენ მივიღებთ 50 ათას ჰექტარამდე მიწას, დაახლოვებით ამდენს მოგვცემს მიწადმოწყობა. ტყეების ბუჩქნარების გაწმენდით მივიღებთ კიდევ 160 ათასამდე ჰექტარს. სწორეთ ეს ფართობი შეგვიძლია გამოვიყენოთ გადასახლებისათვის, რისთვისაც ჩვენ დაგვჭირდება ამ ხუთი წლის განმავლობაში 13.699 ათასი მან. დახარჯვა.

მექანიზაცია

შემდეგი ღონისძიება არის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ამ საქმეში ჩვენ გვაქვს შეცდომები. ჩვენ არ ვიცოდით, ამა თუ იმ რაიონს რა ტიპის მანქანა, ან იარაღი ესაჭიროებოდა, ზოგჯერ ვგზავნიდით ისეთ გუთნებს, რომლითაც ყანის მოხნა გადიდების მაგივრად მოსავლიანობას ამცირებდა. მხოლოდ უკანასკნელ დროს მიექცა ყურადღება რაიონების შესწავლას მანქანების გამოყენების თვალსაზრისით. ამ შესწავლის მიხედვით გამომუშავებული იქნა მანქანა-იარაღების ტიპები, მაგრამ დღემდე გამორკვეული არა გვაქვს, თუ რამდენია ჩვენში ამა თუ იმ ტიპის მანქანა. ამის შესახებ დაწესებულებები სხვადასხვა ციფრებს იძლევიან. ჩვენ ამ მოკლე ხანში გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ მანქანების აღრიცხვა და იმის გამორკვევა, თუ რა მდგომარეობაში არიან ესა თუ ის მანქანები. საამისოდ უკვე მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ მოგვცემს საჭირო ცნობებს. ჩვენ გვაქვს მოცემული დირექტივა, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენი სოფლის მეურნეობიდან განვდევნოთ მამაპაპური გუთნები და სახნისები და მათ ნაცვლად შემოვიღოთ რკინის გუთნები. ჩვენს ქვეყანას სჭირია ორი ტიპის გუთანი—ღრმად მხვნელი და ვიწროთ მხვნელი. ღრმად მხვნელ გუთნების შემოღება საქართველოში შესაძლებელია სრული ასი პროცენტით, ხოლო ვიწროთ მხვნელი გუთნების შემოტანას აბრკოლებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ქარხნები მათ არ ამზადებენ. მხოლოდ ჩვენი შეკვეთით დაიწყებენ ასეთი ტიპის გუთნების გაკეთებას. ამ გუთნის სტანდარტი ჩვენ უკვე დავამუშავეთ და მისი მოდელი გავგზავნეთ საბჭოთა კავშირის ქარხნებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ მივიღებთ ვიწროთ მხვნელ გუთნებს 67,9 პროცენტს, ხოლო ღრმა გუთნებს სრული 100 პროცენტით. ხუთი წლის განმავლობაში გავადიდებთ აგრეთვე ტრაქტორების რიცხვს 67 პროცენტით. სულ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე დავხარჯავთ 7.854 ათას მანეთს. იარაღ-მანქანების დასაცავად და შესანახავად განზრახული გვაქვს ავაგოთ ფარდულები და შენობები. ამ საქმეს სჭირდება ხუთი მილიონი მანეთი.

ამასთან ერთად არის გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგების ელექტროფიკაცია, რაზედაც განზრახულია დაიხარჯოს 1.316 ათასი მანეთი.

საცდელი მუშაობა

დანარჩენი ღონისძიებათაგან, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების და მოსავლიანობის აწევისათვის, აღსანიშნავი არის საცდელ - სამეცნიერო მუშაობა. ჯერ-ჯერობით ჩვენი საცდელ-სამეცნიერო მუშაობა მოისუსტებს და მას გაჯანსაღება ესაჭიროება. ჩვენ სათანადო ნიადაგზე უნდა დავაყენოთ ამჟამად არსებულ საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა, გავაფართოვოთ ისინი და მოვაწყოთ აგრეთვე ახალი საცდელი დაწესებულებანი და მათი დასაყრდენი პუნქტები. განზრახულია საქართველოში მოეწყოს სულ 25 საცდელ-სამეცნიერო პუნქტი, რასაც დასჭირდება 4.184 ათასი მანეთი.

აგრო-დახმარება

რასაკვირველია, ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია აგრო-დახმარების გარეშე. ჩვენ არა მარტო უნდა მივიღოთ ზომები ყველა ჩვენი აგრონომიული ძალების რაციონალური გამოყენებისათვის, არამედ ვიზრუნოთ აგრონომების რიცხვის გადიდებისათვის. არ არის სწორი, თითქოს აგრონომები მდივნებად მსახურობდნენ, ჩვენ ვეძებთ აგრონომებს ცენტრალურ დაწესებულებებში სამუშაოდაც კი, მაგრამ ვერ ვპოულობთ, რადგან მათი რიცხვი ძალიან მცირეა. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ აგრონომთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სულ ამჟამად მიწსახკომის ხაზით საქართველოში მუშაობს 151 აგრონომი. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ეს რიცხვი 356 კაცამდე გავადიდოთ. ამაში არ შედიან ის აგრონომები, რომლებიც მებამბეობის, მეთამბაქოების და ჩაის მეურნეობის რაიონებში მუშაობენ და ირიცხებიან სხვა სამეურნეო დაწესებულებათა სამსახურში. ამ უკანასკნელთა რაოდენობა ამჟამად უდრის 255-ს, ხოლო ხუთი წლის დამლევს ის რიცხვი 891 კაცამდი მიაღწევს. სულ აგროდახმარებაზე განზრახულია დაიხარჯოს 824 ათასი მანეთი. ამ თანხაში შედის ხარჯები, რომელიც სჭირია საცდელ პუნქტებს, აგრონომიული პუნქტების მოწყობასა და გაფართოებას.

მავნებლებთან ბრძოლა

ამ ღონისძიებებთან ერთად ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაცვას სხვადასხვა მავნებლებისაგან. გუდაფშუტა, კალია, მინდვრის თაგვები და სხვა მავნე მწერები ყოველ წლიურად დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს მეურნეობას. ფილოქსერა ხომ საშინლად ანადგურებს მევენახეობას. ყველა ამ მავნებლებთან ბრძოლისათვის, გადადებულია 269 ათასი მანეთი.

ასეთივე დაცვას საჭიროებს ჩვენი მესაქონლეობა. ვეტერინარია კარგათ ვერა გვაქვს მოწესრიგებული, ეპიზოოტია ჩვენში კვლავ მძვინვარებს. მისი გავრცელებით გამოწვეული ზარალი უკანასკნელ წლებში მილიონ მანეთებს აღწევს. ჩვენი გეგმა გულისხმობს განუწყვეტელ ბრძოლას საქონლის სხვადასხვა სნეულებებთან. საქონლის ჭირი ჩვენში შემოდის მეზობელ სახელმწიფოებიდან. ამიტომ ჩვენ გვმართებს გავადიდოთ საკარანტინო პუნქტების რიცხვი. გარდა ამისა, მოვაწყოთ საქონლის სამკურნალო ამბულატორიები და გავაფართოვოთ ტაბახმელას ასაცრელი შრატის სადგური. სულ სავეტერინარო საქმეზე განზრახული გვაქვს დავხარჯოთ 2.407 ათასი მანეთი.

ასეთია ჩვენი საერთო ღონისძიებები წინასწარი პირობების შესაქმნელად ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის.

ჩვენი სოფლის მეურნეობა ცალკე დარგების მიხედვით

პურეულის კულტურა

პურის კულტურა ერთი მთავარი დარგთაგანია, რომლის განვითარება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ტეხნიკური კულტურების, რადგან მისი განვითარება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასაც და წარმოადგენს ამავე დროს თესლბრუნვის აუცილებელ პირობას იმ რაიონებში, სადაც ტეხნიკურ კულტურებს ვავრცელებთ. 1927—28 წელს ჩვენ დათესილი გვქონდა მარცვლეულობით 723.760 ჰექტარი. ხუთი წლის განმავლობაში ეს ფართობი 872 ათას ჰექტარამდე უნდა გავადიდოთ, რაც ფართობის 17 პროცენტით გადიდებას უდრის. ფართობის გადიდება არის ერთ-ერთი ღონისძიება პურეულობის მარაგის გასადიდებლად. რაც შეეხება მოსავლიანობის აწევას, იგი დამოკიდებულია იმ ღონისძიებებზე, რომელიც უკვე მოგახსენეთ, (მიწათ-მოწყობა, გადასახლება, მელიორაცია, მექანიზაცია, მიწის განოყიერება, აგროდახმარება და სხვ.) უკვე გამოანგარიშებულია, თუ რამდენი პროცენტით უნდა აიწიოს ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ მოსავლიანობამ. ჩვენი გამოანგარიშებით, პურეულის მოსავლიანობის ზრდა ამ ხუთი წლის განმავლობაში 18—20 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იქნეს. ზოგიერთმა ორგანოებმა, სადაც ეს საკითხი ირჩეოდა, 18—20 პროცენტით მოსავლიანობის აწევა,— დაბალ პროცენტათ მიიჩნიეს. შეიძლება მათი მოსაზრება მართალი იყოს, რადგან ყველა ის მასალები, რომელთა დამუშავების მიხედვით ჩვენ შევქმენით პურეულობის მოსავლიანობის გადიდების გამოანგარიშება, მთლიანად არ ყოფილა გამოყენებული, მაგრამ ჩვენ მოსავლიანობის ამ პროცენტით გადიდებითაც შევასრულებთ საკავშირო მთავრობის მიერ მოცემულ დირექტივას.

მოსავლიანობის აწევის საქმეში დიდი როლი შეიძლება ითამაშოს დასავლეთ საქართველოში ტიღმა, რომლის გამოყენებასაც გულისხმობს ჩვენი გეგმა. ამ ნივთიერებით განზრახულია განოყიერებული იქნეს სულ 40 ათას ჰექტარამდე მიწა. მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ საშუალებას პურეულის კულტურაში წარმოადგენს ჯიშიანი თესლის შემოღება. ჩვენ რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევქმნათ ჯიშიანი თესლის ფონდი. დღემდე ჩვენ ადგილებში ვერ ვაწვდიდით მაღალი ხარისხის და კარგი ჯიშის თესლს. მეტ წილად ჩვენ ადგილებზე ვგზავნიდით დასათესად უვარგის სიმინდს, რომელიც ჩვენ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოგვქონდა და ჩვენ ადგილებს ვუგზავნიდით იმ მიზნით, რომ იგი გადაეცვალათ ადგილობრივი ჯიშის სათესლე მასალაზე, შემდეგისათვის ასეთი მდგომარეობის დატოვება არ შეიძლება. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჯიშიან თესლის შემოღებას, რისთვისაც ჩვენ განზრახული გვაქვს შევქმნათ სახელმწიფო სათესლე ფონდი. პრაქტიკული ზომები უკვე მიღებულია. საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ უკვე ვეწევით ჯიშიანი თესლის მოყვანას. მომავალი წლიდან, ჩვენი გამოანგარიშებით, ჩვენ გვექნება სიმინდის ჯიშიანი თესლი იმ რაოდენობით, რომ სრული 100 პროცენტით დავთესოთ ის ფართობი, რომელიც სიმინდით ითესება. უფრო ცუდათ გვაქვს საქმე პურის თესლის მომარაგების საქმეში. დღემდე ჩვენ პურეულის სადედე არა გვაქვს. მხოლოდ ეხლა ვიღებთ ზომებს

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ჯიშიან თესლის სადგურის მოსაწყობათ. სულ ჯიშიანი თესლის ფონდის შექმნისათვის საჭიროა ერთი მილიონი მანეთი. გარდა ამისა ჩვენ განზრახული გვაქვს ავაშენოთ ბეღლები თესლის შესანახათ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სულ პურეულის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებებზე ხუთ წლიანი გეგმით უნდა დავხარჯოთ 2.355 ათასი მანეთი.

ეხლა შევეხები ტეხნიკურ კულტურებს. გეგმაში უმთავრესი ყურადღება ექცევა შემდეგ ტეხნიკურ კულტურებს: ბამბას; თამბაქოს, ჭარხალს, კენაფს, ამ კულტურების მნიშვნელობაზე არ შევჩერდები, თქვენ ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმას, თუ რა გზით უნდა შევუწყოთ ხელი ამ განვითარებას, მათ მოსავლიანობის აწევას.

ბამბა

ჩვენ განზრახული გვაქვს ბამბის ნათესები გავადიდოთ 20 ათას ჰექტარამდე. 1927 წელს ბამბას ეჭირა მხოლოდ 5 ათასი ჰექტარი. ბამბის სათესი მიწები გამონახული უნდა იქნეს იმ რაიონებში, სადაც ჩვენ სამელიორაციო მუშაობას ვაწარმოებთ. ამ ჟამად ბამბის რაიონებათ ითვლება ბორჩალოს მაზრა. თბილისის მაზრის და კახეთის მცირე ნაწილი. ალაზნის არხის დამთავრების შემდეგ, კახეთის მაზრა გადაიქცევა მებამბეობის მსხვილ რაიონათ, სადაც შეიძლება ბამბის ფართობის გადიდება. დასავლეთ საქართველოში ბამბის მოყვანას არ ვაძლევთ სამრეწველო ხასიათს. ჩვენ მიზნათ ვისახავთ გავადიდოთ არა მარტო ბამბის სათესი ფართობი, არამედ მისი მოსავლიანობა. თუ დღეს მოდის თითო ჰექტარზე 4,9 ცენტნერი, 1933 წელს თითოეულმა ჰექტარმა უნდა მოგვცეს 8,1 ცენტნერი. ბამბის მოსავლის საერთო ღირებულება დღეს უდრის—84 ათას მანეთს, ხოლო 32 წელს ეს ღირებულება 511 ათას უნდა უდრიდეს, თუ ბამბის კულტურის ხვედრითი წონა სხვა კულტურებთან დღეს შეადგენს 0,3 პროცენტს, ხუთი წ. დამლევს იგი 1,3 პროც.-ზე ნაკლები არ უნდა იქნეს.

თამბაქო

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მეთამბაქოეობას, რომელიც წარმოადგენს ჩვენი მრეწველობისათვის არა მარტო დასამუშავებელ მასალას, არამედ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საექსპორტო საქონელს. 1927 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეჭირათ 14.125 ჰექტარი მიწა, ხუთი წლის განმავლობაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი უნდა ავსწიოთ 21.100 ჰექტარამდე. ((49 პროცენტამდე)), ხოლო მოსავლიანობა უნდა გავადიდოთ 7,1 ცენტნერიდან 9 ცენტნერამდე თითო ჰექტარზე. (15 — პროც.) თამბაქოს მოსავალი დღეს უდრის—10 ათას ტონას, ხოლო 5 წლის დამლევს იგი უნდა ავიდეს 18 ათას ტონამდე. ამ გადიდებას ჩვენ უნდა მივაღწიოთ, როგორც ფართობის, ისე მოსავლიანობის გადიდებით, რისთვისაც ხუთი წლის გეგმის თანახმად დაგვჭირდება 7.840 ათასი მანეთის დახარჯვა.

შაქრის ჭარხალი

შემდეგი ტეხნიკური კულტურა, რომელიც ჩვენს გეგმაში შედის, არის შაქრის ჭარხალი. ჭარხალი ჩვენში ახალი კულტურაა. მის მოწევას არ ჰქონია მასიური ხასიათი, ამ ორი წლის წინად ჩვენ მოვახდინეთ საცდელი თესვა და ცდები ჭარხლის შაქრათ გადასამუშავებლად. გამოკვლევამ მოგვცა დადებითი შედეგები: გორისა და გომის რაიონის ჭარხალს აღმოაჩნდა 21,22 პროც. შაქრიანობა, რაც დიდ პროცენტს წარმოადგენს. ეს პროცენტი მიღებული იქნა არა მარტო ჩვენი საკუთარი დაკვირვებებითა და ცდებით, არამედ საბჭოთა კავშირის ქარხნებში ჩვენ მიერ გაგზავნილ ჭარხლების დამუშავებით, ამ ქარხნებიდან მივიღეთ დასკვნა, რომ გორისა და გომის რაიონის ჭარხალი ძალიან რენტაბელურია. შაქრის ტრესტს უკვე გადაწყვეტილი აქვს შაქრის ქარხნის აგება გორის მაზრაში, ჩვენ კი დავალებული გვაქვს ამ ქარხნის უზრუნველყოფა საჭირო ნედლი მასალით. ამ მიზნით ამ ხუთი წლის განმავლობაში ვფიქრობთ გავაშენოთ საბჭოთა მამული ჭარხლის კულტურით 4 ათას ჰექტარზე, რასაც დასჭირდება 1.600 ათასი მანეთი. ჭარხლის ქარხნის აგებას კი დასჭირდება 5 მილიონი მანეთი. ყოველწლიურად ქარხანა დაამუშავებს 80 ათას ტონა ჭარხალს.

კენაფი

ერთ-ერთ ახალ კულტურას ჩვენში წარმოადგენს კენაფი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მრეწველობის დარგში და აგრეთვე თვით სოფლის მეურნეობისათვის. განზრახულია ამ კულტურით გაშენდეს ათას ჰექტარამდე მიწა, რასაც დასჭირდება 564 ათასი მანეთი.

მევენახეობა

ჩვენს განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს მევენახეობა, რომელიც მეტისმეტად დაეცა. თუ ვენახების სივრცე საქართველოში 1885 წელს უდრიდა 87 ათას ჰექტარს, ეხლა ვენახებს უკავიათ მხოლოდ 36 ათასი ჰექტარი და ისიც სანახევროდ განადგურებულია ფილოქსერისაგან. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გავაშენოთ ახალი ვენახები 2 ათას ჰექტარზე და სრულიად განვაახლოთ ძველი ვენახები 10 ათას ჰექტარზე. ამ მიზნით ჩვენ დაგვჭირდება ამერიკული ვაზის სანერგეების გაშენება და სხვ. მევენახეობაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს სულ 10.148 ათასი მანეთი.

მეხილეობა

შემდეგი მნიშვნელოვანი დარგი ჩვენში არის მეხილეობა, რომელიც ამჟამად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ძველი ხილის ბაღები ფუჭდება, ხოლო ახალი არ შენდება. საცდელი მუშაობა არ გვიწარმოებია, არ ვიცით თუ რა ჯიშის ხილი გავაშენოთ და რომელი ჯიში შეეფერება ჩვენს პირობებს. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლიდან ექცევა ყურადღება საცდელ მუშაობას მეხილეობის დარგში. 1927 წელს ხილის ბაღებს ეჭირათ ჩვენში 11 ათასი ჰექტარი. ჩვენ განზრახული გვაქვს ამ ფართობის 18 ათას ჰექტარამდე გადიდება. მოსავალი ჰექტარზე უდრის დღეს 83 ფუთს. ჩვენ ვფიქრობთ გავადიდოთ ას ფუთამდე. ამ მიზნით გადაწყვეტილი გვაქვს გავამრავლოთ ხილის სანერგეები და გლეხებს მივსცეთ სესხი. მეხილეობაზე სულ განზრახულია დაიხარჯოს 1.826 ათასი მანეთი. მეხილეობის საერთო გეგმაში არ შედის თხილის კულტურა, რომელსაც დღეს უკავია სულ 4.900 ჰექტარი. გეგმით განზრახულია ამ კულტურის სივრცის გადიდება 6.500 ჰექტარამდე. თხილის პროდუქცია 1927 წელს უდრიდა 5 მილიონ ფუთს, მეხუთე წლის დამლევს კი უნდა მიაღწიოს 6 მილიონს. თითქოს ეს ცოტაა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, სპეციალური კულტურები მოსავალს იძლევიან არა პირველ წლებში, არამედ ხუთი წლის შემდეგ.

ნარინჯის კულტურა

სუბტროპიკული კულტურისათვის ჩვენში კარგი პირობებია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ კულტურების გავრცელების საშუალება არა გვაქვს, მხოლოდ ჭაობების ამოშრობის შემდეგ შეგვეძლება გავადიდოთ ამ კულტურების ფართობი. მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ნარინჯოვან კულტურებს, რომელთა გასაშენებელი ფართობი განზრახულია გავადიდოთ 2 ათას ჰექტარამდე, ამას დასჭირდება 421 ათასი მანეთი.

ჩაის მეურნეობა

თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს პირობებში ჩაის მეურნეობას, ამაზე მეტია ლაპარაკი. არსებობს განსაკუთრებული საზოგადოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მეურნეობას ხელმძღვანელობს. ხუთწლიანი გეგმით განზრახულია გაშენდეს 31 ათასი ჰექტარი ჩაის მეურნეობა. ასე, რომ ხუთი წლის დამლევს სულ გვექნება 40 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მუშაობა ჩაის მეურნეობის განსავითარებლად სხვადასხვა ხაზით მიმდინარეობს. გადაწყვეტილია მოეწყოს ჩაის მეურნეთა კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობები. თვითეული ათასი ჰექტარის გაშენება ჯდება 1.500 ათასი მანეთი. პლანტატორ გლეხს ჩაის გასაშენებლად თვითეულ დესეტინაზე ეძლევა საჭირო თანხის 40 პროცენტი. 12 წლის ვადით. ამ ხუთი წლის განმავლობაში გლეხობას სესხად მიეცემა, სულ 16 მილიონი მანეთი, ამასთან ერთად უნდა მოეწყოს ჩაის საბჭოთა მამულები 2 ათას ჰექტარამდე. რაც 11 მილიონამდე თანხას მოითხოვს, აშენდება კიდევ ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკები, სულ 48 ფაბრიკა, რომლებიც ხუთი წლის დამლევს დაამუშავებენ 890 ათას ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. ქარხნების ასაგებათ საჭიროა სულ 28 ნახევარი მილიონი მანეთი. ამ დარგში გვერდს ვერ აუვლით საცდელ მუშაობასაც, რომლისათვის გათვალისწინებულია გაღებულ იქნეს—1 600 ათასი მანეთი. აგრი-კულტურულ მუშაობისათვის საჭირო იქნება 2.061 ათასი მან. სულ ჩაის მეურნეობისათვის ხუთ წლიანი გეგმა ითვალისწინებს 6.087 მანეთის გაღებას.

მესაქონლეობა

ეხლა მე გადავალ მესაქონლეობაზე, მესაქონლეობის განვითარება დამოკიდებულია საკვებ მასალაზე და საბალახოზე, თუ ამით არ ვიქნებით უზრუნველყოფილი, მესაქონლეობის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დღეს კი ჩვენი საკვები მასალა და საბალახოები მესაქონლეობას გასაქანს არ აძლევენ, ჩვენი საძოვრები არ არის მოწყობილი, გაუმჯობესებული, მათი ფართობი მცირეა და სხვა, აუცილებელია, რომ ჩვენი საბალახოების სივრცე გადიდებულ იქნეს ასი ათას ჰექტარამდე რასაც დასჭირდება 1.670 ათასი მანეთი, ამ საკითხის მოგვარების გარეშე წარმოუდგენელია მესაქონლეობის წინსვლა, ჩვენში ითვლება 1,501,900 მსხვილფეხა საქონელი, 5,1 პროც. მეტი, ვიდრე ომამდე იყო, თუმც რიცხვობრივად მესაქონლეობა მატულობს, მაგრამ მისი პროდუქცია არ იზრდება, მიტომ, რომ ჩვენ მესაქონლეობის გაუმჯობესებას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენი საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად დღემდის თითქმის არაფერი გაგვიკეთებია, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ მხრივ გადადგმული, ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს ჩვენმა ხუთწლიანმა გეგმამ, რომელიც ითვალისწინებს ჯიშიან საქონლის 12 სამომშენებლო და 80 გასაგრილებელ პუნქტის მოწყობას, რაზედაც განზრახულია დაიხარჯოს 2.200 ათასი მანეთი კრედიტის სახით. განზრახულია აგრეთვე გლეხობას მიეცეს 13.600 ათასი მანეთი ჯიშიან საქონლის მოვლა-მოშენებისათვის, ამგვარად ხუთი წლის დამლევს ჩვენ უნდა მივიღოთ მსხვილფეხა საქონლის ზრდა 19,6 პროცენტით, აქედან ხარებისა და საერთო მუშა საქონლის 24 პროცენტით, მეწველ საქონლის 24,1 პროც. მსხვილფეხა საქონლის მოსაშენებლად განზრახულია დაიხარჯოს ათ მილიონ შვიდას ოთხმოცდა ათი მანეთი, მუშა საქონლის რვა მილიონი, მეცხვარეობაზე შვიდას ოთხმოცდა თექვსმეტი ათასი მანეთი, სულ მესაქონლეობაზე უნდა დაიხარჯოს ოცდა ცხრა მილიონი სამოცდა ცხრამეტი ათასი მანეთი, ამაში შედის აგრეთვე მეცხვარეობაც, რომლის გასაუმჯობესებლად დიდი მუშაობა სწარმოებს. მოწყობილია მეცხვარეობის საბჭოთა მამულები და განზრახულია მისი კიდევ გაფართოება. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ თუშური ცხვარის ჯიშის გაუმჯობესებას, ამ მიზნით ვაწარმოებთ მერინოსული და თუშური ცხვრის შეჯვარებას, კერძოთ მეცხვარეობას უნდა მოვახმაროთ ამ ხუთი წლის განმავლობაში ხუთას ოთხმოცდა თორმეტი ათასი მანეთი. ნაკლები ყურადღება არ ექცევა მეღორეობას, რომელიც დღემდე უყურადღებოთ იყო მიტოვებული, სიმინდის ნათესების გაფართოება აუცილებლად ხელს შეუწყობს მეღორეობის და მეფრინველეობის განვითარებას ჩვენში, რადგან საქონლის მეურნეობის ეს დარგები მეტად რენტაბელურია ჩვენი გლეხობისათვის, განზრახული გვაქვს მეღორეობა გავაფართოვოდ 33,9 პროცენტით. გავადიდოთ აგრეთვე მისი ნაყოფიერება 48 პროც. მეღორეობის მთავარ რაიონებში განზრახულია საბეკონო ქარხნების აშენება. მესაქონლეობის ამ დარგს დასჭირდება მილიონ ოთხას ცხრამეტი ათასი მანეთი.

მეფრინველეობა

ჩვენი ყურადღების გარეშე ვერ დარჩება მეფრინველეობა, მცირე მიწიანობა და მიწის სივიწროვე გვიკარნახებს, რომ უფრო მეტად ვიზრუნოთ ჩვენებური ფრინველების ხარისხის და ჯიშის გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ ცოტა კეთდებოდა, [illegible] პირველი ნაბიჯი არის გადადგმული. გამოკვლევით დიდი მომავალი აქვს [illegible], რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა კვერცხისა და ხორცის სახით. ჩვენ საჭიროდ ვცანით მოვაწყოთ ფრინველის 12 სამომშენებლო სადგური, ავაგოთ კვერცხის შესანახი 25 საწყობი და მოვაწყოთ ინკუბატორები, ჯერ-ჯერობით ინკუბატორები მოწყობილია სამტრედიაში, განზრახული გვაქვს მოვაწყოთ მეფრინველეთა ამხანაგობები, ეს საქმე მინდობილი აქვს „სოფლის კავშირს", რომელსაც მიცემული აქვს ამ საქმის მოსაწყობად 600,000 მანეთი, სულ მეფრინველეობაზე განზრახულია დაიხარჯოს რვაას ოთხი ათასი მანეთი. ჩვენი გეგმის ის ნაწილი, რომელიც მეფრინველეობას შეეხება საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და მოითხოვს კიდევ შესწორებების შეტანას.

მეაბრეშუმეობა

ჩვენ მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეაბრეშუმეობას, რომელზედაც დაწვრილებით არ შევჩერდები, ვინაიდან ამ კულტურის განვითარებას აქვს საზღვარი, რომლის გადალახვასაც ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარი ღონისძიებებით, ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ დასარიგებელი კოლოფების რაოდენობა მხოლოდ 21 პროცენტით, რადგან თუთის ხის განსაზღვრული რაოდენობა მეტის დარიგების საშუალებას არ იძლევა, საქართველოში თუთის ხე ძალიან ცოტაა, რასაც უნდა შეუფერხდეს მეაბრეშუმეობის განვითარება, თუთის ახალი პლანტაციების გაშენება შედეგს მოგვცემს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ. საამისოთ ზომები მიღებულია, შენდება თუთის ხის სანერგეები, რომლებიც გლეხობაში გაავრცელებენ თუთის ხის ნერგებს.

მეაბრეშუმეობის მოსავლიანობის გადიდებას ვფიქრობთ აგროკულტურული მუშაობის გაძლიერებით, გამოყოფილია სპეციალისტთა კადრი, რომელიც გლეხობას ასწავლის აბრეშუმის მოვლა-მოშენებას, გარდა ამისა ეწყობა საინკუბატორო სადგურები, რომლებიც დაარიგებენ გამოყვანილ თესლს, ყველა ეს ზომები ხელს შეუწყობენ მოსავლიანობის აწევას. თუ თითო კოლოფზე ეხლა ვღებულობთ ფუთ ნახევარს, ხუთი წლის დამლევს მოსავალი თვითეულ კოლოფიდან ორ ნახევარ ფუთამდე უნდა ავიდეს.

მეაბრეშუმეობაზე უნდა დაიხარჯოს სულ ორი მილიონ შვიდას ორმოცდა ექვსი ათასი მანეთი.

ასეთია მოკლედ ჩვენი პერსპექტივები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

სოციალისტური სექტორი სოფ. მეურნეობაში

ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავემყარებით იმ დირექტივებს, რომელიც მთავრობის მიერ გვაქვს მოცემული და რომლის თანახმად ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოციალისტური სექტორის გაძლიერებას სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა მეურნეობანი

რა მდგომარეობაშია ამჟამად სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი? ავიღოთ საბჭოთა მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა დღემდე ვერ ასრულებდა და ვერ ასრულებს იმ როლს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისაგან აქვს დაკისრებული, იმიტომ, რომ საამისოთ იგი არ იყო მომზადებული. საბჭოთა მეურნეობა საქართველოში საჭიროებს რეორგანიზაციას, რეკონსტრუქციას. მათი ისეთი მდგომარეობაში დატოვება, როგორშიც არის დღეს, შეუძლებელია, მას საფუძვლად არ უნდა ედვას მხოლოდ კომერცია, ის უნდა იყოს სკოლა, რომელიც ასწავლის გლეხობას კულტურულ მუშაობას და რომელსაც საჩვენებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ რაიონის გლეხობისათვის, სადაც საბჭოთა მეურნეობაა მოწყობილი, მეორე უნდა გავაფართოვოთ საბჭოთა მეურნეობის ქსელი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გავამრავლოთ კარლიკური საბჭოთა მეურნეობები. საბჭოთა მეურნეობა უნდა ისახავდეს კულტურულ მიზნებს და ამავე დროს რენტაბელურიც უნდა იქნეს. სწორედ ამას გულისხმობს ხუთ წლიანი გეგმაც, სულ ამჟამად საქართველოში არის 38 სახელმწიფო მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელთა სივრცე უდრის 33.141 ათას ჰექტარს. უმთავრესად საბჭოთა მეურნეობები ეწევიან მევენახეობას, დანარჩენ დარგებში მაგალ. მეხილეობის, პურეული კულტურის, მესაქონლეობის, მეცხვარეობის დარგებში მხოლოდ ეხლა ვაწყობთ საბჭოთა მეურნეობებს.

ეწყობა ფერმა ციხის ჯვარში. ორი წლის შემდეგ ამ ფერმიდან კოლმეურნეობას ყოველ წლიურად მივაწვდით საუკეთესო ჯიშის 80 ბუღას და 80 ძროხას. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და უნდა ვიფიქროთ, რომ გეგმა სრული ასი პროცენტით იქნება განხორციელებული. დიდი ნაბიჯი გადასდგა აგრეთვე საბჭოთა მამულების ტრესტმა თუშური ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ ეს საკმაო არ არის. როგორც ვსთქვით, საჭიროა, ჩვენი საბჭოთა მეურნეობის რეკონსტრუქცია მათი გამრავლება, მათი უზრუნველყოფა სათანადო მოწყობილობით და ინვენტარით. გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ახალ საბჭოთა მეურნეობის მოწყობა:

1. შირაქის საბჭოთა მეურნეობა სადაც წარმოდგენილი იქნება პურეული კულტურები და მეცხვარეობა. მეურნეობის არე უნდა იქნეს 12.185, აქედან 10.000 ჰექტარი საძოვრები.
2. ელდარის საბჭოთა მეურნეობა 1.115 ჰექტარი, აქ იქნება მემინდვრეობა ტეხნიკური კულტურების გარჩით (ბამბა) და მეცხვარეობა.
3. ყარაიას საბჭოთა მეურნეობა 1.115 ჰექტარი ინტენსიური მემინდვრეობა (პურეული და ბამბა).
4. ტირიფონის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც აგრეთვე იქნება უმთავრესად მემინდვრეობის განხრა.
5. აფხაზეთში მოეწყობა 2 მეთამბაქოების მეურნეობა 280 ჰექტარზე.
6. მოეწყობა შვიდი ახალი ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელთა საერთო სივრცე იქნება 3.000 ჰექტარი.

დაბოლოს, გორის მაზრაში მოეწყობა შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობა, სივრცით 4.000 ჰექტარი და ფოთის რაიონში კენაფის საბჭოთა მეურნეობა 1.000 ჰექტარზე.

ამრიგად, ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება სულ 51 საბჭოთა მეურნეობა, ნაცვლად 38 ამჟამად. მათი საერთო სივრცე იქნება 63.000 ჰექტარზე მეტი, ე. ი. გაიზრდება თითქმის 100 პროცენტით. სულ საერთო პროდუქციის ღირებულება იქნება 5 მილიონ მანეთზე მეტი, ნაცვლად დაახლოვებით 2.000.000 მანეთისა ეხლა. საბჭოთა მეურნეობის ხაზით ხუთი წლის განმავლობაში გეგმით უნდა დაიხარჯოს კაპიტალურ დაბანდებაზე 24.400 ათასი მანეთი, რაც შეადგენს ყველა კაპიტალურ დაბანდებათა დაახლოვებით 11 პროცენტს.

კოლმეურნეობანი

ეხლა მე გადავალ კოლმეურნეობებზე.

იმ ღონისძიებათა შედეგათ, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება იღებს კოლმეურნეობათა მშენებლობის განსავითარებლად, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ გვაქვს უდაო მიღწევები ამ დარგში. ნაცვლად რამოდენიმე ათეულ კოლექტივისა, რომელიც იყო საქართველოში ამ ორი წლის წინად, ჩვენ 1928 წ. 1-ლ იანვრისათვის გვქონდა უკვე 524 კოლმეურნეობა. თუ ჩვენ სამანქანო ამხანაგობასაც ვიანგარიშებთ, კოლმეურნეობათა რიცხვი 618 აღწევს. აქედან კომუნა არის 15. არტელი 429, მიწის საზოგადო შრომით დამუშავების ამხანაგობა — 80 და სამანქანო ამხანაგობა 89. სულ კოლმეურნეობაში (სამანქანო ამხანაგობების გარეშე) გაერთიანებულია 9.817 მეურნეობა და 19.400 ჰექტარი მიწა, თუ სამანქანო ამხანაგობასაც ჩავთვლით, მეურნეობათა რიცხვი იქნება 12.246 და გაერთიანებული მიწის ფონდის ფართობი 26.500 ჰექტარი. ამრიგად, უკვე ამ ჟამად კოლმეურნეობაში, სამანქანო ამხანაგობათა ჩათვლით, გაერთიანებულია ყველა მეურნეობათა 2,9 პროც. სამანქანო ამხანაგობების გარეშე კი 2,1 პროც.

გეგმით განზრახულია ხუთი წლის განმავლობაში კოლმეურნეობაში გაერთიანებულ იქნას ღარიბი გლეხობის 50 პროცენტი, რაც დაახლოვებით შეადგენს ყველა მეურნეობათა 16 პროცენტს, ანუ 72.000 მეურნეობას, რომელნიც გაერთიანებული იქნებიან 1.450 კოლმეურნეობაში. გაერთიანებული მიწის ფონდი მიაღწევს 218.000 ჰექტარს ე. ი. ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწების 15,3 პროცენტს, კოლმეურნეობათა ნათესების არე აყვანილი იქნება საერთოდ ნათესების არეს 16 პროცენტამდე. კერძოდ, ბამბის ნათესების მიმართ კი, კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა გაცილებით მეტი იქნება 18 პროც., ხოლო მისი სასაქონლო ნაწილში 21,8 პროც.. საშუალო მოსავალი ჰექტარზე კოლმეურნეობაში დაახლოვებით 20 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში.

კოლმეურნეობათა მშენებლობის ასეთი ტემპის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმიტომ, რომ გეგმით ყველა ღონისძიებების გატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოლმეურნეობებს. შედეგათ ამისა უშუალოდ კოლმეურნეობათა ხაზით დახარჯული იქნება კაპიტალურ დაბანდების სახით 34 მილიონი მანეთი. ამაში არ შედის ის თანხები, რომელიც მოხმარდება კოლმეურნეობებს მიწათმოწყობის, გადასახლების, აგროდახმარების, მელიორაციის და სხვა საერთო ხასიათის ღონისძიებათა ხაზით.

კოლმეურნეობათათვის ფინანსების ასე ფართო მასშტაბით მიწოდება, შესაძლებლობას მოგვცემს 5 წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ კოლმეურნეობანი საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის თითქმის 100 პროცენტით. გადავიყვანოთ ყველა კოლმეურნეობანი წმინდა ჯიშის თესლზე. უზრუნველვყოთ ისინი მუშა და სამრეწველო საქონლით. ახალი ჩაის პლანტაციების ხეხილის და ვენახების გაშენება მოხდება უმთავრესად კოლ-მეურნეობათა ხაზით. ახლად მელიორაციაქმნილ მიწებიდან კოლმეურნეობებში გაერთიანებული იქნება 24.000 ჰექტარი.

ყველა ეს, აგრონომიული და საორგანიზაციო დახმარების და ხელმძღვანელობის გაძლიერებასთან ერთად, მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას უახლოეს 5 წლის განმავლობაში არა მარტო რიცხობრივად გავადიდოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტიური სექტორი, არამედ ხარისხობრივადაც გავაუმჯობესოთ იგი და მივიღოთ ნამდვილი დაწინაურებული შედარებითი მსხვილ სოციალისტური მეურნეობა.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისა და მის სოციალისტურად გარდაქმნის უზრუნველსაყოფად გეგმით დასახულია ფართო სისტემა ღონისძიებათა, რომელთა განხორციელება ხუთი წლის განმავლობაში მოითხოვს კაპიტალური დაბანდებათა სახით — 225.327.000 მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერება ევალება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. მე მოგახსენებთ, უკვე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, როგორც ჩვენი მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აგრეთვე ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ინდივიდუალური მეურნე შეაკავშიროს, აწარმოოს გეგმიანი მუშაობა და ამ მუშაობით მოახდინოს ზეგავლენა ინდივიდუალურ მეურნეობაზე, რომ მათში შეიტანოს გეგმიანობა.

განზრახულია სოციალისტურმა სექტორმა 5 წლის თავზე უნდა დაამზადოს 74 პროც. მთელი ღირებულებისა, ეს ცხადჰყოფს თუ როგორ უნდა გადიდდეს და გაიზარდოს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დონე, როგორც დამზადების სოფლის პროდუქციის, ისე რეალიზაციის და გადამუშავების მხრით. ამისათვის თუ ჩვენ არ გავაფართოვებთ ქსელს ამ კოოპერაციისას, თუ არ ჩავაბამთ კოოპერაციაში ფართო მასებს, ისე საქმე არ გაკეთდება.

დღეს სასოფლ-სამეურნეო კოოპერაცია აკავშირებს—198 ათას მეურნეს, ესე იგი მთელი მოსახლეობის 41 პროცენტით, ხუთი წლის დამლევს კი მან უნდა შეაკავშიროს 381.000 ათასი, ე. ი. მთელი მოსახლეობის 80 პროც..

წევრების ზრდასთან ერთად კოოპერაციაში იმატებს საპაიო და ძირითადი თანხა, რაც მას საშუალებას მისცემს გააფართოვოს თავის სამოქმედო ასპარეზი. დღეს-დღეობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ამზადებს 16.000.000 მანეთად ღირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მეხუთე წლის დამლევს უნდა დაამზადოს 97 მილიონი მანეთის საქონელი. ზრდა უდრის 427 პროცენტს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გაადიდებს აგრეთვე იმ საქონლის მიწოდებას, რომელიც ესაჭიროება ჩვენს გლეხს. ამჟამად იგი აწვდის 3.190-ათასი მანეთის საქონელს, 1933 წ.-კი უნდა მიაწოდოს 15.500.000 მანეთის საქონელი.

დიდი მუშაობა მოუხდება სას.-სამ. კოოპერაციას კონტრაქტაციის ხაზით. კონტრაქტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის, ისე გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის; კონტრაქტაცია საშუალებას აძლევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მუდმივი უშუალო კავშირი იქონიოს გლეხობასთან, უშუალოდ უხელმძღვანელოს მის მეურნეობის განვითარებას. განზრახულია მთელი ჩვენი ტეხნიკური მეურნეობანი მთელი 100 პროცენტით გადავიყვანოთ კონტრაქტაციაზე, ხოლო სპეციალური კულტურები 60—70 პროცენტით მაინც.

ასეთია ის ამოცანები, რომელთა გადაჭრა ევალება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

თანხები სოფ. მეურნეობის განვითარებისათვის

ეხლა გადავალ იმ თანხებზე, რომლებიც სჭირდება ამ ღონისძიებების გატარებას.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება საჭიროებს სულ 225.000.000 მანეთს, აქედან საერთო ხასიათის ღონისძიებებზე (მელიორაციის ჩათვლით) უნდა დაიხარჯოს—97.963 ათასი მანეთი (43,5 პროც.), მემცენარეობაზე —86.283,000 მანეთი (38,3 პროც.), დანარჩენი თანხა მოხმარდება სხვა დარგებს, ამთანხებიდან 71,8 მილ. მანეთი (გადასახლების, მიწად მოწყობის და მინერალური სასუქების სათანადო ნაწილის ჩათვლით) ანუ ყველა ხარჯების 31,9 პროც. გაწეული იქნება საბჭოთა მეურნეობის დაკოლმეურნეობების ხაზით, 34,4 მილ მანეთი (15,3 პროც.) მოხმარდება ინდივიდუალურ სექტორს; დანარჩენი—119 მილ მანეთი (42,8 პროც.) კი დაიხარჯება საერთო ხასიათის ღონისძიებებზე, როგორიც არის ინდუსტრიალიზაცია, მელიორაცია. აგროდახმარება და სხვა.

მთელი ამ თანხებიდან საკავშირო ბიუჯეტით უნდა იქნეს გაღებული 53.148 ათასი მანეთი, ამიერ-კავკასიის ბიუჯეტით—52.766 ათასი მანეთი, რესპუბლიკის ბიუჯეტით 20.210.000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტით 677.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ხაზით—63.683 ათასი მანეთი და სხვადასხვა წამოწყებათა საკუთარი თანხებიდან—34.834 ათასი მანეთი.

ამ თანხების გაღების შემდეგ იმ ღონისძიებების გასატარებლად, რომლებიც ზევით იყო დასახელებული,—სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 268.010 ათას მანეთიდან უნდა გაიზარდოს 384.122,900 მანეთამდე, ანუ 43,4 პროცენტი. თუმცა დაბანდებულმა თანხამ, ერთი შეხედვით; მეტი ეფექტი უნდა მოგვცეს, მაგრამ საქმე იმაშია; რომ ამ თანხიდან ზევრი იხარჯება სპეციალურ კულტურებზე, რომლებიც ნაყოფს შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში მოგვცემენ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ამხანაგებო, ნება მომეცით აქითი დავასრულო ჩემი მოხსენება, და ვსთქვა, რომ ყველა ამ ღონისძიებების გატარება მთელი 100 პროცენტით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება ჩვენი მიდგომა, ჩვენი დამოკიდებულება გლეხობის მთავარ მასისადმი. ჩვენ გვმართებს სისწორით გავატაროთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, რომლის დედა-აზრი სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობაა, ამ კანონის თანახმად სრული სისწორით უნდა აღვრიცხოთ საგადასახადო ობიექტები, სისწორით გამოვიმუშაოთ გადასახადის ნორმები, ასეთივე სიფრთხილე გვმართებს სოფლის მეურნეობის დაზღვევის საქმეში.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი პრინციპი, რომელიც გვავალებს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით მკაცრ შეტევას კულაკობის წინააღმდეგ. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მშენებლობაში უნდა ჩავაბათ ყველა ის ძალები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან არა მარტო ამ შეგნებით, არამედ გლეხობის ფსიქოლოგიის ცოდნითაც. ეს აუცილებელი პირობაა. თუ ასეთი შეგნებით, ასეთი გრძნობით შეუდგებით მუშაობას ყველანი,—როგორც ცენტრში მომუშავე, ისე ადგილობრივი ამხანაგები,—ეჭვი არ არის, რომ ჩვენ შევსძლებთ სოფლის მეურნეობის განვითარებას სოციალისტურ საფუძველზე. (მხურვალე ტაში).

ამხ. ს. ჯუღელის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

მისალმება ყრილობას

დასასრულ ყრილობას მიესალმნენ: სომხეთის მე-6 საბჭოთა ყრილობის სახელით ამხ. **ული ბეკოვი,** ცაკის სახელით კავკასიის პირველ მსროლელი დივიზიის სახელით ამხ. **კოვალიოვი,** ქალაქის რაიონის მუშათა სახელით ამხ. **შევჩენკო,** 26 კომუნარის რაიონის სახელით ამხ. **სისოიანი,** პროლეტარული მწერლობის სახელით ამხ. **ეული,** საქართველოს მწერალთა ფედერაციის სახელით ამხ. **მიწიშვილი** და სასოფლო-მეურნეობის სპეციალისტების სახელით ამხ. **ხოფერია.**

პილსუდსკის წერილის კომენტარიები პოლონეთის პრესაში

ოპოზიციონური პრესა პილსუდსკის წერილს უწოდებს ბოდვას

ინგლისის სავაჭრო პალატები მოითხოვენ ურთიერთობის მოგვარებას საბჭ. კავშირთან

პოლონეთის პრესა პილსუდსკის წერილის შესახებ

ვარშავა, 10 აპრილი. გაზეთები განაგრძობენ პილსუდსკის წერილის კომენტარიებს. მთავრობის პრესა იწონებს მარშალის გამოსვლას. „გლოს პრავდი"-ს პილსუდსკის წერილი მიაჩნია სეიმის სამართლიანად დასჯად. იგი ილაშქრებს ოპოზიციონური პრესის წინააღმდეგ, რომელიც პილსუდსკის წერილს მისი ავადმყოფური მდგომარეობის შედეგად სთვლის.

„კურიერ პორანი" პილსუდსკის ზოგიერთ გამოთქმას უწოდებს „ძველ-პოლონურ სიტყვებს, რომლებითაც პოლონელი მწერლები სარგებლობდნენ მე-16 საუკუნეში".

კათოლიკური გაზეთი „პოლონია" დაუინებით იმეორებს, რომ პილსუდსკი ავად არის, და სწერს:

„ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ ძალაუფლება პოლონეთში ხელთ იგდო ისეთმა ადამიანმა, რომელიც აღიარებს, რომ ავად გახდა დღემდე გამოურკვეველი სენით. მძიმედ ავადმყოფ ადამიანს საშუალება ეძლევა გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ბედ-იღბალზე. ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის მაგიერ პილსუდსკის ესაჭიროება სიმშვიდე და ექიმის მოვლა. გვაკვირვებს, რომ პრესა, რომელიც თითქოს პილსუდსკის ერთგულია, აქვეყნებს ავადმყოფის ბოდვას და ფულსაც კი აძლევს ამაში. როგორ მოხდა, რომ არ აღმოჩნდა ისეთი პროკურორი, რომელსაც კონფისკაცია მოეხდინა ავადმყოფი ადამიანის ნაწარმოებისათვის, რადგან ეს ნაწარმოები საშიშია უფლებრივი წყობილებისათვის. მას შეუძლია არეულობის გამოწვევაც". (ადს)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან უთანხმოების მოგვარებას

ლონდონი, 10 აპრილი. ამ კვირას ლონდონში გაიმართება ინგლისის სავაჭრო პალატათა გაერთიანების კონფერენცია. ქალაქ პრესტონის სავაჭრო პალატას განზრახული აქვს წარუდგინოს კონფერენციას რეზოლიუცია, რომელიც ესალმება ინგლისის დელეგაციის გამგზავრებას საბჭოთა კავშირში და მოითხოვს ინგლისის მთავრობამ ყოველგვარი საშუალება იხმაროს საბჭოთა მთავრობასთან არსებული უთანხმოების მოსაგვარებლად. (ადს)

ინგლისის პრესა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

ლონდონი, 10 აპრილი. ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუს"-ი ეხება პიატაკოვის საუბარს ინგლისის დელეგაციასთან და სწერს:

„რუსეთის პოლიტიკური ცნობის საჭიროება ცხადია, მაგრამ ვიდრე ხელისუფლება ბოლდუინის მთავრობას ეკუთვნის, საშუალება არ არსებობს მუდმივ საფუძველზე მოწესრიგდეს რუსეთთან ვაჭრობა". (ადს).

ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობათა წინააღმდეგ

ვარშავა, 10 აპრილი. პოლონეთის პრესამ გამოიყენა ბარანოვიჩში მომხდარი ტრაღიკული ინცინდენტი და საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის წარმომადგენლობათა წინააღმდეგ დაიწყო ცილისწამების კამპანია, რომელიც არ შეუწყვეტია აპანასევიჩის უეცარი სიკვდილის შემდეგაც. დამახასიათებელია ვილნოდან მიღებული და „პშეგლონდ ვეჩორნის მიერ გამოქვეყნებული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„აპანასევიჩის სიკვდილის ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვილნოში, მით უმეტეს, რომ იგი იმ დროს მოკვდა, როცა მის მსხვერპლთ მარხავდნენ". (ადს).

აღმოსავლეთ-პრუსიის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 11 აპრილი. 10 აპრილს საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლეჟავამ მიიღო აღმოსავლეთ პრუსიის დელეგაცია. მიღებას დაესწრო საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული კენიგსბერგში ამხ. მეერსონი.

მოსკოვი, 11 აპრილი. 10 აპრილს გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ფონ-დირქსენმა და პრუსიის ეკონომიური დელეგაციისა და გერმანიის საელჩოს მთელმა შემადგენლობამ დაათვალიერეს მოსკოვი (ადს).

ბერლინი, 10 აპრილი. გერმანიის გაზეთები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს აღმოსავლეთ - პრუსიის დელეგაციის ყოფნას საბჭოთა კავშირში და დაწვრილებით ცნობებს აათვსებენ იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ მას საბჭოთა კავშირში.

„კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგ"-ი ესალმება საბჭოთა პრესაში გამოთქმულ სურვილებს იმის შესახებ, რომ ამ მგზავრობამ ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას (ადს).

„როტე-ფანე" რევოლიუციონური ფრთის გამარჯვების შესახებ

ბერლინი, 10 აპრილი. „ლეუნავერკე"-ს ფაბკარხკომების არჩევნებში პროფკავშირთა მემარცხენე ფრთამ მიიღო 18 მანდატი, რეფორმისტებმა—10, ფაშისტების სიამ (ფოლადის მუზარადი)—3 მანდატი, ქრისტიანული სოციალისტების პროფკავშირმა—7 მანდატი.

„როტე ფანე" რევოლიუციონური ფრთის ამ გამარჯვების გამო სწერს:

„გერმანიის და ევროპის ქიმიური მრეწველობის უდიდეს საწარმოთა მუშებმა მხარი დაუჭირეს სოციალური რევოლიუციის პარტიას. მომავალ მსოფლიო ომში და ამისათვის მზადებაში „ლეუნავერკე"-ს, როგორც სამხედრო მოწყობილობათა დამამზადებელ უდიდეს რაიონს ევროპაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. „ლეუნავერკეს" საწარმოთა მუშები გერმანიის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს უცხადებენ: „გადამწყვეტ მომენტში „ლეუნავერკე"-ს გადავაქცევთ პროლეტარულ აჯანყების დასაყრდენადო. არჩევნები „ლეუნავერკე"-ში ზედმეტად ამტკიცებს, რომ გერმანიის კომპარტია გერმანიის მრეწველობის უდიდეს საწარმოთა პარტიაა". (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 10 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება თანამედროვე მდგომარეობის გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგების შესახებ. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით ექსპერტთა მოლაპარაკება პარიზში რეპარაციების შესახებ, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გერმანიაში შენარჩუნებულ იქნას საქმის უნარიანი მთავრობა. ამიტომ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ უზრუნველჰყოს სახელმწიფო მეურნეობის საფუძველთა სიმტკიცე და რომ 1929 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ახლო მომავალში წარედგინოს რეიხსტაგს განსახილველად. ამიტომ გერმანიის მთავრობა უერთდება იმ წინადადებებს, რომლებიც დამუშავებულია სოციალ-დემოკრატიული, სახალხო, დემოკრატიული ბავარიის სახალხო და ცენტრის პარტიების საბიუჯეტო ექსპერტების მიერ. მთავრობა ერთსულოვნად გამოდგა ამ წინადადებათა განსახორციელებლად, ამასთან იმ წინადადებათა განსახორციელებლადაც, რომლებიც სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს შეეხებიან: გერმანიის მთავრობას ხსენებული პარტიების საპარლამენტო ფრაქციების დახმარების იმედი აქვს. ამასთან იგი დაუყოვნებლივ შეუდგება კაბინეტის გაფართოებას, რომლის განზრახვა დიდი ხანია აქვს.

პარლამენტის ყველა დაინტერესებულმა ფრაქციამ მოიწონა საპარლამენტო ფრაქციების გადაწყვეტილებანი. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან ამ ნიადაგზე დაეხმარონ მთავრობას" (ადს).

ჩ ი ნ ე თ შ ი

ჩან-კაი-ში გადადგომას აპირებს

შანხაი, 10 აპრილი. ჩან-კაი-შიმ გამოაქვეყნა დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ხანკოუში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ იგი დაბრუნდება ნანკინში და სამსახურიდან გადადგება. ჩან-კაი-ში ფიქრობს საზღვარგარეთ წასვლას.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ გუანსიელების წინააღმდეგ მიმართული დამსჯელი ექსპედიცია არ უნდა დასჯერდეს ლი ძუ-ჟენის და პაი ძუნ-ჩის დამხობას; ეს ექსპედიცია უნდა მიმართული იქნას ყველა კონტრ-რევოლიუციონერის წინააღმდეგ, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ცენტრალური მთავრობის სიმკვიდრე.

ჩან-კაი-შის საჭიროდ მიაჩნია მტკიცე დისციპლინა და უმრავლესობისადმი მორჩილება; იგი თავს დამნაშავედ სთვლის იმაში, რომ დროზე არ მიიღო წინასწარი ზომები, რის გამოც საჭირო გახდა იარაღის ხმარება. (ადს).

ნანკინელები შეშფოთებული არიან

შანხაი, 10 აპრილი. ამერიკული „ივნინგ ნიუსი" იუწყება: ოფიციალური ცნობების მიუხედავად, ნანკინსა და უხანში მმართველი წრეები შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ფინ იუი-სიანის ჯარი ხუბეის შეესია.

„ნანკინში,—სწერს გაზეთი,—მდგომარეობა დაძაბულია, რადგან შესაძლებელია თავდასხმა სატახტო ქალაქზე, რომელიც ფაქტიურად უჯაროდ დარჩა".

გაზეთის ცნობებით, იმას, რომ ფინ იუი-სიანმა ხელში ჩაიგდო პეკინ-ხანკოუს და ლუნხაის რკინის გზების მოძრავი შემადგენლობა, ნანკინის წინააღმდეგ მიმართულ მუქარად სთვლიან. იანძიდან დაბრუნებულ უცხოელ ჟურნალისტების სიტყვით, არსად არ სჯერათ ფინ იუი-სიანის განცხადება იმის შესახებ, რომ ის ლოიალურად ექცევა ნანკინს. (ადს).

ღელვარება რუმინეთში

ვენა, 10 აპრილი. რუმინეთის მრავალ ქალაქში გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიაც მუშებს წინადადება ეძლევათ მოიგერიონ პოლიციის ახალი იერიშები და იძიონ ტემეშვარში დაჭრილი მუშების შური. პოლიციამ აკრძალა საპროტესტო კრება, რომელიც 14 აპრილისათვის ბუქარესტში მოიწვიეს უნიტარულმა პროფკავშირებმა და მუშურ-გლეხურმა ბლოკმა პროტესტის ნიშნად ტემეშვარში პროფკავშირთა სახლზე თავდასხმის გამო.

ბუქარესტში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს უნიტარულ პროფკავშირთა ბლოკის მუშაკები, ტემეშვარში დაპატიმრებულთაგან საპყრობილეში დასტოვეს 9 კაცი, მათ შორის უნიტარულ პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე მიულერი, აგრეთვე მუშურ-გლეხური ბლოკის მოღვაწენი.

მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ტემეშვარში პოლიციამ სასროლ იარაღს მიმართა, თუმცა იცოდა, რომ პროფკავშირთა სახლში ქალები და ბავშვები იყვნენ. (ადს).

გერმანიის კომპარტიის გამარჯვება

ბერლინი, 10 აპრილი. ცვენკაუს (საქსონია) ქალაქის საბჭოს არჩევნებში გერმანიის კომპარტიამ მიიღო 1.350 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა—1.100 ხმა, გაერთიანებულმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა — 840 ხმა. კომპარტიის წრეებში არჩევნების შედეგები მიაჩნიათ კარგ ნიშნად საქსონიის ლანდტაგის მომავალი არჩევნებისათვის და „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატებისა და ბრანდლერის მომხრეთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლისათვის. ამ უკანასკნელთ საქსონიაში ნაწილობრივი გამარჯვების იმედი ჰქონდათ.

ფაშისტები გადატრიალებისათვის ემზადებიან

ვენა, 10 აპრილი. ბილახში გაიმართა კარინტიის ხეიმვერის მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა ხეიმვერის ორგანიზაციათა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ პფრიმერმა განაცხადა::

„მარქსიზმთან მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შეიძლება. ხეიმვერმა ბოლო უნდა მოუღოს მართვა-გამგეობის დემოკრატიულ სისტემას და შესცვალოს კონსტიტუცია. ხელში უნდა ჩავიგდოთ წითელი ვენა. ამას მოვახერხებთ მხოლოდ იარაღით".

სოციალ - დემოკრატიული „არბეიტერ ცეიტუნგ"-ი პფრიმერის სიტყვას სთვლის მოწოდებად გადატრიალებისა, შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომისაკენ. (ადს).

ინგლისის დელეგაცია ეცნობა სამეურნეო ორგანოებს

მოსკოვი, 11 აპრილი. ლენინგრადიდან მოსკოვში დაბრუნდა ინგლისის დელეგაციის რამოდენიმე წევრი. დელეგაციის ნაწილი დარჩა ლენინგრადში, საიდანაც დელეგაციის რამოდენიმე წევრი ლონდონში ბრუნდება. დელეგაციის ორი წევრი ხარკოვში გაემგზავრა. 10 აპრილს დელეგაციის წევრებმა ინახულეს გზათა კომისარიატი, „ცენტროსოიუზი", ტყავის სინდიკატი, ს. მ. უ. საბჭო, მთავარი საკონცესიო კომიტეტი, შაქრის ტრესტი და სხვა სამეურნეო დაწესებულებანი. დელეგაციის რამოდენიმე წევრმა დაათვალიერა „სერპ ი მოლოტი"-ს ქარხანა და ამძრავი ღვედების ქარხანა

ფ.-ტ. მოსამსახურეთა გაფიცვა საბერძნეთში

ათინა, 10 აპრილი. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს მთავრობას—დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ფოსტის მომუშავეების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცხადებული იქნება გაფიცვა. რეზოლიუცია პრემიერს გადაეგზავნა.

რადგან მთავრობამ უარჰყო ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ, პროტესტის ნიშნად 10 აპრილს დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე მთელ საბერძნეთში შესწყდა სატელეფონო და სატელეგრაფო გადაცემა. (ადს).

დეტერდინგის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. ევროპაში გამგზავრების წინ დეტერდინგმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ იგი მზად არის დათანხმდეს ნავთის ამოღების განსაზღვრაზე, მაგრამ ამ საკითხის გამო შეთანხმება ჯერ არ მომხდარა. წინაამდეგ წინად გამოცემული ცნობისა, რომ 1-ლი აპრილიდან ნავთის ამოღება შემცირებული იქნებაო, ნავთის ინსტიტუტი იუწყება, რომ აპრილის პირველი კვირის განმავლობაში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთის ამოღება გადიდებულ იქნაო. აპრილის პირველი 6 დღის განმავლობაში დღეში, საშუალოდ, ამოჰქონდათ 30.000 ბარელით მეტი ნავთი, ვიდრე წინა კვირაში. სულ კვირის განმავლობაში ამოღებულ იქნა 263.000 ბარელით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე კვირის განმავლობაში (ადს).

მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ჟენევაში

პარიზი, 10 აპრილი. ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპულერ"-ის ცნობით, 15 აპრილს ჟენევაში ჩავა მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია. დელეგაციამ ლოუდონს უნდა აცნობოს საპეტიციო კამპანიის შედეგები. ეს კამპანია ინტერნაციონალმა მოაწყო სხვადასხვა ქვეყანაში ლოუდონის მოწოდების გამო. ლოუდონმა წარსულ სექტემბერს ჟენევაში წარმოთქმულ სიტყვაში მიმართა ყველა მთავრობას და წინადადება მისცა—ხელი შეუწყონ განიარაღების საქმეს.

დელეგაციაში შედიან გენდერსონი, უილსი, დებრუკერი და ფრიდრიხ ადლერი.

ცნობის მიხედვით, საერთაშორისო ბიურომ ჟენევაში მემორანდუმით მიმართა ყველა იმ მთავრობას, რომელსაც წარმომადგენელი ჰყავს მოსამზადებელ კომისიაში. მემორანდუმს საჭიროდ მიაჩნია — მთავრობები დაუყოვნებლივ და ნამდვილად შეუდგნენ შეიარაღების შემცირებას. მემორანდუმი მოუწოდებს ყველა მთავრობას — მისცენ მოსამზადებელი კომისიის დელეგატებს ისეთი ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც დელეგატებს ნამდვილად შეეძლებათ განახორციელონ ნაკისრი ვალდებულებანი (ადს).

ყუმბარის აფეთქების შემდეგ

მოტილალ-ნერუ ჰგმობს ყუმბარის მსროლელებს

ლონდონი, 10 აპრილი. ინდოელი ნაციონალისტების ლიდერმა მოტილალ-ნერუმ განაცხადა, რომ იგი ჰგმობს ყუმბარების მსროლელებს, ვინაიდან ინდოეთს ისეთი ნაკლებად სჭირს ყუმბარების კულტი, როგორც საიმონის კომისიის კულტი. ინდოეთის ხალხმა არჩევანი უნდა მოახდინოს განდისა და [illegible] შორის, რომელსაც ხელი უწერია ყუმბარის მსროლელის მიერ გაფანტულ ფურცლებზე.

მუქარის წერილები

ლონდონი, 10 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება: ინდოეთის საკანონმდებლო კრების ზოგიერთმა წევრმა მიიღო წერილი, რომელშიაც სიკვდილით იმუქრებიან. წერილებს ხელს აწერს ინდოსტანის სოციალისტური რესპუბლიკანური არმია. (ადს)

მასიური დაპატიმრებანი პოლონეთში

ვარშავა, 10 აპრილი. გაზეთებში გამოქვეყნებულია დაგვიანებული ცნობა იმ დაპატიმრებათა შესახებ, რომლებიც ბოლო დროს პროვინციაში მოხდა. ლვოვში აღმოჩნდა დასავლეთ უკრაინის კომპარტიის არალეგალური სტამბა. დუბენის მაზრის სოფლებში დააპატიმრეს 8 გლეხი, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური უჯრედის მოწყობა, პროპაგანდა და ტერორისტული განზრახვების მომზადება. პოლიცია ამტკიცებს, რომ დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ სამი თოფი, ტყვიები, დინამიტის ყუთი, ელექტრონის ლამფები და მრავალი კომუნისტური მოწოდება. კოველის მაზრაში დააპატიმრეს მრავალნი. გაზეთების ცნობით, კოველში და სხვა მაზრებში ვრცელდება მოწოდებანი, რომლებშიაც პროტესტს აცხადებენ უდანაშაულო პირთა დაპატიმრების გამო და მოუწოდებენ—ებრძოლონ პოლონეთის მთავრობას. ამის გამო დააპატიმრეს 7 კაცი კიდევ. (ადს)

კომუნისტი ჟურნალისტების დევნა

პარიზი, 10 აპრილი. ჯარისკაცთათვის გამოცემულ კომუნისტურ გაზ. „ლა კაზერნ"-ში დაბეჭდილი წერილის გამო, კომუნისტ ევეირს, გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს ლენის სასამართლომ მიუსაჯა პირველს 3 წლის, მეორეს 5 წლის პატიმრობა და თვითეულ მათგანს 3.000 ფრანკის ჯარიმა. მათ ბრალდებოდათ მოწოდება ჯარისკაცებისადმი—არ დაემორჩილონ უფროსებს.

„ლიუმანიტე" აღნიშნავს: წერილში მოყვანილი იყო ჯარისკაცების მოთხოვნა ბინის და საკვების გაუმჯობესების შესახებ, ხოლო ამ მოთხოვნის საფუძვლიანობა სავსებით დაადასტურა საპარლამენტო კომისიამ იმ მასიურ სიკვდილიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეინის ოლქში (ადს)

გავაფართოვოდ სოციალისტური შეჯიბრება

თბილისი იწვევს ბაქოს, ერევანს, ბათომს, ჭიათურას და ტყიბულს

თბილისის და თბილისის მაზრის მუშებს, მუშა-ქალებს, კომუნისტებს და კომკავშირელებს

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ახალ პერიოდში იმყოფება. ჩვენ გადავაბიჯეთ ომის წინადროინდელ დონეს და ფეხი შევდგით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში. ამ ამოცანების შესრულება მეტად მძიმე მოვალეობას აკისრებს მუშათა კლასს.

ჩვენი ქვეყანა, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე სოციალისტურ შეტევას აწარმოებს, კაპიტალისტურ ქვეყნებს უნდა დაეწიოს და გაუსწროს ტეხნიკურ-ეკონომიურად. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მთელი საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანები და ამის მიხედვით სწრაფი ტემპით განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრია, ავწიოთ და სოციალისტურ საფუძვლებზე გარდავქმნათ სოფლის მეურნეობა.

მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანები მოითხოვენ მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალების მობილიზაციას. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის და 1928-29 წლის სამეურნეო გეგმის შესრულება მოითხოვს შრომის ნაყოფიერების აწევას, თვითღირებულების შემცირებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის გაუმჯობესებას, მომჭირნეობის გადაჭრით გატარებას ჩვენს მეურნეობაში და ყოველივე ზედმეტის მოსპობას ჩვენს აპარატში.

იმისათვის, რომ შევასრულოთ ინდუსტრიალიზაციის გეგმა საქართველოში, წელს საჭიროა პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 8 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 14 პროცენტით. მაგრამ თბილისის მრეწველობამ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მთლიანად ვერ შეასრულა ის ამოცანები, რომლებიც მის წინაშე იდგა. შრომის ნაყოფიერება ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 8,9 პროცენტით, ამავე დროს ხელფასი გაიზარდა 6,6 პროცენტით; პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა მხოლოდ 2,5 პროცენტით. მრეწველობის ეს თვისებრივი მაჩვენებლები აშკარად არ არის საკმაო. ადგილი აქვს პროდუქციის თვითღირებულების მომატების, დაწუნებული საქონლის რაოდენობის გადიდების და შრომის დისციპლინის არასაკმაოდ განმტკიცების შემთხვევებს.

ამ ჟამად, როცა შრომის დისციპლინის და თვითღირებულების საკითხებს მიექცა მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება, მუშათა კლასის მოწინავე რაზმები აწყობენ ქვევიდან მასიურ მოძრაობას შრომის ნაყოფიერების ასაწევად, თვითღირებულების შესამცირებლად, შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

ფაბრიკებისა და ქარხნების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც საკავშირო ახალგაზრდა ლენ. კომკავშირმა დაიწყო, უდიდესი საზოგადოებრივ - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს შეჯიბრება ფართო ხასიათს ღებულობს და მასიურ მოძრაობად ხდება. იგი გამომდინარეობს თვით იმ ამოცანების ბუნებიდან, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე დგანან სოციალისტური მშენებლობის დარგში.

„სოციალიზმი არა თუ არ უარჰყოფს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასიური მასშტაბით და გამოიყვანოს მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ჩვენი მუშაობის ასპარეზზე, სადაც ეს მშრომელნი შესძლებენ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი და გამოამჟღავნონ ნიჭიერნი, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან ხალხში და რომელთაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით აწამებდა, სულს უხუთავდა და ახრჩობდა" (ლენინი: „როგორ უნდა მოეწყოს შეჯიბრება").

გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს ინიციატივა, რომელმაც თბილისში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების აწევისა, თვითღირებულების შემცირებისა, შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის, რამაც მრავალ საწარმოში უკვე მოგვცა რეალური შედეგი შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეში, უნდა გავრცელდეს თბილისისა და მისი მაზრის ყველა საწარმოზე.

თბილისის საწარმოთა ამხანაგურმა შეჯიბრებამ უნდა აღაფრთოვანოს მუშათა ფართო მასები. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე, მასების ფართო კონტროლით, ყოველი წარმოება, ყოველი ცეხი მთელი თავისი ძალღონით უნდა შეეცადოს — პირველი ადგილი დაიჭიროს და არ მოხვდეს ჩამორჩენილთა შორის.

შეჯიბრებამ მშრომელთა წრეში უნდა გამოიწვიოს არა მარტო უკეთესად მუშაობის სურვილი, არამედ უნდა შექმნას ზარმაცებისა და სამუშაოს გამცდენთა მიმართ ბოიკოტის [illegible] ატმოსფერა, უნდა გამოიწვიოს მკაცრი შეტევა შრომის დისციპლინის დამრღვეველთა, სოციალისტური მშენებლობის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ. პარტია, პროფკავშირები და კომკავშირი მოუწოდებენ მუშათა მასებს — ფართო პროლეტარული თვითკრიტიკის ნიადაგზე სასტიკი ბრძოლა გააჩაღონ სამეურნეო მართვა-გამგეობის დეფექტების, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და უყაირათობის წინააღმდეგ. პარტიამ, პროფკავშირებმა და კომკავშირმა, კადრის პროლეტარებზე, საუკეთესო ახალგაზრდა მუშებზე და ყველა იმაზე დაყრდნობით, ვინც თავს საბჭოთა ქვეყნის პატრონად სთვლის, პროლეტარულ რიგებს შიგნით უნდა მოაწყონ დეფექტების კრიტიკა, აღზარდონ ჩამორჩენილი მუშები და დაუნდობლად განდევნონ თავიანთი რიგებიდან მტრები, რომელნიც მუშის სახელს ამოჰფარებიან.

ფართოდ უნდა გადაიშალოს ბრძოლა ახალი შეგნებული სოციალისტური დისციპლინისათვის. სოციალისტურმა შეჯიბრებამ უნდა ხელახლა აღზარდოს დაზგასთან ახლად მისული ჩამორჩენილი მუშები და მათი თვითშეგნება ასწიოს, საუკეთესო კლასობრივად შეგნებული მუშების დონემდე.

შეჯიბრებას უნდა ჰქონდეს მწყობრი ხასიათი. იგი ჩატარებულ უნდა იქნას პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირის და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მონაწილეობით. ყველამ, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებმება, ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული ის პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობს მთელი მუშათა კლასისა და სახელმწიფოს წინაშე.

სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით საწარმოში ისე უნდა მოეწყოს მასიური მუშაობა, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს მუშების არც ერთი მნიშვნელოვანი წინადადება, რომ განსაკუთრებით გაცხოველებულ იქნას საწარმოო თათბირების მუშაობა, რომ შრომის ნაყოფიერების აწევის, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხები ფაბრიკაში თუ ქარხანაში მუშათა მთელი კოლექტივის საქმედ გადაიქცეს. ნაბეჭდმა გაზეთებმა და აგრეთვე საწარმოს კედლის გაზეთებმა სოციალისტური შეჯიბრების საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ. მათ ყოველდღიურად უნდა წარუდგინონ მასებს მსჯავრის დასადებად წარმოების საკითხები, მიაპყრონ მასების ყურადღება შეჯიბრების ყოველდღიურ მსვლელობას. სპეციალისტებმა, ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა, პროლეტარული საზოგადოებრიობის ძალებმა უაქტიურესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ფაბრიკა - ქარხნების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობასა და ჩატარებაში.

• სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ უნდა იქნას მუშათა მთელი მასა, რისთვისაც მასიურ ორგანიზაციებში (დროებითი საკონტროლო კომისიებში და საწარმოო თათბირებში) ფართოდ უნდა გაირკვეს სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და საწარმოო საკითხი (თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების აწევა, ღონისძიებათა შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სამუშაო დღის მთლიანად დატვირთვა, დაწუნებული საქონლის შემცირება, ნაყარ - ნუყარის მაქსიმალურად გამოყენება, პროდუქციის გამოშვების გადიდება, ორწყება, ან სამწყება მუშაობაზე გადასვლა და სხ.).

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი, კომკავშირის თბილისის კომიტეტი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, მოუწოდებენ რა თბილისის პროლეტარიატს — იბრძოლოს პარტიის გენერალური ხაზისათვის და სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დაძლევისათვის, აწყობს რა ქ. თბილისისა და მისი მაზრის ფაბრიკებისა და ქარხნების საერთო მუშურ შეჯიბრებას, იწვევს ქ. ბაქოს, ერევნის, ბათომის, ჭიათურის და ტყიბულის პარტიულ, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შეჯიბრებაზე თვითღირებულების შესამცირებლად, შრომის ნაყოფიერების ასაწევად და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი, ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო დარწმუნებულნი არიან, რომ თბილისის მუშათა მასები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, უფრო შემჭიდროვდებიან კომუნისტური პარტიის გარშემო და, მერყევთა, მოწუწუნეთა, მცირე რწმენის მქონეთა და პანიკის ამყოლთა წინააღმდეგ, ყოველგვარ სიძნელეთა დაძლევით, უფრო ფართოდ გაშლიან ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას.

ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის, სოფლის განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნისათვის, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე უფრო გადაჭრით შეტევისათვის!

მასების ერთსულოვანი მეცადინეობით მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას, შრომის დისციპლინის აწევას.

გაუმარჯოს საერთო - მუშურ სოციალისტურ შეჯიბრება-გამოძახებას!

თბილისის ფაბრიკებო და ქარხნებო, განავითარეთ სოციალისტური შეჯიბრება!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

უკანასკნელი ცნობები

სარაიონო საბჭოთა მთავრობის დაარსება ჩინეთში

შანხაი, 11 აპრილი. პინციანის (ხუნანის პროვინცია) აღმოსავლეთით დაარსდა სარაიონო საბჭოთა მთავრობა. (ადს).

ძინანის ევაკუაცია

შანხაი, 11 აპრილი. შანდუნში მოვიდა ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი და განაცხადა, რომ ახლო მომავალში ძინანი ჩინელების ხელში გადავა, რადგანაც იაპონიის ხელისუფლების ორგანოები ამ ქალაქის ევაკუაციას იწყებენ (ადს).

ნანკინის მთავრობის ახალი მრჩეველი

შანხაი, 11 აპრილი. ამერიკელი ჟურნალისტი მილარდი დაინიშნა ნანკინის მთავრობის მრჩევლად (ადს).

წინასწარი ზომები

შანხაი, 11 აპრილი. ხვალ სრულდება ორი წელი, რაც ჩან კაი-შიმ მოახდინა გადატრიალება და კავშირი გასწყვიტა კომუნისტებთან. რადგანაც მოსალოდნელია კომუნისტების გამოსვლა, აღმასრულებელმა საბჭომ უბრძანა ხელისუფლების ორგანოებს ვეზუენში (შანხაის მახლობლად) გაჩხრიკონ შანხაიში შემოსული უცხოეთის ყველა გემი, რათა დაპატიმრებული იქნან კომუნისტები, რომელნიც ამ ხერხს მიმართავენ ქალაქში შემოსასვლელად (ადს).

კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის ცეკას ხაზის დასაცავად

ბერლინი, 11 აპრილი. გერმანიის კომპარტიის საოლქო კონფერენციებმა დიუსელდორფსა და დრეზდენში ერთხმად მიიღო რეზოლუციები, რომლებშიაც მოწონებულია კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტიკური ხაზი (ადს).

— გენერალ დაუესის დანიშვნა

ვაშინგტონი, 10 აპრილი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, შეერთებული შტატების ელჩად ლონდონში დაინიშნა გენერალი დაუესი (ადს).

ახალი წევრების მიღება

ნიუ-იორკი. 10 აპრილი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიამ დაიწყო კამპანია ახალი წევრების მისაღებად (ადს).

ოზოლსის განთავისუფლება ელჩის მოვალეობისაგან

რიგა, 10 აპრილი. პრესა იუწყება: მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, სთხოვოს ლატვიის პრეზიდენტს, რომ მოვალეობისაგან გაანთავისუფლოს ლატვიის მოსკოველი ელჩი ოზოლსი. როგორც „იაუნაკას ზინას“-ი იუწყება, პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა (ადს).

პოლიცეი-პრეზიდიუმი გუმანსკის განთავისუფლების შესახებ

ბერლინი, 11 აპრილი. პოლიცეი-პრეზიდიუმის ცნობაში გუმანსკის განთავისუფლების შესახებ ნათქვამია, რომ გუმანსკის მონაწილეობა ყალბი საბუთების დამზადებაში, არ არის დამტკიცებული (ადს),

ყინულის მჭრელის „ლენინ“-ის მუშაობის შესახებ

სტოკჰოლმი, 10 აპრილი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„კაპიტანი სტრემბეკი, რომელიც მივლინებული იყო საბჭოთა ყინულის მჭრელ „ლენინ“-ზე, სამხედრო სამინისტროში წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს ყინულისმჭრელის, მისი კაპიტანის და მთელი ეკიპაჟის საუცხოო მუშაობას არა ხელსაყრელ პირობებშიაც კი“ (ადს).

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ

სტამბოლი, 10 აპრილი. სტამბოლში დააპატიმრეს და საზღვარგარეთ იგზავნება პარიკმახერი ახმედი, რომელსაც ბულგარეთში კომუნისტური პროპაგანდისათვის ორ ნახევარი წლით დაპატიმრება მიუსაჯეს.

როგორც „მილე“-ი იუწყება, 4 უმუშევარი, რომელნიც კომუნისტური პროპაგანდისათვის 5 დღის წინად დააპატიმრეს, განთავისუფლებულია.

გაზეთი „ტიურკიშე პოსტ“-ის ცნობით, სტამბოლში დაპატიმრებულებს ბრალდებათ ის, რომ ისინი აიძულებდნენ უმუშევრებს შესულიყვნენ კომუნისტურ ჯგუფებში. კომუნისტური პროპაგანდის ცენტრს წარმოადგენდნენ მეთამბაქოე მუშები.

თურქეთის პოლიცია ფიქრობს, რომ მუშა-ქალებს მუტიფსა და ემიეს, რომელთაც ამას წინად სიტყვები წარმოსთქვეს კრებაზე და რომელნიც მოითხოვდნენ მუშა-ქალთა ხელფასის გათანასწორებას მუშა-მამაკაცების ხელფასთან, მუდმივი კავშირი აქვთ კომუნისტებთან, რომელთა დავალებითაც მათ ვითომ ეს „ამაღელვებელი“ სიტყვები წარმოსთქვეს. ორივე მუშა-ქალი პასუხისგებაში იქნება მიცემული. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მოსკოვი, 11 აპრილი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

„მთავრობის კოალიციის შედგენის საქმე კვლავ ახალ დაბრკოლებებს წააწყდა. მდგომარეობას ართულებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჩვეულებრივი ორპირიოვანი პოზიცია. გუშინ შესდგა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა, რომელზედაც გამოქვეყნებულ იქნა ცენტრის ლიდერის კაასის წერილი გაგზავნილი მიულერისადმი. კაასი თავის წერილში ულტიმატურად მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციამ გარკვეული პირობა მისცეს ცენტრის ფრაქციას კრეისერის ასაგებად გადასადებ თანხების საკითხში. კაასის წინადადებით სოციალ-დემოკრატებმა თავი უნდა შეიკავონ კრეისერის ასაგებ კრედიტების გაღებისათვის ხმის მიცემისაგან.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კაასის კატეგორიულმა წინადადებამ. დაბოლოს ფრაქციამ დაადგინა უარყოს წინადადება კრეისერის ასაგებად თანხების გადადების შესახებ.

დღეს ბერლინის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ მიულერი დარჩება მთავრობის სათავეში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი კოალიციის იდეა ისევ დამარცხდა.

მანუფაქტურა ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 11 აპრილი. მანუფაქტურის ბაზრის მოსაწესრიგებლად საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო მანუფაქტურის ცალკე ფონდი, რომლიდანაც სპეციალური ნედლეულის რაიონები პირველ რიგში იქნება დაკმაყოფილებული. ჯერ-ჯერობით ფონდში გადადებულია 220 ვაგონი მანუფაქტურა. გადაწყვეტილია მანუფაქტურის გაგზავნა, სხვათა შორის, მატყლის დამამზადებელ რაიონებში. ამ მიზნით მესამე სამეურნეო კვარტალში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს გამოეგზავნება 22 ვაგონი მანუფაქტურა, რომელიც უმთავრესად განაწილებული იქნება მეცხვარეობის რარაიონებში.

7 ახალი უნივერსიტეტი

მოსკოვი, 11 აპრილი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა გადასინჯა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა არსებული ქსელი და საჭიროდ სცნო მომავალ სამოსწავლო წლიდან შვიდი ახალი უნივერსიტეტის დაარსება. ახალი უნივერსიტეტების ტიპი და ადგილმდებარეობა ასეთია:

საამშენებლო ინსტიტუტი — ლენინგრადში, ორი ვეტერინალური ინსტიტუტი ალმა-ატაში და სამარაში, პედაგოგიური ინსტიტუტი — ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკაში, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი — ნოვოსიმბირსკში. დანარჩენი ორი უმაღლესი სასწავლებლის ტიპისა და ადგილმდებარეობის საკითხი ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

როდის ჩამოვა მაქსიმ გორკი

მოსკოვი, 11 აპრილი. აქ მიღებულია ცნობა სორენტოდან, რომ მაქსიმ გორკი უკანასკნელ ხანებში კარგად გრძნობს თავს. მწერალს გადაწყვეტილი აქვს მაისში გამოემგზავროს საბჭოთა კავშირში.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

ხარკოვი, 11 აპრილი. 9 აპრილს შესდგა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენებები შინაპარტიული მდგომარეობისა, სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და სოფლად მუშაობის შესახებ. სრულიად საკავშირო პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატად პლენუმმა აირჩია ამხ. კოსიორი. ამხ. ლიუბჩენკო პლენუმმა აირჩია პოლიტბიუროს კანდიდატად (ადს).

უკრაინის პარტკონფერენციის მისალმება

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას

ხარკოვი, 11 აპრილი. სრულიად უკრაინის პარტკონფერენციამ საკავშირო კომპარტიის ცეკას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას ლენინური ხელმძღვანელობით პარტიამ გაანადგურა მემარცხენე ოპორტუნისტულ-ტროცკისტულ - მენშევიკური ოპოზიცია, რომელიც ცდილობდა მემარცხენე ფრაზით დაეფარა თავისი შიში და კაპიტულანტობა სიძნელეების წინაშე. ცეკას ლენინური ხელმძღვანელობით პარტიამ გამოააშკარავა და ამხილა მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომელნიც ცდილობდნენ პარტიაში შემოეპარებინათ კულაკის სოციალიზმში შეზრდის ანტილენინური თეორია, რომელთაც არ ესმოდათ კლასობრივი ბრძოლა და უნდოდათ წაეყვანათ პარტია ინდუსტრიალიზაციის შენელების, პროლეტარული პოზიციების დათმობის და ნეპმანის წინაშე კაპიტულიაციის გზით. მემარცხენე ფრაზიორებთან ბრძოლაში უკრაინის კომპარტია საკავშირო კომპარტიის (ბ) პირველ რიგებში სდგას. ასევე გადაჭრით იბრძვის და იბრძოლებს უკრაინის კომპარტია მემარჯვენე კაპიტულიანტების წინააღმდეგ, აგრეთვე იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს აფარებს მემარჯვენეების დამღუპველ მუშაობას, ვინც ცდილობს რევიზია გაუკეთოს პარტიის ლენინურ ხაზს და არღვევს პარტიის ბოლშევიკურ რკინისებურ დისციპლინას“. (ადს).

ნათესების კონტრაქტაცია

— მოსკოვი, 11 აპრილი. საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ“-ში შესდგა თათბირი სამრეწველო რაიონებისათვის პურის კონტრაქტაციის საკითხების შესახებ. გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია ყველა რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. გადაწყვეტილია თვალსაჩინოდ გადიდდეს შემოდგომის ნათესის კონტრაქტაცია. მოსკოვის სამომხმარებლო კავშირთა კავშირი, გასულ წელთან შედარებით, ერთნახევარჯერ ადიდებს შემოდგომის ნათესის კონტრაქტაციას, ხოლო „ტრანსპოსექცია“ — სამჯერ. სულ კონტრაქტები დაიდება 700.000 ჰექტარზე.

მოსკოვი, 11 აპრილი. ამხ. მიქოიანის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა „ხლებოცენტრ“-ის მოხსენება მარცვლეული ნათესის კონტრაქტაციის შესახებ.

1928 წლის შემოდგომის თესვის კამპანიაში კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნა თითქმის მხოლოდ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მთესველებთან, ფართოდ გავრცელებული იყო ხელშეკრულებათა დადება მთლიან საადგილ-მამულო საზოგადოებებთან. კონტრაქტაციამ გამოიწვია გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერატიული შეკავშირების ახალი მასიური ფორმა გლეხურ მეურნეობათა ჩაბმა მთესველთა ამხანაგობებში. 1929 წლის კამპანიაში გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა, რომელიც 4.305.000 ჰექტარით განისაზღვრებოდა, 1-ლ აპრილისათვის მიღებული ცნობებით, შესრულებულია 47 პროცენტის გადაჭარბებით. სულ ამ რიცხვისათვის კონტრაქტები დადებულია 6.342.000 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე. მრავალწლიანი კონტრაქტაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრული იყო 295.000 ჰექტარის რაოდენობით, 1-ლი აპრილისათვის შესრულებულია 84,3 პროცენტით. მრავალწლიანი კონტრაქტაციის 1929 წლისათვის დასახული გეგმა— 750.000 ჰექტარის რაოდენობით — მთლიანად შესრულდება. მრავალწლიანი კონტრაქტაცია უნდა გადაიქცეს კონტრაქტაციის ძირითად სახედ. მიმდინარე კამპანიაში ძალიან განვითარდა უავანსო კონტრაქტაცია, რაც 1-ლ აპრილისათვის ჩატარდა 2,5 მილიონ ჰექტარზე. ნავარაუდევია, რომ კამპანიის დასრულებისათვის უავანსო კონტრაქტაცია ჩატარდება 4 მილიონ ჰექტარზე.

„ხლებოცენტრ“-ი საჭიროდ სთვლის, რომ მახლობელ ორ წელიწადში კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნას ყველა ძირითადი მწარმოებელი რაიონის ყველა მარცვლეულ ნათესზე. მიმდინარე წელს კონტრაქტაცია უნდა ჩატარდეს 10 მილიონ ჰექტარ გაზაფხულის ნათესზე და 15 მილიონ ჰექტარ შემოდგომის ნათესზე.

კამათში გამოსულთა უმრავლესობა მოითხოვდა პურის ჩაბარების ვადების მტკიცედ დაცვას.

ამხ. მიქოიანის წინადადებით, კოლეგიამ განსაზღვრა 1929 წლის საკონტრაქტაციო კამპანიის დამთავრების ვადები: სამხრეთ-რაიონებში კონტრაქტაცია უნდა დამთავრდეს 20 აპრილს, ხოლო დანარჩენ რაიონებში— 1 მაისს. ამავე ვადებში დამთავრდება მთესველებთან დადებულ ხელშეკრულებათა ფორმალურად ჩამოყალიბება (ადს).

„საიდუმლო ფონდი“ ბაქოს რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტში

ბაქო, 11 აპრილი. სპეციალურმა კომისიამ გამოიკვლია რკინისგზელთა პროფკავშირის კომიტეტი იმ შენიშვნის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „ვიშკა“-ში. აზერბ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომიტეტი, რომელმაც განიხილა გამოკვლევით მიღებული მასალა—აღნიშნავს, რომ რკინისგზელთა ბაქოს საუბნო კომიტეტში არავითარი საიდუმლო ფონდი არ არსებობდა, იყო მხოლოდ, ხარჯთაღრიცხვის გარეშე. განსაკუთრებული ფონდი, რომელიც სხვადასხვა ქონების გაყიდვიდან შეიქმნა. ეს ფონდი არსებობდა 1922—23 წლიდან, მაგრამ 1925 წლამდე არ არსებობდა არავითარი ცნობა ამ ფონდის დახარჯვისა და ანგარიშწარმოების შესახებ. ფონდი იხარჯებოდა პრეზიდიუმის ყველა წევრის, უმთავრესად კი, გრიგორიანის განკარგულების მიხედვით. ფონდი ხმარდებოდა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ფონდიდან დახმარება ეძლეოდა აგრეთვე მუშებსა და უმუშევრებს.

ამასთან ერთად ხდებოდა უკანონო ხარჯები, მაგ., ფონდიდან გაისტუმრეს რკინის გზ. უფროსის პოზდეევისა და საუბნო კომიტეტის თავმჯდომარის გრიგორიანის გაცილების დროს გაწეული ხარჯები, ფონდიდან ეძლეოდა დახმარება რკინის გზელთა პ.-კავშირის საუბნო კომიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების აპარატის მუშაკებს. ფონდის ანგარიშა მეტად ქაოტიურ მდგომარეობაშია. 125 მანეთი (ოქრო) არ იქნა შეტანილი ბანკში, თუმცა ამის შესახებ იცოდნენ მთავრობის დადგენილება, გარდა ამისა საუბნო კომიტეტის მუშაკები აღებულ სესხს არ აბრუნებდნენ.

ცენტრალური საკონტროლო კომისია აღნიშნავს, რომ გრიგორიანის წინააღმდეგ გაზ. „ვიშკა“-ში წამოყენებული მძიმე ბრალდებები (ფონდის გადამალვა, ფონდის ანგარების ბოროტად გამოყენება, მუშების დაქრთამვა, შავ ბირჟაზე სპეკულიაცია, მუშაკების დევნა და სხ.) არ გამართლდა, პირიქით, გრიგორიანს დამსახურებული აქვს ავტორიტეტი, რაც აიხსნება მისი ენერგიული მუშაობით და მუშათა მასებისადმი მიდგომით.

მაგრამ ამასთანავე ცენტრალური საკონტროლო კომისია აღნიშნავს, რომ ყოვლად დაუშვებელია, როდესაც მასიური პროფესიონალური ორგანიზაციის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები უკონტროლოთ და არასწორად ხარჯავენ ხარჯთაღრიცხვის გარეშე ფონდს. ამიტომ ცენტრ. საკონტროლო კომისია ადგენს: გრიგორიანს, აზერბეიჯანის კომ. პარტიის (ბ) წევრს 1922 წლიდან (მუშას), ამჟამად ნახიჩევანის ავტონომიური ოლქის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და მოხსნილ იქნას თანამდებობიდან.

ზადიროვს, 1920 წლიდან აზ. კ. პ. (ბ) წევრს (მუშას), გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

ლაკომსკის, აზ. კ. პ. (ბ) წევრს 1919 წლიდან (მუშას), გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და დადასტურდეს რაიკომის დადგენილება ლაკომსკის წარმოებაში გაგზავნის შესახებ.

ნალეტუშკინს, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) წევ. 1919 წლიდან (მუშას), გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, გამოწვეულ იქნას სასწავლებლიდან და გაიგზავნოს წარმოებაში სამუშაოდ.

ფედოროვს, აზ. კ. პ. (ბ) წევრს 1917 წლიდან, მიეცეს გაფრთხილება.

ამხ. პოზდეევს, რომელმაც გრიგორიანს უკანონოდ ავანსად მისცა 1000 მანეთი, მიეცეს გაფრთხილება.

კულიშს, აზ. კ. პ. (ბ) წევრს (მოსამსახურეს) 1919 წლიდან, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

მარკინი, აზ. კ. პ. (ბ) წევრი (მოსამსახურე) 1919 წლიდან, გამოირიცხოს კომპარტიიდან.

რევოლუციონური კანონიერების დამახინჯების ფაქტები

(სრ. საქართველოს მე-5 საბჭოთა ყრილობის გამო)

საბჭოთა მშენებლობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს რევოლუციონური კანონიერების დაცვა.

როგორი მდგომარეობაა ჩვენში რევოლუციონური კანონიერების დაცვის მხრივ? აშკარათ უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი შეცდომები გვაქვს, კლასიურ პოლიტიკის მრავალ დამახინჯებების მაგალითებს აქვთ ადგილი სასამართლოს ორგანოების მუშაობაში.

ამას სრულიად გარკვეულათ უნდა გაესვას ხაზი საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ამ შემთხვევაში ვილაპარაკებთ იუსტიციის ორგანოების მუშაობის სუსტ მხარეებზე.

ავიღოთ რამოდენიმე დამახასიათებელი ციფრები და ფაქტები. 1927 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სასამართლოებში დამთავრებულია 8.824 სამოქალაქო ხასიათის საქმე. ყოველ 100 საქმიდან, რომელიც შემოსულა საქარ. უზენაეს სასამართლოში საკასაციოთ—გადაწყვეტილება დამტკიცდა 68 საქმეზე, ხოლო გაუქმდა 32-ზე. დასავლეთ საქართველოში გარჩეულია 1.876 სამ. საქმე. კასაციის დროის უზ. სასამარ. მიერ დამტკიცებულია 61 საქმე, გაუქმებულია 39. სულ საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით 1927 წ. განხილულია 5.700 სამოქ. საქმე, გადაწყვეტილება დამტკიცებულია 65 პროცენტზე, და გაუქმებულია 35 პროცენტი.

იმავე წელს სულ საქართველოში გაირჩა 3.785 სისხლის-სამართლის საქმე. განაჩენი დამტკიცდა 74 პროც., ხოლო გაუქმდა 26 პროც.

თუ ავიღებთ 1928 წლის ცნობებს, ვნახავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ უბნის სასამართლოებში გარჩეულა სამ. საქმე—7.604, გადაწყვეტილება დამტკიცდა 76 პროც. გაუქმდა 24 პროც. სისხლის სამარ. საქმე—2.851 განაჩენი დამტკიცდა 77 პროც., გაუქმდა—33 პროც. მაზრის სასამართლოებში სამ. საქმე—356 გადაწყვეტილება დამტკიცდა 74 პროც., გაუქმდა 26 პროც. სისხლ. სამარ. საქმეები—454, განაჩენი დამტკიცდა— 63 პროც., გაუქმდა—37 პროც. (1927 წლის ცნობები ეხება საქართველოს ყოფ. აღმოსავლეთ და დასავლეთ ოლქის სასამართლოებში გავლილ საქმეთა რაოდენობას).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდია პროცენტი უზენაესი სასამართლოს მიერ დარღვეულ საქმეებისა, არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან ისიც, რომ ზემოთმოყვანილი ციფრები, შეეხებიან მხოლოდ კასაციის წესით შემოსულ საქმეებს.

მაგრამ რამდენ, უკანონო გადაწყვეტილება და განაჩენი შესულა ძალაში იმის გამო, რომ ის მხარეებისათვის მისაღები იყო და ამავე დროს ჩვენი კანონების მიხედვით არა სწორად გადაჭრილი?

ცხადია, ასეთი საქმეების უდიდესი რიცხვი უზენაეს სასამართლოში არ გადადის, სასამართლოს არქივში ინახება და გამოკვლევების ჩატარების დროს თუ აღმოჩნდება.

აი ზოგიერთი მათგანი:

კახეთის მაზრის ლაგოდეხის რაიონში 1928 წ. 17 ნოემბერს, სახალხო სასამართლო არჩევდა სისხლის სამართლის საქმეს მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. სასამართლოს სხდომაზე—მხარეები აცხადებენ ერთი-მეორეისთან „შერიგების სურვილს“. სასამართლოს დაუდგენია, რომ საქმე გადაიდოს, რის შემდეგაც უგზავნის შეკითხვას ვარდისუბნის თემსაბჭოს პრეზიდიუმს—„ეწინააღმდეგება თუ არა მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმის მოსპობა, მხარეთა მორიგების გამო, არსებულ კანონმდებლობას“-ო. თემსაბჭოდან სასამართლოს მოსდის ოფიციალური მომართვა, რომ „მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმის მოსპობა მხარეების მორიგების საფუძველზე არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას“-ო.

სასამართლო ამ „მითითების“ მიხედვით სპობს საქმეს.

თბილისის მაზრის სართიჭალის თემის უბნის სახალხო სასამართლოში, უკანასკნელ წლამდე, მოჯამაგირეების შრომის საქმეებზე ღებულობდნენ საგერბო და სამარკო გადასახადებს, მიუხედავათ იმისა, რომ ამის ჩადენა კანონით აკრძალულია.

გორის მაზრის ერთ-ერთი უბნის სახ. სასამართლომ 1929 წლის თებერვალში ჩადენილ დანაშაულობას (მევახშეობას) 1927 წლის ნოემბრის ამნისტია მიუყენა და ბრალდებულს მოხსნა 6 თვით თავისუფლების აღკვეთის სასჯელი.

რის შესახებ ლაპარაკობენ ზემოთ-მოყვანილი ციფრები და ფაქტები? ისინი ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ ჩვენი სახალხო მოსამართლეების იურიდიული მომზადების დონე დაბალია. ცხადია მოსამართლემ, რომელმაც არ იცის, თუ რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმის მოსპობა არ შეიძლება მხარეების მორიგებით, რომელმაც არ იცის ამნისტიის გავრცელების წესი, მას არაფერი გაეგება ჩვენი კანონმდებლობის, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის.

საჭიროა სახალხო მოსამართლეების მომზადების დონის აწევა. ამისათვის მოეწყოს გადასამზადებელი კურსები.

თუ თითქმის ყველა სახ. კომისარიატები ახდენენ თავიანთ მუშაკების პერიოდულ გადამზადებას,—რატომ არ უნდა სწარმოებდეს ეს იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერაც?

რაიონების ზოგიერთი სახალხო მოსამართლე სრულებით ვერ ამჩნევს სოფლის კლასიურ ძალთა შეფარდებას.

აი, მაგალითად, რას ამბობდა სახალხო მოსამართლეები თავიანთ ანგარიშში: წალკის რაიონის სახ. მოსამართლე აღნიშნავს: „კულაკობა არ იზრდება, პირიქით ქრება“; ბაშკიჩეთის რაიონის:—„კულაკობისა და მევახშეობის ზრდას ადგილი არა აქვს“; ლიუქსემბურგის—„კულაკები და მევახშეები არ გვყავს“; გურჯაანის მოსამართლე: „ჩემდამი რწმუნებულ რაიონში მევახშეობას ადგილი არა აქვს, რაც სჩანს იქიდან. რომ საანგარიშო დროში მევახშეობის შესახებ საჩივარი არ შემოსულა“.

ნათელია, რომ ასეთი შეხედულებებით სასამართლო ორგანოები ვერ შესძლებენ ბრძოლას კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ. თუ ამას თან ერთვის საქმეების გაჭიანურება, მეტად მსუბუქი სასჯელი, მაშინ აშკარაა, რომ ჩვენ დასახელებულ საქმეების განხილვის დროს ყველაფერი თავის რიგზე არ გვაქვს.

საილუსტრაციოთ ავიღოთ რამოდენიმე შემთხვევა: დუშეთის რაიონის სახ. სასამართლოში 1926 და 27 წ. წ. განმავლობაში შემოსულად ირიცხება მიწის ყიდვა-გაყიდვის 19 საქმე. მაგრამ საქმის გაჭიანურებისა და თავის დროზე გაურჩევლობის გამო, ბრალდებები განხილულ იქნა მხოლოდ 1928 წელს, და ამნისტიის ძალით ყველა დასახელებული 19 საქმე მოისპო.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა ბრალდების დამტკიცების მიუხედავათ დამნაშავეებს ამართლებენ.

მაგ.; ახალქალაქის რაიონის სახ. სასამართლოს განაჩენში, 1927 წლის მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმე № 136-ში ნათქვამია: „ბრალდებულნი ცნობილ იქნენ დამნაშავეებათ ს. ს. კოდექსის 142 მუხ. (მიწის ყიდვა-გაყიდვა), მაგრამ მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ის გლეხია და განთავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან“.

ბოგდანოვის რაიონის სახ. სასამართლომ თავის გამწესრიგებელ სხდომაზე 1928 წელს, ამნისტიის შეფარდებით მოსპო მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმე, რაც უკანონო იყო,

გურჯაანის სახ. სასამართლოში 1928 წლის განმავლობაში გარჩეულია მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმე სულ 29. 15 საქმის მიხედვით გამართლებულია 45 კაცი, 14 საქმეზე სასამართლოს მიერ სასჯელი დაედვა 30 კაცს, და ამ რიცხვიდან 28 კაცი განთავისუფლებულია სასჯელის მოხდისაგან პირობით და ამნისტიის შეფარდებით, ხოლო იმავე წლის საქმე № 350-ით მიწის გამყიდველი სასჯელისაგან განთავისუფლებულია, მყიდველი ვაჭარი კი გამართლებული. მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეს, № 237 1927 წ. ბრალდება დამტკიცებულია. არსებობს შინაური გარიგებაც მიწის ყიდვა-გაყიდვაზე. მაგრამ ბრალდებულნი გამართლებულნი არიან, (გლეხური წარმოშობა და სხ.).

ახალქალაქის მაზრის 1-ლი რაიონის სახალხო სასამართლოში 1928 წ. საქმე № 292-ზე სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მიწა მყიდველს არ ერთმევა, არ გადადის სახელმწიფო ფონდში და სასამართლო ადგენს, მიწა დაუბრუნდეს ისევ მყიდველს.

იმავე სასამართლოს საქმე № 136-ის განხილვისას გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და ადგენს: „მიწა არ უნდა იქნეს ჩამორთმეული“.

მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილ-მამულო განყოფილებები იჩენენ სათანადო ყურადღებას.

საადგილ-მამულო განყოფილებათა მუშაობის გამოკვლევის შედეგები ნათელყოფენ იმ გარემოებას, რომ მათ მუშაობაშიც ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას, სახელდობრ—არ ხდება სასამართლოების განაჩენით მიწების ჩამორთმევა გამოტანილ განაჩენის სისრულეში მოყვანა, ან დიდი დაგვიანებით ანხორციელებენ განაჩენს.

ზოგჯერ ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობითაც ხდება მიწის ყიდვა-გაყიდვა.

მაგალითად რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სოფ. სანარჩეს გლეხობამ გადასწყვიტა სკოლის შენობის აგება ვინაიდან გლეხობას არ გააჩნდა ზედმეტი მიწა. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა მიწის გამოძებნა. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იყიდა მიწა ადგილობრივი მცხოვრებისაგან (ც. აზნაურისაგან) უკანასკნელმა თანხმობა განუცხადა კომისიის წევრებს და კომისიამ მიწის „ფულადი ღირებულება“ განაწილა გლეხობას შორის.

ამ აღმაშფოთებელ მოვლენას ადგილი ჰქონდა მთელი მოსახლეობის თვალწინ, ამის შესახებ იცოდა თემის აღმასრულებელმა კომიტეტმაც, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ მოყვანილი მაგალითით? პირველი—მსუბუქი სასჯელის არჩევა სასამართლო ორგანოების მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვის მონაწილეთათვის და მეორე—საქმის გაჭიანურება.

დაახლოებით ასეთივე რბილად ეკიდებიან სასამართლოს ორგანოები მევახშეებს.

1927 წელს 16 მევახშიდან 9 დასაჯეს პირობით, 3 გაანთავისუფლეს ამნისტიის შეფარდებით და ოთხს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 6 თვით და ზოგჯერ მეტი.

1928 წელს მევახშეობისათვის დასჯილ მოქალაქეთა რაოდენობა უდრის 41 კაცს.

სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების მხრივ არც ამ წელშია დამაკმაყოფილებელი, დასახელებულ რიცხვიდან მხოლოდ 12-ია დასჯილი ე. ი. 29;2 პროც., დანარჩენი კი 70,8 პროც. განთავისუფლებულია სასჯელისაგან პირობით და ამნისტიის გამო.

ასევე შრომის საქმეების განხილვის დროსაც, ხშირად არ არის დაცული კლასიური პოლიტიკის ხაზი, რომელიც მიმართულ უნდა იყოს მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის ინტერესების დასაცავად.

არ ხდება შრომითი ხელშეკრულებათა ბუნების შემოწმება, ექსპლოატატორულ გარიგების ელემენტების აღმოჩენის მიზნით და ძალიან ხშირად სასამართლოები ამთავრებენ საქმეებს მხარეთა მორიგებით, თუმცა გარიგებიდან აშკარად სჩანს, რომ დამქირავებლის მოქმედებაში მოიპოვებოდა ს. სამართლის წესით დასასჯელი ელემენტები.

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში 1927 წელს შრომის კანონის დარღვევისათვის, გასამართლებულ იქნა მარტო ორი კულაკი, ისე, უეჭველად, სასამართლო ორგანოების და თემსაბჭოების სუსტი კლასიური პოლიტიკის გამომხატველი ფაქტია.

ორიოდე სიტყვა ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.

როგორც ვიცით, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი. საშუალებას აძლევს იუსტიციის ორგანოებს სისხლის სამართლის დევნა აღძრან ყოველნაირი ჯურის ბიუროკრატებისა და საქმის გამჭიანურებელთა მიმართ, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით არ ყოფილა ბიუროკრატია სასამართლოს წესით გასამართლების არც ერთი შემთხვევა.

ეს, რასაკვირველია, იმიტომ, კი არა, რომ თითქოს საქართველოს რესპუბლიკის სინამდვილეში ბიუროკრატები არ არსებობდნენ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თვით იუსტიციის ორგანოების მუშაკებს შორის ბიუროკრატიზმს სენს ძალიან ფართოდ აქვს ფესვები გადგმული.

საქ. იუსტიციის კომისარიატი პარტიის დირექტივებით ნაჩვენებ გზით, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისა და მშრომელი მასების ფართო წრეების უშუალო დახმარებით, შესძლებს სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორის —რევოლუციონური კანონიერების კიდევ უფრო მტკიცედ დაცვას.

ივ. ქაქამიძე.

საქ. სახკომსაბჭოში

კოოპერაციისათვის დანიშნული თანხების განაწილება

1928 — 29 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით კოოპერაციისათვის დანიშნული 365.000 მან. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას — 165.000 მან., საბინაო კოოპერაციას — 100.000 მან. და სარეწაო კოოპერაციას — 100.000 მან..

წინადადება მიეცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ხსენებული თანხის საქართველოსა და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის განაწილების პროექტი.

ბათომის წყალსადენის გაფართოება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა, ს. მ. უ. საბჭოსა და სატეხნიკო კომიტეტის დასკვნის თანახმად, ბათომის წყალსადენის გაფართოების პროექტი.

ბათომის ალმასკომს ნება მიეცა გააგრძელოს ბათომის წყალსადენის გაფართოებისათვის წარმოებული მუშაობა.

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ შესაძლებლად სცნო საქართველოში 1929 წ. შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია 9.000 ჰექტარზე.

შაქრიანის ხიდის გამაგრება

წინადადება მიეცა კახეთის ალმასკომს მიიღოს ზომები ს. შაქრიანის (მდ. ალაზანზე) ხიდის დასაცავად წყალდიდობისაგან.

ფოთის ჭაობის ამოშრობა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დააკმაყოფილა წყალთა მეურნეობის სამმართველოს შუამდგომლობა, ზემორე გადასახადისაგან შემოსული 55.000 მან. ფოთის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა გამოკვლევისა და პროექტის შესადგენათ გამოყენების შესახებ.

გემი „საქართველო“

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ცენტრალურმა გამგეობამ გასულ წელს გერმანიაში შეუკვეთა სამი ახალი დიდი გემი შავი ზღვის სავაჭრო ფლოტისათვის. შეკვეთილი გემებიდან ერთი გემი—„ყირიმი“ უკვე მიღებულია და მუშაობს შავი ზღვის ნავთსადგურებსა და უცხო ქვეყნებს შორის.

მეორე დიდი გემი—„საქართველო“ (წყალწყვა 6.000 ტონა) შეკვეთილი იყო ქალ. კილის გემთსაშენში. გემი „საქართველო“ შავი ზღვის ფლოტში იქნება ერთ-ერთი დიდი თბომავალთაგანი, რომელიც ივლის შავი ზღვიდან ყველა უცხო ქვეყნების ნავთსადგურებში.

გუშინ ქ. კილიდან საბჭოთა სავაჭრო ფლოტის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას დეპეშით შეატყობინა, რომ გემთსაშენიდან გემი „საქართველო“ უკვე მიღებულია ოფიციალურათ და ამ დღეებში ის წამოვა საქართველოსაკენ.

გემის მიღებისთანავე ქ. კილის ნავთსადგურში მოხდა გემზე საბჭოთა დროშის საზეიმო აღმართვა, რის აღსანიშნავათაც „საქართველოს“ ეკიპაჟმა საქ. სახკომსაბჭოს გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

— „გემ „საქართველო“-ზე საბჭოთა დროშის აღმართვის გამო, გემის ეკიპაჟი მხურვალეთ ესალმება საქართველოს მთავრობას

„საქართველო“-ს ეკიპაჟი“.

უბედური შემთხვევა აბჟესში

დამატებითი ცნობები მ. კასრაძის და კ. ჩხეიძის დაღუპვის შესახებ

გუშინ, შუადღისას, ს.მ.უ. საბჭოში აბჟესიდან მიიღეს დეპეშა, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ 11 აპრილს კვლავ გრძელდებოდა დაღუპული ტეხნიკოსების მ. კასრაძისა და კ. ჩხეიძის გვამების ძებნა. გარდა 10 აპრილს საღამოს ნაპოვნი კასრაძის პალტოისა და ჩხეიძის ქუდისა, მდინარეში არ უპოვნიათ დაღუპულთა არავითარი ნიშნები. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაარწმუნა მძებნელები, რომ დაღუპულთა გვამები გაკავებულია წყალვარდნილის ძირას არსებულ ღრმა ორმოში. ორმოდან ჩვეულებრივი საშუალებებით გვამების ამოღება ყოვლად შეუძლებელია, რადგან წყალი იმდენათ ღრმაა, რომ იქ ადამიანს არ შეუძლია ჩასვლა და რაიმეს მოძებნა.

ამის გამო, როგორც დეპეშიდან სჩანს, ფოთიდან გამოიწვიეს სპეციალისტი წყალში მყვინთავი, რომელიც შესაფერი მოწყობილობის საშუალებით ადვილად გამოიკვლევს ორმოს.

გამოცხადებულია აგრეთვე ჯილდო გვამების მოძებნაზე.

რა პირობებში მოხდა უბედური შემთხვევა

(ტელეფონით ქ. სენაკიდან)

გუშინ ღამის 11 საათზე, ქ. სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსმა ამხ. ჩიტაიამ ჩვენს რედაქციას ტელეფონით გადასცა ცნობები, თუ რა პირობებში მოხდა საგუბარში ტეხნიკოსების დაღუპვა:

— 9 აპრილს დაახლოებით საღ. 5 საათზე ახალგაზრდა ინჟენერი მ. კასრაძე და ტეხნიკოსები კ. ჩხეიძე, გეგეჭკორი და გეორგობიანი, ჩავიდნენ ნავით საგუბარში კაშხალის გასაწმენდათ და იქვე არსებული ჰიდრომეტრიული პოსტის მდგომარეობის შესამოწმებლად. წყალი სწრაფად გადაიშვა წყალვარდნილისაკენ და როდესაც ნავი ჰიდრომეტრიული პოსტისაკენ მიემართებოდა, აშკარა გახდა, რომ ნავი უნდა დაღუპულიყო. ნავში მჯდომნი—გიორგობიანი და გეგეჭკორი გადახტენ წყალში და რადგან ორივემ ცურვა იცოდა—გადარჩენ. მ. კასრაძე ნავიდან გადახტა მაშინ, როდესაც იგი უკვე 5 საჟენით მიახლოვებული იყო წყალვარდნილთან. კასრაძემ ცურვა იცოდა, იგი ბევრს ებრძოდა წყალს, მაგრამ პალტომ და ტანისამოსმა მას ხელი შეუშალეს ტალღებთან ბრძოლაში. ამ დროს იგი, უკვე დაღლილი, გაიტაცა წყალმა.

ჩხეიძე გადმოხტა სულ უკანასკნელად. მან სრულიად არ იცოდა ცურვა და იგიც დაუყოვნებლივ გაიტაცა მდინარემ წყალვარდნილისაკენ.

ეს ცნობები ამხ. ჩიტაიამ მიიღო თვით აბჟესის თანამშრომლებისაგან, თუმცა აღსანიშნავია, რომ კასრაძისა და ჩხეიძის დაღუპვის შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც. ამ დღეებში მუშაობას დაამთავრებს საქართ. მ. უ. ს. სპეციალური კომისია, რომელიც უკვე ჩასულია აბჟესში და მუშაობს დაღუპვის მიზეზების გამოსარკვევად. საბოლოოთ შემოწმებული ცნობები გამოქვეყნებული იქნება კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ.

ცდები სურამის უღელტეხილზე

საუბარი კომისიის თავმჯდომარე ინჟ. ვ. გ. ბოლონოვთან

გზათა სახალხო კომისარიატის კომისია, რომელშიაც შედიან რკინის გზების ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენლები, ინჟ. ვ. გ. ბოლონოვი (წევის დარგიდან), ინჟ. ვ. დ. ხოდანოვიჩი (ექსპლოატაციის დარგიდან) და (ცენტრალური საცდელ-სამეცნიერო სამმართველოს წარმომადგენელი პროფ. ვ. ფ. ეგორჩენკო, გუშინ გაემგზავრა სურამის უღელტეხილზე ცდების საწარმოებლად.

თბილისში კომისიის შემადგენლობა გაფართოებული იქნა ა.-კ. რკინის გზის გამგეობის წარმომადგენლებით წევის, სალიანდაგო და ექსპლოატაციის განყოფილებებიდან.

გამგზავრების წინ კომისიის თავმჯდომარემ ინჟ. ბოლონოვმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

უღელტეხილზე ცდები წარმოებული იქნება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია საბარგო მატარებლების წაყვანა იქ ოთხი ორთქმავლით. მატარებლის შემადგენლობაში ეს ორთქლმავლები განაწილებული იქნებიან შემდეგნაირად—ორი თავში, ერთი შუაში და ერთიც ბოლოში.

შემადგენლობის შუაში ორთქლმავლების ჩაყენების წესს ამჟამად იყენებენ მხოლოდ ამერიკაში და საბჭოთა კავშირში, (პერმის რკ. გზის ლუნიევსკის ხაზზე, რომელიც ემსახურება კიზილოვსკის ქვანახშირის რაიონს). პერმის გზაზე იყენებენ ორ ორთქმავალს. რომელთაგან ერთს უბამენ შემადგენლობას თავში და მეორეს შუაში.

ამერიკაში ეს საკითხი უფრო იოლად სწყდება, რადგან იქ არსებობს სპეციალური ავტომატიური წესი ვაგონების ერთმანეთზე გადაბმისა, რითაც თავიდან აცილებულია შემადგენლობის გაწყვეტის შემთხვევები.

ჩვენი ცდების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გამორკვეულ იქნას—შესაძლებელია თუ არა გამოყენებული იქნეს სურამის უღელტეხილზე ორთქმავლების მატარებლის შემადგენლობაში განაწილების წესი, რათა მოსახერხებელ გახდეს უღელტეხილზე ტვირთების გადაზიდვის უნარიანობის გადიდება.

გარდა ამისა, კომისიის მიზანს შეადგენს გამორკვევა იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია დაღმართებზე მატარებლების სისწრაფის გადიდება.

ცდები იწარმოებს ორი კვირის განმავლობაში.

ყოველგვარი დაკვირვებები და გაზომვა იწარმოებს სპეციალური დინამო მეტრიული და მუხრუჭების მოქმედების აღმბეჭდავ ვაგონების საშუალებით, რომლებიც მოწყობილია თვითჩამწერ ხელსაწყოებით და აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ეს ვაგონები მოსკოვიდან ჩამოვიდნენ კომისიასთან ერთად და მასვე გაჰყვებიან უღელტეხილზე.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმში

თბილისის ალმასკომმა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქციის თანახმად, წინადადება მისცა ყველა თავის განყოფილებებს და წარმოება-დაწესებულებებს არავითარ შემთხვევაში არ გასცენ ავანსები, სამაგიეროთ მიიღონ ზომები ხელფასის თავის დროზე დასარიგებლად.

ამასთანავე ალმასკომმა გააფრთხილა განყოფილებები, რომ სხვეანგარიშო თანხების არა დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის დამნაშავენი დაისჯებიან სასტიკად.

იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად ტარდება ცხოვრებაში სახ. კომისართა საბჭოს და ალმასკომის დადგენილებები, ალმასკომის საკონტროლო განყოფილებამ მოახდინა განყოფილებების მფრინავი რევიზია.

რევიზიის დროს აღმოჩნდა შემდეგი: სამიწადმოქმედო განყოფილების თანამშრომელს მიქაძეს, რომელსაც აბარია სხვეანგარიშო თანხები, აღმოაჩნდა დანაკლისი. საერთოდ სხვეანგარიშო თანხები არ ხმარდებოდა თავის დანიშნულებას. მაგალითად, ამ თანხებიდან მიქაძეს თანამშრომლებზე ავანსათ გაუცია 450 მანეთამდე. აღსანიშნავია, რომ ავანსები გაცემულია განყოფილების გამგის ამხ. ადიკაშვილის და მისი მოადგილის ამხ. გარიშვილის სანქციით.

იმ მიზნით, რომ აცდენოდა პასუხისმგებლობა მიქაძეს, რომელიც გაცნობილი იყო სახკომსაბჭოსა და ალმასკომის აღნიშნულ დადგენილებებს განყოფილების თანამშრომლებმა ალმასკომის პრეზიდიუმის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა მისთვის მოსალოდნელ სასჯელის პატიების შესახებ.

თანამშრომლები აცხადებენ, რომ ის თანხა, რომელიც არ აღმოაჩნდა მიქაძეს, მიღებული აქვთ მათ ავანსათ, რაც არ შეადგენს მარტო მიქაძის დანაშაულს. შუამდგომლობას ხელს აწერს 37 კაცი. სამიწადმოქმედო განყოფილების თანამშრომლები ასე კოლექტიურად ცდილობენ სახკომსაბჭოს და ალმასკომის დადგენილებების გაბათილებას.

თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა გუშინ განიხილა სამიწადმოქმედო განყოფილების მიერ სათანადო დირექტივების ასე უხეშად დარღვევის და შეუსრულებლობის შემთხვევა და დაადგინა: გამოეცხადოს პრესის საშუალებით სასტიკი საყვედური განყოფილების გამგეს ამხ. ადიკაშვილს და მის მოადგილეს ამხ. გარიშვილს, აგრეთვე გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით მიქაძეს, რომელიც ასრულებდა განყოფილების ხელმძღვანელთა უკანონო განკარგულებებს.

საქართველოს პროფსაბჭოში

ქვის მთლელების მომზადება

კვალიფიციური ქვის მთლელების ნაკლებობის გამო, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მომზადებული იქნეს შრომის ბირჟაში აღრიცხული უმუშევრებიდან 135 კვალიფიციური ქვის მთლელი.

ეს რიცხვი ცალკე კავშირებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშაკთა კავშირი—4, სამთა-მადნო მუშები—5, ხეზე მომუშავეები—5, მეტყავეები—5, მელითონეები—10, მბეჭდავები—9. გემო-კვების მუშაკები—10, ფეიქრები—4, ქიმიკოსები—5, მკერავები—5, მშენებლები—20, რკინისგზელები—12, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეები—5, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები—3, მედსანშრომა—3, განათლების მუშაკები—5, საბჭოთა სავაჭრო მუშაკები—16, კომუნალური მუშაკები—8, სახალხო კვების მუშაკები—2.

ქვის მთლელების მომზადება იწარმოებს შრომის ინსტიტუტში ა.-კ. 15 აპრილიდან.

ბანაკის აგება ქართულ დივიზიისათვის

ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილებამ დაადგინა კვირას, 15 აპრილს მოიწვიოს კლუბების გამგეთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი მეორე ქართული დივიზიისათვის საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად ფასიან საღამოების გამართვის შესახებ.

გარდა ამისა, კულტგანყოფილება შეუთანხმდა სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრებს მოაწყონ თითო ფასიანი წარმოდგენა. რომლის მთელი შემოსავალი გადადებული იქნება ბანაკის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

გამომცემლობა „შრომა“-ს საპაიო კაპიტალის გადიდება

ს. პ. ქ. საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გამომცემლობა „შრომა“-ს და კულტგანყოფილებას უახლოეს ხანში შეუდგნენ კამპანიის გამომცემლობის პაის გასავრცელებლად როგორც პროფორგანიზაციებს, ისე სხვა დაწესებულებებსა და კავშირების ცალკე წევრებს შორის.

ამასთანავე პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ თვითეული პაის ღირებულება პროფორგანიზაციებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 10 მანეთს, კავშირის წევრებისათვის კი—1 მანეთს.

საპაიო კამპანიასთან დაკავშირებით გამომცემლობას წინადადება მიეცა შეიმუშაოს ლიტერატურის გაცემის შეღავათიანი პირობები პაის მეპატრონეებისათვის (შეღავათი, ღირებულების ნაწილნაწილად გადახდა, კრედიტი და სხვა).

საკლუბო მშენებლობის 5-წლიანი გეგმა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს საკლუბო მშენებლობის ფონდიდან 1.000 მანეთი საკლუბო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

„ჟოკეი-კლუბ“-ის გადაცემა საბჭოთა მუშაკების კავშირისათვის

„ჟოკეი-კლუბი“ (ყოფ. „არტო“) ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცა საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირს. კულტგანყოფილებას დაევალა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად ერთი კვირის განმავლობაში მოაგვაროს საკითხი კლუბის დავალიანების შესახებ.

1-ლი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გამოყოფილი იქნეს პირველი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მაჩაიძე (თავმჯდომარე), მიქაძე, ვარძიელი, ლეჟავა, ციხელაშვილი, ჯაფარიძე, ბედია, ოდილავაძე; ჩხარტიშვილი; და ნემერზელი.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

ს. პ. ქ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ა. წ. 15 აპრილისათვის მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულ იქნეს ს. პ.ქ. ს. მე-7 მოწვევის მე-4 გაფართოებული საქალაქო პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საწ. თათბ. 1928 წლ. მუშაობის შედეგები; პროფკავშირების მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში; საბჭოების გადარჩევაში კავშირების მონაწილეობის შედეგები, სეზონო მუშებს შორის პროფმუშაობის შესახებ, შრომის დისციპლინის შესახებ.

პურის ცხობის და განაწილების გასაუმჯობესებლად

პურის საცხობების მოულოდნელი გამოკვლევა

10 აპრილს ღამით ჩატარებული იქნა თბილისის პურის საცხობების მოულოდნელი დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობდნენ პროკურატურა, სისხლის სამართლის მილიცია, პურის წიგნაკების გამნაწილებელ კომისიის და პრესის წარმომადგენლები.

დათვალიერებამ სავსებით დაადასტურა ის ცნობები, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთების ფურცლებზე და დაამტკიცა, რომ პურის ხარისხის გაუმჯობესება დიდათ არის დამოკიდებული პურის მცხობელთა კეთილსინდისიერებაზე.

მთელ რიგ საცხობებში, კომისიამ აღმოაჩინა, რომ პურის მცხობელები სათანადოთ არ ზელავენ პურის ცომს, ფქვილის გაცრა არ სწარმოებს სათანადო წესების დაცვით; ზოგგან ფქვილით სავსე ტომრები დაყრილია მეტად ნესტიან საწყობში, რაც გავლენას ახდენს ფქვილის ხარისხის გაუარესებაზე. ზოგიერთი პურის საცხობი იმყოფება მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში; ჭუჭყიანი კედლები გაფარულია ხოჭოებით და სხვა მწერებით. არის შემთხვევები, როცა პურის საცხობებში არ მოეპოვებათ [illegible], მოზელილი ცომი დევს ღია ვარცლში და დაცული არ არის მტვერისა და მწერებისაგან.

უმეტეს პურის საცხობებში არ მოიძებნება საჭირო ხელსაწყო და სპეცტანსაცმელი (წინსაფარი) პურის მცხობელებისათვის, ან თუ აქვთ წინსაფრები—მეტად წვირიანი და დაფლეთილი. ზოგიერთ პურის საცხობში მუშები იძინებენ იმავე მაგიდაზე, რომელზედაც სწარმოებს პურის ცხობა. პურის საცხობების მუშები, თავს იმითი იმართლებენ, რომ მუშკოოპი მათ არ აძლევს საჭირო მოწყობილობას, სპეცტანსაცმელს და საპონს ამ ტანსაცმელის გასარეცხად.

აღმოჩენილ იქნა აგრეთვე შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ფქვილისაგან სხვადასხვა საცხობები აცხობენ სხვადასხვა ხარისხის პურს, რაც აიხსნება მცხობელების არაკეთილსინდისიერი მუშაობით. ამაში ნაწილობრივ თვით პურის მცხობელებმა სცნეს თავი დამნაშავედ.

მოულოდნელ დათვალიერებით დაგროვილი იქნა ბევრი მასალა, რომლის მიხედვითაც მიღებული იქნება სათანადო ზომები:

დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი

პასუხის გებაში არიან მიცემული მუშკოოპის პურის საცხობები № 14 და 142, რომლებიც ერთი და იმავე ფქვილიდან აცხობდნენ ორი ხარისხის პურს; საცხობი № 14 (მშრომელთათვის) აცხობდა ცუდ ხარისხს, ხოლო № 142—(არა მშრომელ მოსახლეობისათვის) კარგი ხარისხის პურს.

„ზაკტპო“-ს პურის საცხობი № 12, რომლის გამომცხვარ პურში აღმოჩენილ იქნა ხოჭო.

მუშკოოპის პურის საცხობი—№ 377—დამაკმაყოფილებელ ხარისხის ფქვილიდან აცხობდა ძალზე უვარგის პურს.

მუშკოოპის თორნე № 34,—გამომცხვარ პურში აღმოჩენილ იქნა დამარილებული თევზის (სელიოდკა) ნაჭერი.

მუშკოოპის პურის საცხობ № 152—პურში აღმოჩენილი იქნა ბაწრის ნაჭერი.

გარდა ამისა, პასუხის გებაშია მიცემული მოქალაქე ნინო ლევანის ასული სირონიცკაია, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ გამომცხვარ პურში განზრახ მოათავსა მკვდარი თაგვი, და შემდეგ განაცხადა, რომ პურში აღმოაჩინა თაგვი (სხვათა შორის თაგვი აღმოჩნდა სრულიად უმი).

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები გადაყვანილი იქნებიან პირველ ჯგუფში

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთი მუშაკები, რომლებიც პურის წიგნაკების განაწილების დროს მოქცეული იყვნენ მეორე ჯგუფში (ეძლევათ 400 გრამი), გადაყვანილი უნდა იქნენ პირველ ჯგუფში (უნდა მიეცეთ 800 გრამი).

ამ დადგენილების თანახმად პირველ ჯგუფში გადარიცხული იქნებიან ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ და დამხმარე წარმოებების (სახელოსნოები, გარაჟები, საწყობები) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული ამ წარმოებებში; ფოსტალიონები, წერილების დამტარებლები, ტელეგრაფის შიკრიკები, კორესპონდენციების დამხარისხებლები, მტვირთავები, ტელეგრაფისტები, რადიო-ტელეგრაფისტები, ტელეფონისტები, მონტიორები, ზედამხედველები, ელექტრო-ტეხნიკოსები, ელექტრო- მონტიორები, ტეხნიკოსები, მემანქანეები (და ამ თანამდებობათა თანაშემწეები), საკუმულიატორო ბატარეების, გენერატოროულ სადგურის, ხაზის და ანძების მუშები.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს წინადადება მიეცათ სისრულეში მოიყვანონ ეს დადგენილება.

საცხობებში შრომის პირობების გამოკვლევა

საქართველოს პროფსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება გამოკვების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ პურის მცხობელთა სექციის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სექცია დაარსდა 1928 წლის ოქტომბერში. მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის თბილისში, სულ ითვლებოდა 930 პურის-მცხობელი, აქედან 32 კაცი უმუშევარი იყო. პურის - მცხობელთა ძირითადი მასა მუშაობს მუშკოოპის და „ზაკტპოს“ ფურნეებში.

პურის მცხობელთა შრომის პირობებთან ერთად გამოკვლეულ იქნა პურის ცხობის საქმეც. გამოირკვა, რომ პურის ხარისხის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზია სტანდარტული ფქვილის უქონლობა (ფქვილში, რომელიც ეხლა ცხვება, ურევია სიმინდი, ჭვავი და ქერი). პურის საცხობების მუშები არ უარყოფენ იმასაც, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს საქმისადმი გულგრილად მოპყრობას ზოგიერთ მუშების მხრიდან. არის შემთხვევები როდესაც მუშები ცუდათ სცრიდენ ფქვილს; ზოგგან არ ვარგა საცერი და გობი. ზოგიერთ ფურნეებში ჭერიდან ცვივა შტუკატურკა, და ცომში ვარდება.

გამოკვლევის დროს მუშების მიერ აღნიშნული იყო ისიც, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევას; როცა პურს განზრახ აფუჭებდნენ კერძო ვაჭრების მიერ მოგზავნილი პირები.

მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ფედოროვის, ავანოვის, მარკმანის, ძაგანიას და ყაზაროვის შემადგენლობით.

სპეკულიაცია პურის ფქვილით

ნესტორ გიგოს ძე დარახველიძე ირიცხებოდა მოქ. კლდიაშვილის სანიმუშო თორნის (პუშკინის ქ.) თანამშრომლად. მას სახელმწიფო დაწესებულებიდან თორნის საჭიროებისათვის გამოჰქონდა პურის ფქვილი.

დარახველიძემ კავშირი გააბა სპეკულიანტებთან და პურის ფქვილს ჰყიდდა კერძო პირებზე გადიდებულ ფასებში.

გარდა ამისა, დარახველიძე თეთრ ფქვილში ურევდა შავ ფქვილს, რომელსაც ჰყიდდა ოც მანეთად ფუთს.

როგორც ირკვევა, დარახველიძემ ერთი თვის განმავლობაში შესძლო დაახლოვებით 3.000 მანეთის პურის ფქვილის გაყიდვა.

ბოლოს ეს ამბავი გაიგო თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ.

დარახველიძე დაპატიმრებულია. გამოძიება გრძელდება.

წყლით სარგებლობის გადასახადი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება წყლით სარგებლობის გამოსაღებისა და ამიერ-კავკასიის სარწყავი სისტემის საექსპლოატაციო ხარჯების შესახებ 1928-29 წელში.

წყლის გამოსაღები ყველა რესპუბლიკებში განსაზღვრულია 1.296.744 მანეთით, სარწყავი სისტემის საექსპლოატაციო ხარჯები კი უდრის 1.646.774 მანეთს. ამრიგად, დანაკლისი გამოიხატება 350.000 მანეთში, აქედან აზერბეიჯანში—200.000 მანეთი და საქართველოში—150.000 მანეთი. სომხეთში, სარწყავი სისტემის საექსპლოატაციო ხარჯები და წყლის გამოსაღების შემოსავალი გათანასწორებულია.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა დაამუშაოს საკითხი დეფიციტის დაფარვის შესახებ. მასვე დაევალა უზრუნველყოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები საშუალებებით, რომლებიც საჭიროა საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად.

ინვალიდთა არტელების წარმომადგენელთა თათბირი

10 აპრილს, გლეხთა სასახლეში გაიხსნა ინვალიდთა კოოპერატიული არტელების წარმომადგენელთა რესპუბლიკანური თათბირი, რომელიც მოწვეულია ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის ცენტრალური გამგეობის ინიციატივით.

თათბირის პირველ სხდომაზე დაიწყო ცალკე არტელების წარმომადგენელთა მოხსენებები არტელების მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ, თათბირზე წარმოდგენილ 32 არტელიდან მოხსენებებით გამოვიდა 13 არტელის წარმომადგენელი.

არტელების—„დაფნა“, „გაჯანსაღება“, „დახმარება“, „პროგრესი“, „კომუნა“, „შრომა“ „რეკორდი“, და სხვების წარმომადგენლებმა თავიანთ მოხსენებებში აღნიშნეს, რომ მათ უხდებათ სასტიკი კონკურენციის გაწევა კერძო ვაჭრებისათვის, რომლებიც ყოველმხრივ უშლიან ხელს არტელების განვითარებას.

მოხსენებებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ საწარმოო ხასიათის არტელებს უფრო კარგი სარბიელი აქვთ, ვიდრე სავაჭრო არტელებს. ასე, მაგალითად არტელი „იმერი“-ს, რომელიც აწარმოებს სპირტისა და კონიაკის ნაწარმოებთა დამზადებას, ყოველთვიური ბრუნვა აჭარბებს 20.000 მანეთს, მაშინ, როდესაც სავაჭრო არტელების თვიური ბრუნვა 8—9-ჯერ ნაკლებია.

სულ საქართველოში არსებობს შემდეგი დარგების საწარმოო არტელები—საკონსერვო, სარკეების დამამზადებელი, საკარტონაჟო, რძის პროდუქტების დამამზადებელი, ტკბილეულობის, ავეჯეულობის დამამზადებელ, და სხვ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გამომუშავებული იქნება ღონისძიებები არტელების მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ქრონიკა

სიმინდი სპირტის გამოსახდელად

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით წელს საქართველოში შემოზიდული იქნება 2.500.000 ფუთი სიმინდი. სიმინდის შემოზიდვა უკვე დაიწყო და მისი განაწილება დავალებული აქვს ცეკავშირს. ამ რამოდენიმე დღის წინად გადმოგზავნილი იქნა სიმინდის ერთი პარტია 20 ვაგონის რაოდენობით. ამ სიმინდის შემოწმების დროს გამოირკვა, რომ იგი ნორმაზე მეტად არის დანესტიანებული რკინის გზის ვაგონში (გადმოზიდვის დროს). ამის გამო ხსენებული სიმინდი უვარგისი გახდა სამომხმარებლოდ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა განკარგულება გასცა, რათა სიმინდის ეს პარტია გადაეცეს „სოფლის კავშირს“ სპირტის გამოსახდელად. სიმინდი გადამუშავებული იქნება გომის სპირტის ქარხანაში.

თბილისის ალმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ვაგონები.** თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა დაევალოს ტრამვაის დირექციას ადგილობრივ დაამზადოს მოსკოვის ტიპის 6 ახალი ვაგონი.

◆ ალმასკომმა რუსეთში გაგზავნა ადგილ. მრეწვ. განყოფილების 2 ინჟენერი გურამიშვილი და ხაჩატუროვი. აგურის მრეწველობის შესასწავლად და თბილისში აგურის მექანიკურ ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად.

◆ **მიცვალებულთა გასვენების შესახებ.** ალმასკომმა დაადგინა — აკრძალული იქნეს, თავახდილ კუბოებით მიცვალებულთა გასვენება.

◆ **ხევსურეთის საავადმყოფო.** ალმასკომმა დაამტკიცა ხევსურეთში საავადმყოფოს მოწყობილობის პროექტი, საავადმყოფო აგებული იქნება წელს.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **მეთესლეობის საბჭოთა მამული.** მიწსახკომმა სენაკის მაზრაში მოაწყო მეთესლეობის საბჭოთა მამული, მამულისათვის გამოყოფილია 220 ჰექტარი მიწა.

◆ **„ტყის დღე“.** 15 მაისამდე მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება ტყის დღე.

პროფსაბჭოში

◆ **კულტთათბირი.** რესპუბლიკანური კულტთათბირი, რომელიც მოწვეული იყო 20 აპრილისათვის, გადაიდო 22 აპრილისათვის.

◆ **კალატოზების მომზადება.** პროფსაბჭომ გადასწყვიტა გახსნას 3 ნახ. თვიანი კურსები კალატოზების მოსამზადებლად, კურსებზე გაიგზავნებიან უმუშევრები.

სხვადასხვა

უმუშევრობასთან საბრძოლველად წელს მთელს საქართველოში დაიხარჯება 304.455 მანეთი.

საექსკურსიო - ტურისტულ საზ.-ბამ გადასწყვიტა წარმოება - დაწესებულებებში მოაწყოს ტურისტული უჯრედები.

◆ **ორშაბათს, 15 აპრილს,** საღ. 6 საათზე ს. პ. ქ. ს. ახალ დარბაზში მოწვეულია ფოტო-მოყვარულთა თათბირი.

თათბირზე მოწვეულია აგრეთვე თბილისის გაზეთების და კედლის გაზეთების და კლუბების ახალგაზრდათა სექციების წარმომადგენლები.

◆ **საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბაში** დღეს, საღ. 7 ს., საქ. მუზეუმის შენობაში, მოხსენებას წაიკითხავს ალ. ბარამიძე: „ქილილა და დამანას ქართული თარგმანისათვის“. კრება საჯაროა.

ქართული საკონცერტო ჯგუფი. ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილების მიერ შექმნილია 1-ლი ქართული საკონცერტო ჯგუფი. ჯგუფში შედიან: ნ. ალექსი-მესხიშვილი, ელიოზიშვილი, ვ. მრავალი, აფხაიძე, ამირანაშვილი, ცომაია; კარიევი და სხვ. ამ დღეებში ეს ჯგუფი მოაწყობს გამოსვლებს მუშათა კლუბებში.

◆ **ახალი წიგნი.** სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობის აღსანიშნავად „სოფლის კავშირმა“ გამოსცა ახალი წიგნი „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა“.

ხელოვნების ქრონიკა

— **დისპუტი.** შაბათს, 13 აპრილს, საღ. 7 საათზე მეტყაველთა კავშირის კლუბში (კომუნალური ქ., 94), შესდგება ლიტერატურული დისპუტი: „თანამედროვე ქართული ლიტერატურის გზები“. (მომხსენ. ბ. ბუაჩიძე). კამათში მონაწილეობენ: გრ. რობაქიძე. ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი; ნ. ზომლეთელი; ს. ეული; ლისაშვილი; ნ. მიწიშვილი, მ. ჯავახიშვილი, პ. სამსონიძე და სხვა.

— **„კაკალ გულში“.** დღეს ქუთაის-ბათომის თეატრის მიერ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ოპერის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება შ. დადიანის ორიგინალური კომედია „კაკალ გულში“.

— **დუზოვსკაიას და ბიხტერის** მეორე კონცერტი გამართება 13 აპრილს კონსერვატორიაში.

— **„საქმის ხალხი“.** რუსთაველის თეატრში მორიგ პრემიერად წარმოდგენილი იქნება „საქმის ხალხი“

შრომის დაცვა

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება შრომის დაცვის შედეგების შესახებ 1927-28 წელში, მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ 1927-28 და 1928-29 წელში გაიზარდა შრომის დაცვის ღონისძიებების გატარებაზე დადებულ ხელშეკრულებების შესრულება სამეურნეო ორგანოების მიერ, გაიზარდა აგრეთვე იმ წარმოებების რიცხვი, სადაც დადებულია ასეთი ხელშეკრულებები, და შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის გადადებული თანხები: პრეზიდიუმი იწონებს სამეურნეო ორგანოებს პასუხისგებაში მიცემას ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ შრომის დაცვის განყოფილებამ ვერ გამოიჩინა საკმაო სიმტკიცე დადებულ ხელშეკრულებების შესრულებაში, რის გამო სამეურნეო ორგანოები არ იცავენ ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებს.

ს. პ. ქ. საბჭოს პრეზიდიუმი აუცილებლად სთვლის, რომ სავსებით გამოყენებული იქნეს 27-28 წლის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ კრედიტების ნარჩენები, გაძლიერებული იქნეს მეთვალყურეობა ხელშეკრულებების შესრულებაზე, ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემული, მომზადებული იქნეს კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ერთად მოთხოვნილებები შრომის დაცვის ღონისძიებებზე 1929-30 წლისათვის და რაც შეიძლება მეტ წარმოებებზე იქნეს გავრცელებული ხელშეკრულებები.

ვინაიდან ხუთწლიან გეგმის მეორე ვარიანტში შრომის დაცვისათვის შეტანილი თანხები საკმარისი არ არის, შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა გადასინჯოს ეს თანხები მათი გადიდების მიზნით.

საამშენებლო სეზონის წინ

საამშენებლო სეზონის მოახლოვებასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება საამშენებლო დარგის მუშებზე.

თბილისის შრომის ბირჟა შრომის ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად აწყობს მოკლევადიან გადასამზადებელ კურსებს,

ჯერ-ჯერობით მოწყობილია მხოლოდ ერთი ცეხი, აგურის დამწყობთა მოსამზადებლათ.

აღნიშნული ცეხი, მიმდინარე საამშენებლო სეზონისათვის მოამზადებს 400-მდე კვალიფიციური (კალატოზი) მუშა-ხელს.

ყოველგვარი ხარჯებს ბინისა და საამშენებლო მასალებს გარდა იკისრა შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა.

ბინისა და ნედლი მასალისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავათ შრომის ბირჟამ ჯერ-ჯერობით გადასდო 5.000 მან.

წყალსადენი ახალქალაქში

ახალქალაქი, 9 აპრილი. გაზაფხულიდან ახალქალაქში შეუდგებიან ქალაქისათვის წყალსადენის აგებას. წყალი გამოჰყავთ ს. აბლარის მახლობლად მდებარე წყაროებიდან (ქალაქიდან 6—7 კილომეტრის მანძილზე). წყალსადენისათვის საჭირო კრედიტების ნაწილს (50 პრ.) გაიღებს ცენტრალური კომუნალური ბანკი. (ადს).

ახალი საგიტაციო მოტო-გადარბენა

13 აპრილს თბილისიდან სოფ. გომბორამდე ეწყობა ახალი საგიტაციო მოტო-გადარბენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 18 მოტოციკლეტი. გადარბენას აწყობს ავტოკლუბის მოტო-სექცია. გადარბენის მონაწილენი გომბორში წაიღებენ მოძრავ კინოს და სპეციალური ავტობუსით წაიყვანენ ავტოკლუბის დრამატიულ წრეს, რომელიც იქ გამართავს წარმოდგენებს. კინო-სეანსები ნაჩვენები იქნება სოფ. გომბორში, უჯარმაში და მუხროვანში.

გადარბენა ეწყობა გაზაფხულის თესვის და სოფლად კოოპერატიული ამშენებლობის ხელის შესაწყობათ.

გადარბენაში მონაწილეობას ღებულობენ ავტოკლუბის და სამხედრო უწყების მოტოციკლეტები. მანქანების მმართველებათ დანიშნული არიან: ამხ. მარდიევი, საზონოვი, სოკოლოვი, დვალი, სხირტლაძე, კერვალიძე, თვალაძე, რომანინი, ა. გაბრიელოვი, ხემჩიანი, გორლაჩოვი, ბარაუსოვი, დაუერი, შვეცოვი, მაისურაძე, ქობულაძე და იაკობიძე.

გადარბენის კომანდირათ დანიშნულია სამხედრო უწყების წარმომადგენელი ამხ. პეტროვი. სტარტი შესდგება ავტოკლუბთან 13 აპრილს დილის 10 საათზე. გადარბენის მონაწილენი უკან დაბრუნდებიან 15 აპრილს საღამოს.

სასამართლო

მებალიშვილს ისევ დახვრეტა მიესაჯა

ზაქარია ზურაბისძე მებალიშვილმა გასული წლის თებერვალში სოფელ ყარაიაში გაძარცვის მიზნით მოჰკლა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს აგენტი ვასილ გოცირიძე.

ზაქარია მებალიშვილი გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით და, როგორც სოციალურად საშიშ ელემენტს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

როგორც ვსწერდით, მაზრა-ქალაქის სასამართლოს განაჩენი შეამსუბუქა უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ და მებალიშვილს დახვრეტა შეუცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.

გუშინ მებალიშვილის საქმე განიხილა უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც გააუქმა უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს გადაწყვეტილება და ძალაში დასტოვა მაზრა-ქალაქის სასამართლოს განაჩენი.

მიხეილ ფალავა მეტი სასჯელის ღირსია

ჩვენს მკითხველებს, ალბად, ახსოვთ ნაზნაურალ მიხეილ მიხეილისძე ფალავას „საქმენი საგმირონი". ბნელი წარსულის მქონე აზნაური ფალავა რაღაც ოინებით შეძვრა თბილისის ტრამვაის დირექციაში და მალე საქმეთა მმართველის თანამდებობა დაიკავა.

განიერ ცხოვრებას შეჩვეულმა აზნაურმა ფალავამ ხელი მიჰყო ბნელ კომბინაციებს, ამზადებდა ყალბ წლიურ სამგზავრო ბილეთებს და ჰყიდდა. შემოსავალი უხვად ჰქონდა, მართავდა ქეიფებს „სამსახურებრივ მდგომარეობის განსამტკიცებლად" (მისი სიტყვებია), და „მანდილოსანთა" გულის მოსანადირებლად. სხვადასხვა სიყალბეების საშუალებით ფალავამ გაფლანგა 2.478 მანეთი.

ფალავა ამ რამდენიმე თვის წინად გაასამართლა სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით. ფალავას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს თავმჯდომარე საკმაოდ არ სცნობდა გამოტანილ სასჯელს და სათანადო შენიშვნაც გაუკეთა განაჩენს, რომ მისი აზრით ფალავა მეტი სასჯელის ღირსია.

უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო საკრებულოს პლენუმმა გუშინ განიხილა ფალავას საქმე. პლენუმმა გააუქმა მაზრა-ქალაქის სასამართლოს განაჩენი, რადგან არა საკმარისად სცნო სოციალური დაცვის არჩეული ღონისძიება.

პლენუმის დადგენილების თანახმად საქმე ხელახლა გასარჩევად უბრუნდება მაზრა-ქალაქის სასამართლოს, რომელმაც ფალავას უნდა გამოუტანოს მაქსიმალური სასჯელი წარდგენილ მუხლის ძალით და აგრეთვე აირჩიოს მის წინააღმდეგ სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებანი, როგორიც არის საარჩევნო უფლებების წართმევა, თანამდებობის დაკავების აკრძალვა და სხვა.

იშვიათი საზიზღრობა

მშობლები თავს ევლებოდნენ პატარა ზინას. მიუხედავად სიღარიბისა, არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ ქალიშვილი ღირსეულად აღეზარდათ, მიეცათ მისთვის სწავლა-განათლება და სწორ გზით წარემართათ მისი მომავალი ცხოვრება.

ათი წლის გოგონა ზინა სოფელ კარხტინიდან ფეხით დადიოდა ანანურის (თბილისის მაზრა) შრომის სკოლაში. ცოტა ხნის შემდეგ ზინა სწავლაში ჩამორჩა თავის ტოლ ამხანაგებს. როგორც კი შეატყვეს ჩამორჩენა, გულშემატკივარმა მშობლებმა გადაწყვიტეს მიებარებინათ ის მასწავლებლისათვის დამატებით მოსამზადებლად.

ზინას მომზადება, რასაკვირველია, სათანადო ვაჭრობის შემდეგ, იკისრა ანანურის ოთხწლიან შრომის სკოლის გამგემ ვასილ სიმონისძე ბაკურაძემ.

ზინა საღამოობით დადიოდა ბაკურაძის ოჯახში, და მეცადინეობდა. გარყვნილმა ბაკურაძემ 10 წლის გოგონას იმ თავითვე ვნებიანი თვალით დაუწყო ყურება. გაკვეთილის გამოკითხვის მაგიერ ბაკურაძე ბავშვთან საეჭვო ალერსში ატარებდა დროს.

ერთ დღეს, ამა წლის მარტის ბოლო რიცხვებში ბაკურაძემ თავისი ცოლ-შვილი დუშეთში გაგზავნა. ზინა თავისი წიგნებით ჩვეულებრივ მივიდა მასწავლებელთან.

„მასწავლებელმა" წიგნები ჩამოართვა ბავშვს, გადასდო მოშორებით, ბავშვი დაისვა მუხლზე და დორბლ მორეულმა დაუწყო ხვევნა-კოცნა... მხეცმა ბაკურაძემ დაიმორჩილა 10 წლის გოგო და არანორმალური გზით დაიკმაყოფილა მასთან სქესობრივი ჟინი. ბავშვი ჰკიოდა ცივი ხმით, მაგრამ ბაკურაძის სახლიდან ხმა არავის ესმოდა.

— არაფერი უთხრა მშობლებს, თორემ სულ მუდამ დაჩოქებულს გაგაჩერებ სკოლაში,—დაემუქრა გამგე ბავშვს.

ბავშვმა მოიწმინდა ცრემლები, შესჭამა გამგის მიერ მიძღვნილი ტკბილეული და წავიდა. მეორე დღეს ტკივილები ისევ აწვალებდა ბავშვს, მაგრამ გამგის მუქარა ახსოვდა და ვერაფერს უმხელდა მშობლებს.

— დედი, დღეს ნუ გამიშვებ მასწავლებელთან, ავად ვარ, არ შემიძლია.—ემუდარება ბავშვი დედას.

დედამ უბრალო ზარმაცობას მიაწერა შვილის ასეთი თხოვნა, დატუქსა და სურვილის წინააღმდეგ გაისტუმრა ის სამეცადინოთ.

— ხომ არაფერი გითქვამს მშობლებისთვის?—შეეკითხა „მასწავლებელი" ბაკურაძე ბავშვს.

— არა,—უპასუხებს ბავშვი.

მხეცმა ბაკურაძემ ისევ გვერდზე მიაგდო ბავშვის წიგნები, წააქცია ლოგინზე ზინა და კვლავ უსაზიზღრეს ფორმაში დაიკავა მასთან სქესობრივი კავშირი.

ბავშვმა ველარ აიტანა ამდენი წვალება. მოვიდა სახლში, ჩაეკრა დედას გულში და ტირილით უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

ეს ამბავი გაიგო ხელისუფლებამ ბავშვი შემოწმებულ იქნა. დადასტურდა მხეცური გაუპატიურების ფაქტი.

მხეცი ბაკურაძე დაპატიმრებულია. საქმეს საჯაროდ გაარჩევს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ზერ.

კულაკის გასამართლება

ქუთაისი, 9 აპრილი. ამ დღეებში ქუთაისის მაზრაში გაირჩევა ს. კიკნაველეთის კულაკის ივანე კიკნაველიძის საქმე. კიკნაველიძემ სცემა ღარიბ გლეხს კონსტანტინე ლეჟავას. კულაკს ხმა წაართვეს და ჩამოართვეს მეტი მიწა. ამას ხელი შეუწყვეს ღარიბმა გლეხებმა. ყველაზე უფრო აქტიურად მოქმედებდა ღარიბი გლეხი ლეჟავა და კიკნაველიძემ მასზე იძია შური: ღამით შეუვარდა სახლში, ძალზე სცემა, დასჭრა მისი მამა, დედა და ცოლი. კულაკი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე. (ადს).

რკინის გზეზე

გრიგალი

10 აპრილს, დილით, ეიბათ-ბაქოს უბანზე მოვარდა ძლიერი ქარი, რომელიც საღამოსათვის უფრო გაძლიერდა და მიაღწია მაქსიმალურ ძალას.

ძლიერმა ქარმა ზოგიერთ ადგილებში გამოიწვია სილის ნამქერები. კერძოდ სადგ. ყარადაღაში სილით დაიფარა პირველი და მეოთხე ხაზები. თავისუფალი დარჩნენ მეორე და მესამე ხაზები, რომლებზედაც ატარებდნენ ყველა მატარებლებს გაუჩერებლად, ვინაიდან ოდნავ შეჩერების დროსაც კი მათ ავსებდა ნამქერი-სილა.

11 აპრილს, დილისათვის გრიგალი შესუსტდა და მისწყდა.

გრიგალის გამო ყველა მატარებლები გზის აღმოსავლეთ უბანზე მოძრაობდნენ დაგვიანებით და წინ წასაყვანათ საჭირო ხდებოდა დამხმარე ორთქლმავლების გაგზავნა.

ორთქლმავლების დაჯახება

სადგ. ზესტაფონში სამანევრო ორთქლმავალი დაეჯახა დეპოდან გამოსულ სახალხო მატარებლის № 3 ორთქლმავალს.

ორთავე ორთქლმავალი დაზიანდა. ხაზი არ გაფუჭებულა.

შემთხვევები

ტრამვაის ვაგონის დაჯახება ავტომობილზე

10 აპრილს, ტრამვაის ვაგონი № 249, რომელსაც მართავდა არჩილ ბაჩიშვილი ორჯონიკიძის და საბჭოთა ქუჩის კუთხეში დაეჯახა საბარგო ავტო-მანქანას № 267. დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ვაგონი სერიოზულათ დაზიანდა. ვაგონში მსხდომმა პირებმა მოასწრეს გადმოხტომა და ამრიგათ კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

შეპყრობა

შალვა კარგარეთელის ბინის (რევაზოვის ქ., 17), გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს ივანე კონსტანტინესძე ტიშევი.

ხულიგნობა

ა. წ. 1-ლ იანვრიდან პირველ აპრილამდე ქალაქის აღმასკომის განყოფილებაში აღრიცხულია ხულიგნობის 225 შემთხვევა. ხულიგანთა შორის 57 პროცენტი ხელოსნებია, 38 პროც. მოსამსახურენი და 37 პროც. მოსწავლენი.

ფაფახის გატაცება

გუშინ, დღისით ნიკიფორე რომანოზისძე გოგსაძეს პლეხანოვის პროსპექტზე (№ 38 სახლის პირდაპირ) ვიღაც ბოროტმოქმედმა გამოსტაცა ფაფახი და მიიმალა.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ა. ალოევის ბინა (არაქელას ქ., 4), წაიღეს 150 მანეთის ნივთები.—სიმონ ცინცაძის ბინიდან (რევაზოვის ქ., 9), მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

ამინდი საქართველოში

9 აპრილიდან საქართველოში ამინდს დაეტყო ცვალებადობა. ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში დაიწყო წვიმები. განსაკუთრებით დიდი წვიმა მოდიოდა დასავლეთ საქართველოში. დაიწყო ქარებიც. მთელ საქართველოში საგრძნობლად დაეცა ტემპერატურა.

გუშინ დილის 7 საათისათვის მიღებული ცნობებით, ბორჯომში მოვიდა თოვლი, რომლის სიმაღლე უდრის 1 მილიმეტრს. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში განუწყვეტლივ წვიმდა.

11 აპრილს, დილის 7 საათისათვის, ტემპერატურა ასეთი იყო:

სოხუმში, ფოთში, ბათომში, ჩაქვაში სითბო 5 გრად., ქიათურაში—3 გრად., ტყიბულში—14 გრად., ბორჯომში—0 გრად., თბილისში—4 გრად.

თოვლი თბილისში

გუშინ თბილისში მთელი დღე წვიმდა. ამინდი უფრო გაუარესდა. 7—8 საათიდან დაიწყო თოვა და ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა.

მდ. მტკვრის დონე

გუშინ დილიდან მდ. მტკვრის დონემ ქ. თბილისის ფარგლებში დაიწყო კლება, დილის 10 საათისათვის მდინარის დონე უდრიდა 238 სანტიმეტრს, ნაცვლად წინა დღის 252 სანტიმეტრისა.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, მდინარეში წყლის დაკლება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ორი უკანასკნელი დღის ცივი ამინდების გამო თოვლის დნობა მთიან ადგილებში შესწყდა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე გასაგზავნათ გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშაკთა სექციიდან: სარქის სარქისოვი, სერგო ბეპიევი, არტაშ თუმანოვი, ვასილ კოშკელოვი, ელენე დუბავიცკაია, სოფიო მნაცაკანოვა, ილია ბადრიძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: მელიქ-შახნაზაროვა, ელენე ბახბულაგოვა, ანა დადიანი, ოლღა აბრამოვა, ირაიდა კვანტალიანი,

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: გიორგი ზაქარიაშვილი, ილია ბატკუაშვილი, ივანე ნადირაშვილი, ისაკი შარიფაშვილი, შალვა იაშვილი, ლიანოზოვი, ავეტის მარტიროსიანი, ვასილ შარიფაშვილი, ოგანესიანი მინას.

რკინისგზელთა სექციიდან: ოლია ლიანოზოვა, თამარ სინაურიძე, ლევან ნავროზაშვილი,

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: პოლოს ფირზალი, მოსესოვი, ივანე ტისონოვი.

მედსექციიდან: მარიამ ჯამაშვილი, ბარბალე დავიდოვა, ნადეჟდა წიქლიძე.

ჭადრაკი

მეთორმეტე ტური

მეთორმეტე ტურის პარტიებში მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს ნ. ნაროკოვის, სოროკინის და გოგლიძის პარტიები, რომელთა შედეგს მნიშვნელობა აქვს პირველობის გამორკვევისათვის. ვინაიდან წრევანდელი ჩემპიონატი, თბილისის 1929 წ. ჩემპიონის გამოყოფის გარდა, ატარებს საკვალიფიკაციო ხასიათს, ამიტომ დანარჩენი მონაწილენიც დიდის მონდომილობით იბრძვიან, განსაკუთრებით კასპარიანი და მალუნცევი, ამათში კი უფრო უკანასკნელი, რომლისთვისაც ნახევარი ქულაც კი საკმარისი იყო, რომ მიეღო პირველ კატეგორიის (საკავშირო მასშტაბით) მოთამაშის სახელწოდება. (საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით, პირველ კატეგორიაში გადაირიცხება ის, ვინც მოაგროვებს +½ ქულას, აქედან ორ ქულას პირველ კატეგორიის მოთამაშეებთან).

ამიტომაც, მალუნცევი გოგლიძის წინააღმდეგ თავიდანვე თამაშობდა ყაიმზე. თავში თითქოს გოგლიძემ უფრო თავისუფალი თამაში და ფიგურათა უკეთესი განწყობა მიიღო, მაგრამ მალე მდგომარეობა გათანასწორდა. თითქმის ყველა ფიგურები და პარტია გადავიდა ენდშპილში, სადაც მალუნცევის მცირეოდენ სისუსტეს წარმოადგენდა განცალკევებული პაიკი, მაგრამ ის იმდენათ კარგათ იყო დაცული, რომ არ სჩანდა მოგების გზა. აქ უკვე თვითონ მალუნცევი დაეხმარა გოგლიძეს, გასწია წინ პაიკი, რითაც დაასუსტა იგი და მალე წააგო; მიუხედავად ამისა, მოსალოდნელი იყო, რომ პარტია მაინც ყაიმით დასრულდებოდა, მაგრამ მალუნცევმა პაიკის წაგების შემდეგ დაიწყო ნერვიულობა, გააკეთა მთელი რიგი სუსტი სვლები და პარტია გადაიდო მისთვის უიმედო მდგომარეობაში.

ტალვიკმა ლაზიერის პაიკთა დებიუტში **სოროკინის** წინააღმდეგ დებიუტის პასიურად გათამაშების გამო ბევრად სუსტი და ფიგურების უმოქმედო მდგომარეობა მიიღო, შემდეგშიაც უაზრო სვლებით მან საშუალება მისცა სოროკინს მეფის ფრთის პაიკების მიწევით მძლავრი იერიში განევითარებინა ტალვიკის მეფეზე; ტალვიკი არც აქ იცავდა თავს კარგათ, რითაც საშუალება მისცა სოროკინს ჯერ მხედარი და შემდეგ კუ შეეწირა ოთხ პაიკში, რის შემდეგაც შამათის ან ლაზიერის მოგების დამუქრებით ტალვიკი იძულებული იყო დანებებულიყო.

მაესტრო **ნენაროკოვმა** თეთრებით **ასოვსკის** წინააღმდეგ განვითარების ისეთივე სისტემა აირჩია, როგორიც სოროკინმა. ასოვსკის დებიუტის სუსტად გათამაშების გამო, მაესტრომ უკეთესი მდგომარეობა და ფიგურათა განწყობა მიიღო. შუა თამაშში ასოვსკიმ მხედრის უაზრო შეწირვით ორ პაიკში მდგომარეობა უფრო გაიფუჭა, რის შემდეგაც მას გამოუჩნდა პოზიციის ბევრი სუსტი მხარეები, რითაც კარგათ ისარგებლა ნენაროკოვმა და თანდათანობით აიძულა ასოვსკი შამათის მიღების ან, მთლიანად განადგურების დამუქრებით დანებებულიყო.

საინტერესო იყო აგრეთვე **ლევიტასის** და **კასპარიანის** პარტია, სადაც კასპარიანისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა პარტიის მოგება, რათა პირველი კატეგორიის მოთამაშის სახელწოდება მიეღო. კასპარიანმა ნაადრევათ დაიწყო შეტევა, რომელიც ლევიტასის სწორი დაცვის შემდეგ მალე გაქრა, და ინიციატივა გადავიდა ლევიტასის ხელში; უკანასკნელმა რამოდენიმე სვლის შემდეგ დაცვალა ყველა ფიგურები და პარტია გადავიდა ენდშპილში, სადაც კასპარიანს დიდი შანსები ჰქონდა მოგებისთვის, მაგრამ აქ მან დაჰკარგა ტემპი, რითაც შეისუსტა პაიკები და პარტია დამთავრდა ყაიმით.

შიშოვმა სმოროდსკის წინააღმდეგ დებიუტში უკეთესი მდგომარეობა და ინიციატივა მიიღო მაგრამ შემდეგში სუსტათ თამაშობდა და მალე პარტია წააგო.

თარაიანის და ვეიზერის პარტია გადადებულია ვეიზერისთვის უპირატეს მდგომარეობაში (მხედარი და სამი პაიკი — ოთხ პაიკის წინააღმდეგ); თარაიანის ერთად ერთ იმედს წარმოადგენს სამი შეკრული გამვლელი პაიკი ლაზიერის ფრთაზე ერთ პაიკის წინააღმდეგ.

დანილოვს არ მოსვლის გამო **წერეთელთან** ჩაეთვალა წაგება.

* * *

სამშაბათს, 9 აპრილს, გათამაშებული იქნა **ნენაროკოვის** და **მირზაევის** გადადებული პარტია, რომელშიც რამოდენიმე სვლის შემდეგ მოთამაშენი შეთანხმდენ ყაიმზე.

შეჯიბრების მდგომარეობა

მეთოთხმეტე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: მაესტრო ნენაროკოვი და სოროკინი +10½, გოგლიძე +9½ (1 დაუმთავრ.), მალუნცევი +8 (1 დაუმთავ.), კასპარიანი +8, მაესტრო სმოროდსკი და მირზაევი+7 (2 დაუმთავ.), ლევიტასი+7, ასოვსკი+6 ½., ვეიზერი +6 (2 დაუმთავ.), ტალვიკი+5, შიშოვი +4, წერეთელი +3½. თარაიანი +1 ნახ. (2 დაუმთავ.) და დანილოვი 0.

ვ. გოგლიძე.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

დღეს, 12 აპრილს, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება შეჯიბრება მოსკოვის „დინამო"-სა და თბილისის „დინამო"-ს შორის.

მატჩი დაიწყება ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

იქვე კვირას, 14 აპრილს, სტუმრების წინააღმდეგ ითამაშებს საქართველოს ნაკრები გუნდი („დინამო").

შეჯიბრება დაიწყება დღის 1 საათზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„წყლის გამოსაღების განაკვეთებისა და ამ გამოსაღების გადახდევინების წესის თაობაზე" 1929 წლის თებერვლის 12-ს თარიღით გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ-ისა და მის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების განაკვეთების გამსაზღვრისა და ამ გამოსაღების გადახდევინების წესის შესახებ" 1929 წ. თებერვლის 12-ს თარიღით გამოცემული (გაზ. „კომუნისტი"-ს 53 №-რი 1929 წ. მარტის 7-სა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლ მუხლს დაემატოს პუნქტი „ა¹" შემდეგი შინაარსისა:

„ა¹") თბილისის მაზრის ყარაიაზის რაიონის ინდივიდუალურ მეურნეობათათვის:

როდესაც ერთიანი სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრი ამ მეურნეობათა შემოსავლის საერთო თანხა არის.	სარწყავი მიწებისა და წყალმომქმედ საწარმოთა შემოსავლის თვითეულ მანეთზე, რომელი შემოსავალიც გამოიანგარიშება „წყლის გამოსაღების დებულების" 5—6 მუხ. წესისამებრ.
არა უმეტეს 100 მანეთისა	4 კაპ.
100 მან. მეტი და 200 მანეთამდე	6 „
200 „ „ „ 300 „	10 „
300 „ „ „ 400 „	14 „
400 „ „ „ 500 „	18 „
500 „ „ „600 „	22 „
600 მან. და მეტი	26 „

2. იმავე მუხლის პუნქტი „ბ" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბ) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათათვის—სათანადო მაზრაში ინდივიდუალურ მეურნეობათათვის (ამა მუხლის „ა" პუნ.) დაწესებული წყლის გამოსაღების საშუალო განაკვეთის რაოდენობით (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ ოლქში დაწესებული საშუალო განაკვეთის რაოდენობით); ხოლო ყარაიაზის რაიონის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათათვის—ამ რაიონში ამა მუხლის „ა¹" პუნქტით დაწესებული წყლის გამოსაღების საშუალო განაკვეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. მარტის 8.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს წიგნის პალატაში წარსადგენ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების სავალდებულო ცალთა რაოდენობის გადიდების შესახებ

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 12-ს თარიღისა და 25 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-რი, მუხ. 95) შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა ტიპის პოლიგრაფიულ საწარმოს საქართველოს წიგნის პალატაში ბეჭდვითი სიტყვის ყოველგვარი ნაწარმოების სავალდებულო ცალები წარადგინოს ოცდაათის ნაცვლად ოცდახუთმეტი (35) ცალის რაოდენობით, გამოცემის ტირაჟის მიუხედავად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს წიგნის პალატას საქართველოს ბეჭდვითი პროდუქციის კომპლექტები უკლებლივ ჰგზავნოს იმ საკავშირო მნიშვნელობის წიგნთსაცავებში, რომელთა სრული სია აღნიშნულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 26-ს დადგენილებაში „უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის სსრკ-ის ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის მიწოდების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 36 №-რი, მუხ. 324).

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს ხელახლად შეადგინოს საქართველოს იმ სამეცნიერო წიგნთსაცავთა მტკიცე ნუსხა, რომელთაც, ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ წიგნთსაცავთა დამატებად, უნდა ეგზავნებოდეს ბეჭდვითი პროდუქციის სავალდებულო ცალები, და აგრეთვე დაადგინოს აღნიშნული ცალების წიგნთსაცავებს შორის განაწილების წესი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. თებერვლის 11.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მიწა-ტყის კავშირის წევრს № 18291

კითხვა

გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: მაქვს თუ არა უფლება, ჩემი ოჯახის საჭიროებისათვის გავყიდო ჩემი საკუთარი მამულიდან ხეები, შეშა, ხეხილი, ვენახი და სახლი, სახნავ-სათესი მიწა კი გავცე იჯარით.

პასუხი

მოჭრილი ხეების, შეშის, ხეხილის და ვენახის გაყიდვა თავისუფლად შეგიძლია, აგრეთვე შეგიძლიათ თავისუფლად გაყიდოთ სახლი დასანგრევად და წასაღებად. მაგრამ თუ თქვენ გსურთ ვენახის, ხეხილის და სახლის გაყიდვა ისე, რომ მიწაც სადაც სახლი სდგას და ხეხილი და ვენახია, გადავიდეს მყიდველზე, ამისათვის საჭიროა, რომ სამაზრო სადგილმამულო ორგანოებმა მიანიჭოს მყიდველს უფლება ამ მიწაზე. უამისოდ სახლის, ხეხილის და ვენახის მიწიანად გაყიდვა აკრძალულია და სისხლის სამართლის წესით დაისჯება. მიწის იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ მეურნეობის დროებით დაუძლურების გამო სამაზრო სადგილმამულო განყოფილების ნებართვით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

12 აპრილს, დილის 10 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის განყოფილების საორგანიზაციო განყოფილება იწვევს თათბირს ახალი საბინაო ტარიფის საკითხზე.

ქვემოდასახელებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა:

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საქართველოს ფინსახკომი, საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისია, თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება, თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება. თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება, თბ. აღმასკომის საგეგმო კომისია, შრომის სახ. კომისარიატი, კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობის ფრაქციების წარმომადგენელნი; მდივნები შემდეგი უჯრედებისა: მთავარ სახელოსნოების კოლექტივი, დეპო, ამ.-კავკ. რკ. გზების სამმართველო, ტრამვაის კოლექტივი, 26 კომუნარის სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა, როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკა, „ზარია ვოსტოკა" პირველი სტამბა, თემქა, ავეჯის ფაბრიკა, უქსი, მუშკოოპი, ტყავტრესტი № 1, ფეიქრების უჯრედი, სასაკლაო, არსენალი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, მილიციის კოლექტივი, „მკერავი", ქვემოჩამოთვლილი საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციების თავმჯდომარეები: მთავარი სახელოსნოების კოლექტივი, დეპო, რკ. გზის სამმართველო, ტრამვაის კოლექტივი, 26 კომუნარის სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა, როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკა, სტამბა „ზარია ვოსტოკა", პირველი სტამბა, თემქა, ავეჯის ფაბრიკა, უქსი, მუშკოოპი, ტყავის ქარხანა № 1, ფეიქრების ადგილკომი, სასაკლაო, არსენალი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, „მკერავი".

—:—

ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 13 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახ. მეურნეობის მუშაკთა კლუბში (რუსთაველის თეატრის შენობაში), **შესდგება კომკავშირის თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი** სამეურნეო და პროფორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. დღის წესრიგში სდგას: 1) სოციალისტურ შეჯიბრის შესახებ (ამხ. იმხანოვის მოხსენება, 2) საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შედეგების შესახებ (მომხს. ამხ. მაისურაძე). 3) კომკავშირის თბილისის კომიტეტის სამუშაო გეგმის დამტკიცება, 4) მიმდინარე საკითხები. თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. ამასთანავე მოწვეულნი არიან ქვემოდ-დასახელებული სამეურნეო და პროფორგანიზაციების დირექტორები და ფაბქარკომების თავმჯდომარეები. უმაღლეს სამეურნეო საბჭოდან: პევცოვი, ელბაქიანი და კაკაბაძე, დირექტორები და ფაბქარკომების თავმჯდომარეები: ლითონის მრეწველობის ტრესტის, პოლიგრაფტრესტის, მკერავის, აბრეშუმის ტრესტის, რკინის გზის მთავარი სახელოსნოების, დეპოს, საფეიქრო-საპონ-ზეთის ტრესტის, „26" კომუნარის სახელობის ქარხნის, საშენის, სახკინმრეწვის, თამბაქოს ტრესტის, კალინინის სახ. ქარხნის, ტრამვაის, ტყავტრესტის, აღმასკომის, კომუნალურ განყოფილების გამგის, მუშკოოპის გამგეობის, საქ. პროფსაბჭოს, წარმომადგენლები კავშირების ცენტრალურ გამგეობების: მბეჭდავთა, მელითონეების, საუბნო კომიტეტის, მეტყავეთა, კავშირთგაბმულობის, გემო-კვების, კომუნალურ მეურნეობის მუშათა, ფეიქართა, ტრანსპორტის მუშათა კავშირის, ქიმიკოსების, მკერავების, ხეზე-მომუშავეთა და მშენებელთა და კომკავშირის წარმომადგენლები კავშირების ცენტრალურ გამგეობიდან.

—:—

საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში დღეს, 12 აპრილს, შუადღის 12 საათზე შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ერქომაიშვილი (სახ. უნივერსიტეტი), ავაქოვი (თბ. აღმასკომი), სააკიანი (ვაჭრობის კომისარიატი), ელბაქიანი (უმაღლესი სამ. საბჭო), რადუშევი (სინდიკატის გრუზბიურო), იწკირველი (სახ. უნივერსიტეტი).

თბილისის ელექტრო-ანაგებთა სამმართველოს (თელასი) დაბალი ძაბვის ქსელის განყოფილების მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი უსაყვარლესი ამხანაგების და ყოფილი თანამშრომლების

ინჟინერ მიხეილი დიმიტრის-ძე კასრაძის
და
ტეხნიკოს კონსტანტინე გიორგის-ძე ჩხეიძის

ტრაღიკულად დაღუპვას აბჰესში. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება. 1330

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოებასთან არსებული ელექტრო-ტეხნიკური სექცია მწუხარებით იუწყება საზოგადოების წევრების: აბჰესის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის უფროსის

ინჟინერ მიხეილი დიმიტრის-ძე კასრაძის
და
ტეხნიკოს კონსტანტინე გიორგის-ძე ჩხეიძის

ტრაღიკულად დაღუპვას აბჰესში. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება. 1329

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები: გაიოზ კანდელაკი გერმანე თალაკვაძე, ჟორჟიკა ძიძიშვილი და ჟორჟიკა ვორონოვი აუწყებენ საზოგადოებას, უსაყვარლეს მეგობრის

კოტიკო ჩხეიძეს

ტრაღიკულად დაღუპვას. (ს)

მწუხარებაში მყოფი უბედური მამა ივანე, დები: ელიკო, ტასო და ნატალია, ბებიები: ლიზა, სალომე, ბიძები: სერგო, სიკო და მიტო, დეიდა მენო ოჯახითურთ აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 11 აპრილს, თბილისში უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

კოტე ივანეს ძე შაიშმელაშვილი

გასვენება სადგურზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოდან პარასკევს, 12 აპრილს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა სოფელ მაღაროში დღის 2 საათზე კვირას, 14 აპრილს ნის.

საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭო აუწყებს საშეფო საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს, რომ 11 აპრილს ტრაღიკულად გარდაიცვალა საბჭოს საქმეთა მმართველი

კოტე ივანეს ძე შაიშმელაშვილი

ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან 12 აპრილს, საღამოს 5 საათზე, თბილისის სადგურზე მელაანში წასასვენებლად. ნის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკასთან და თბილისის კომიტეტთან არსებული საშეფო საზ-ბის უჯრედი, საშეფო საზოგადოების ლენინის, 26 კომუნარის სახელობის და ქალაქის რაიონები იუწყებიან, რომ 11 აპრილს ტრაღიკულად გარდაიცვალა საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს საქმეთა მმართველი

კოტე (კონსტანტინე) ივანეს ძე შაიშმელაშვილი

ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან 12 აპრილს, საღამოს 5 საათზე, თბილისის სადგურზე, ხოლო იქიდან მელაანის სადგურზე. ნის.

დამწუხრებულნი შვილები: გრიშა და ლეუშა ჩხეიძეები ცოლშვილით, პაშა ნემსაძისა ქმარშვილით და ბაბილინა როინიშვილისა შვილებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი დედის

ლიზა ქაიხოსროს ასული ჩხეიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიმში, კვირას, 14 აპრილს. ნ. 2518

მეუღლე ნინო, ძმები: ეპიფანე, ნიკიფორე და მოსე, დები: მარო და ელისაბედი, რძალი ბაბულია, ძმისშვილები: ბესიკა და ზუბიკა, ბიძაშვილები, სიმონი და არონ იმნაიშვილები ცოლშვილით დიდის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

ალექსანდრე (სანდრო) ბესარიონის-ძე იმნაიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 13 აპრილს, ს. შუხუთში. 1325

დაი მარო: სიძე ალექსანდრე და დისშვილი შოთიკო ცინცაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

სანდრო ბესარიონის-ძე იმნაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 13 აპრილს, 3 საათზე, შუხუთში (გურია). 1326

გაუბედურებული მშობლები: ნინო და კოტე ქარუმიძეები; ძმები: თეო და გულბათი; დიდედები: თინათინ რაზიკაშვილისა და ანა; დეიდები ეთერი და გუგული და დავითი ბეჟუაშვილი; დეიდაშვილი თინა იუწყებიან

პატარა ციალას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ხელთუბანში. 1332

ნიკოლოზ და თამარ ქარცივაძე შვილებით, მარიამ აბხაზისა შვილით და სიძით ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ აპრილის 11 ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

სოფო ქარცივაძე

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (ე)

---

9 აპრილს ს. ტოლაში (რაჭა) გარდაიცვალა

ვალიკო მალაქიას-ძე მუსელიანი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძმა ივანე მუსელიანი. 133

კვირას, 14 აპრილს დღის 12 ს. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ ძვირფას და მუდამ ჩვენთვის სახსოვრის

ილარიონ ანტონის-ძე ზაზარაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ საზოგადოებას მწუხარებაში მყოფი მეუღლე გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძისა შვილებით. ნ. 2522

სახ. აკ. ოპერის თეატრი
კვირას, 14 აპრილს შესდგება **უკანასკნელი საბავშო დილის წარმოდგენა**
პროგრამაში: 1. „წითელი ქუდა" საბავშო ოპ. 2 მოქმ,
2. დემონი—პროლოგი
ჯამბაზები—პროლოგი } შეასრ. სახ. ოპერის არტ. სანდრო დოლონაძე
3. საკონცერტო განყოფილება—მონაწილეობენ ცნობილი შემსრულებელი საბავშო სიმღერების ნ. ვ. დულკევიჩ და მცირეწლოვანი მომღერალი ქუთუშა მიქელაძე
დასაწყისი დღის 12 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში, სკოლების განცხადებებით—ბილეთები გაცემული იქნება რიგ გარეშე 2—1 ნ. 2520

სახ. აკ. ოპერის თეატრი
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში
პარასკევს, 12, კვირას, 14 აპრილს
აბონემენტის გარეშე **„კაკალ გულში"** კომედია 3 მოქმ. შალვა დადიანის
ბილეთები აღებული 11 აპრილისათვის პიესაზე „ფუენტე ოვეხუნა" გამოდგება 12 აპრილისათვის.
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ ნ. 2521

საქართველოს სახელმწ. კინომრეწველობის ნაწარმოები
1928—29 წლის სეზონი
ორშაბათიდან, **15** აპრილიდან კინო-თეატრებში
განთიადი-პალასი-სოლეი-არფასტო
ახალგაზრდობა
იმარჯვებს
სცენარი გ. მდივანის, ვ. შკლოვსკის თემის მიხედვით
დადგმა რეჟისორ მიხ. გელოვანის, ოპერატ. ალ. დიღმელოვი
მთავარ როლებში: თამარ თვალავაძე, ა. ხინთიბიძე,
ს. ფალავანდიშვილი, ქ. მაჭარაძე

განთიადი	**ხოლტზე** რეჟ. ლ. ესაკია
სოლეი	მსოფლიო ფილმი **ახალი ბაბილონი** რეჟ. გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი ოპერატორი მოსკვინი
მინიონი	
პალასი	**მენავე უნებურად** მონტი ბენქსის მონაწ.
არფასტო	**ორი ობოლი** რეჟ. გრიფიტის დადგმა
აპოლო	**აცრემლებული თვალები** დრამა ებრ. ცხოვრებიდან
დარბაზი	**სიგნალი ზღვიდან**
პროლეტარი	**შოფერი უნებურად**

კვირას სოლეიში დღის სეანსი 0—8

კინო **აპოლო**
დღეიდან
12
აპრილიდან
მხატვრული დრამა
ებრაელთა ცხოვრებიდან
აცრემლებული თვალები
შოლომ ალეიხემის
მოთხრობის – „ბიჭუნა მოტიკ"-ის მიხედვით
რეჟ. გ. გრიჩერი

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ 13, 14, 15, 16 და 17 აპრილს დილის 10 საათიდან განოვის ქ. № 1, აღმასკომის საწყობის ეზოში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება კანცელარიის მაგიდები, სკამები და სხვა მრავალი საკანცელარიო ინვენტარი. ნ. 2711

ამა წლის 19 აპრილს დღის 3 საათზე
თბილისის ქალაქის ლომბარდის
განყოფილების შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 50) შესდგება
დახურული საჯარო ვაჭრობა
შენობის შეკეთებისა. (სადურგლო, სამღებრო, საკალატოზო, საზეინკლო და სხვა სამუშაოები).
დაწვრილებითი ცნობისათვის უნდა მიმართოთ ლომბარდში (კეცხოველის ქუჩაზე № 8) დღის 2—3 საათამდე.
ნ. 2524 ლომბარდის ადმინისტრაცია.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
1272—25—

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 1929 წ. 15 აპრილს დილის 9 საათზე სახლში № 19 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. ლავრენტი პეტრიაშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, ვენურ სკამებს, სპილენძეულობას, ფრაქეულობას და სასადილო სხვა მოწყობილობას შეფასებულს 1623 მანეთად 75 კაპ. საქ. და ხარკოვის სახ. კვების კავშირის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თფილისის და ქ. ხარკოვის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 12 იანვარი და 15 აგვისტო 1928/9 წ. თარიღით, № 176 და 23183 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 1335

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
ქვესპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ.
საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—1 1240

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტლფ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914" გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება { დილ. 7—9 საათ. / ნაშუადღ. 4—5 საათ. / საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა·1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. / საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის დ ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერის დ მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10
25-1 1302

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 29239 ეკატერინე კონსტანტინეს ასული ებრალიძის სახელზე, ჩ. გ. 1334

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი პეტრე კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 1328

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 50 დავით ჭუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 1327

ტირაჟი—39·005
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 64.
მთავლიტი № 904.